F 85.562
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9(47.922)1323.2 „1905"

ერთიანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ს. კ. პარტია

К 11.194
Г 85.562
3
У 41

თ. ენგიზ ულენტი

1905 წელი გურიაში

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა-ბიბლიოგრაფიის საბ. ბიუროს ინვენტარი
Музей Грузии. Отдел нумизматики
ინვენტარის № 1
Инвент.

გამოცემა მეოთხე
(შესწორებული და შევსებული)

1000
1000
1000

1905 წლის ბეჭდვაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

28/VI—27 ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 1193. შეკვ. № 1071/7386. ტირაჟი 2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა.

I

1905 წ. შესწავლისათვის [1])

(წინასიტყვაობის მაგიერ).

მიმდინარე წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის მშრომელნი აღნიშნავენ 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავს.

რევოლიუციის ისტორიკოსი ამხ. პოკროვსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის მოგონება მოუხდება არა მარტო კომუნისტურ პარტიას, არამედ — კომუნისტურ ინტერნაციონალსაც.

1905 წელი იყო უდიდესი გაკვეთილი არა მარტო ჩვენი მუშებისათვის, არამედ — გლეხობისათვისაც, რომელიც მწარე გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მისი ინტერესი მჭიდროთ არის გადაჯაჭვული მუშის ინტერესებთან, რომ მხოლოდ მუშურ რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფს გლეხკაცობის არსებით ინტერესებს.

1905 წლის რევოლიუციის გამოცდილება ჩვენთვის სხვა მხრითაცაა ღირსშესანიშნავი. პროლეტარული რევოლიუციის ტაქტიკის და სტრატეგიის ძირითადი საკითხები, რომლებიც 12 წლის შემდეგ დაისვა მსოფლიო ისტორიის დღის წესრიგში, წამოიჭრა უკვე 1905 წლის ფართოდ გაშლილ კლასობრივი ბრძოლის პროცესში.

„ცხრაას ხუთის“ ცოდნა სავალდებულოა არა მარტო ევროპის თვითეული შეგნებული მუშისათვის, არამედ — საბჭოთა კავშირის ყოველი გლეხისათვისაც. განსაკუთრებით კი მისი ცოდნა სავალდებულოა ჩვენი მოზარდი თაობისათვის“ — სწერს ამხ. პოკროვსკი.

ცნობილია, რომ ამხ. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა 1905 წლის რევოლიუციას.

იგი სწერდა: „1905-1907 წლების უდიდეს კლასობრივ ბრძოლების და პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგიის გარეშე

---

[1]) ეს წინასიტყვაობა წამძღვარებული ჰქონდა ამ წიგნის პირველ გამოცემას, (ბათომი — 1925 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელი იქნებოდა მეორე რევოლიუცია მისი ბუნებრივი ეტაპის რამდენიმე დღეში დასრულების მხრით. 1905 წლის რევოლიუციამ ღრმად გადმოაბრუნა ნიადაგი, აღმოფხვრა საუკუნოებრივად განმტკიცებული ცრუმორწმუნეობა, გამოაფხიზლა პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლისათვის მილიონი მუშები და ათეული მილიონი გლეხობა. უჩვენა ერთი მეორეს და მთელს ქვეყანას რუსეთის საზოგადოების ყველა კლასები (და ყველა პარტიები) მათი ნამდვილი სახით, მათი ინტერესების ნამდვილი ურთიერთობით, მათი ძალებით, მათი მოქმედების უნარით, მათი უახლოესი და შორეული მიზნებით. პირველმა რევოლიუციამ და მის შემდეგ მოყოლებულმა კონტრ-რევოლიუციონურმა ეპოქამ (1907-14 წ. წ.) გაატიტვლა მონარქიის მთელი არსი, მიიყვანა იგი უკიდურეს საზღვრამდე, გამოამჟღავნა მთელი მისი სიდამპლე, სისაძაგლე, მეფის „შაიკის“ მთელი ცინიზმი და გარყვნილება ცნობილი რასპუტინის მეთაურობით, მთელი სიმხეცე რომანოვების გვარეულობისა, რომელმაც მთელი რუსეთი მორწყო ებრაელების, მუშების და რევოლიუციონერების სისხლით... (ლენინი—„Первый этап русской революции“)... „1905 წლის გენერალური რეპეტიციის გარეშე შეუძლებელი იყო 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება“ (ნ. ლენინი—„Детская болезнь левизны в коммунизме“),

ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც ჩვენი მშრომელი ხალხი იჩენს 1905 წლის ამბების შესწავლისადმი. რუსეთსა და უკრაინაში დიდძალი ლიტერატურა გამოდის 1905 წლის რევოლიუციის შესახებ. ამ მხრით აღსანიშნავია უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოშვებული კრებული „გენერალური რეპეტიცია“, რომელშიაც თავმოყრილია 1905 წლის შესახებ დაწერილი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

საერთოდ რუსული ლიტერატურა მდიდარია მასალებით და ნარკვევებით 1905 წლის პირველი რევოლიუციის შესახებ.

სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურაში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ერთ სერიოზულ ნარკვევს 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ 1905 წელმა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებას დიდი კვალი დაუჩნია. „ცხრაას ხუთმა“ ღრმად შეარხია ტრადიციული საქართველოს საფუძვლები და თავის თავის დუღილში მასიურად ჩაითრია მუშათა და გლეხთა მასები. საქართველოს ზოგიერთ ადგილას 1905 წლის მოძრაობამ ისეთი რადიკალური ფორმა მიიღო, რომ სამაგალითო

და თითით საჩვენებელი გახდა მთელი რუსეთისათვის. ასეთი იყო, მაგალითად, გურია, სადაც სახალხო განმათავისუფლებელმა ბრძოლამ განვითარების უკიდურეს საფეხურს მიაღწია.

ამხ. თენგიზ ჟღენტის ნაშრომი — „1905 წელი გურიაში", არის ამ ამბების სისტემატიური დალაგების პირველი ცდა. როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, „1905 წელი გურიაში" არის მხოლოდ გურიის 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობის „მთავარი ფაქტების და მომენტების აღდგენა" და იგი „რევოლიუციის ისტორიკოსს გამოადგება როგორც მხოლოდ მასალა".

ამხ. თ. ჟღენტი აღიარებს, რომ სათანადო დოკუმენტების და მასალების სიმცირის გამო მას ვერ შეეძლო მკითხველთათვის მიეცა მთელი ის მდიდარი ფაქტიური მასალა, რომლითაც სავსეა 1905 წლის ეპოქა გურიაში. მიუხედავად ამისა „1905 წელი გურიაში" თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ისტორიულ რევოლიუციონურ ლიტერატურაში.

იგი იძლევა ნათელ სურათს 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობისას გურიაში, არკვევს ამ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს, მის შინაგან ბუნებას, მის თავისებურ გარდატეხას გურიის სინამდვილეში, მის განვითარებას და დამარცხებას.

და ყოველივე ეს მოცემულია ცოცხალ ფაქტებში.

1905 წელი გურიაში, რასაკვირველია, ამ წიგნაკით არ არის ამოწურული. მაგრამ იგი არის გურიის ამ სახელოვანი წარსულის სისტემატიური და ყოველმხრივი შესწავლის პირველი ნაბიჯი.

ს. კ. პ. (ბ) აჭარკომთან არსებული პარტიის კომისია.

II

(მეორე გამოცემისათვის).

პირველი გამოცემის მოკლე წინათქმაში მკითხველი ნახავს ჩემს აღიარებას, რომ მე არ ვკისრულობ გურიის 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის დაწერას, — რადგან ეს მეტის მეტათ ძნელი საქმეა და არ ძალმიძს ამოვწურო ის სახელოვანი ეტაპები, რომლითაც სავსეა 1905 წ. გურიაში. ამასვე ვიმეორებ ამ გამოცემისათვისაც. ამ გამოცემას ემატება ზოგიერთი ფაქტები და შემაქვს რამდენიმე შესწორება. მეორედ გამოცემა გადავწყვიტე იმიტომ, რომ მიუხედავათ იმ ნაკლისა, რომელიც თან ახლავს ამ პატარა შრომას, ის სავსებით გავრცელდა: არც ერთი წიგნაკი აღარ დარჩა გაუყიდავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ საქართველოს კომპ. ც. კ. პარტისს მივაწოდე დამატებითი ცნობები და მისი გამოცემის ნებართვა ვთხოვე. ეს წიგნი უკვე წელიწადზე მეტია, რაც გამოვიდა და დიდი ინტერესით მოველი მისი ფაქტიური მხარეების შესწორებას იმათგან, ვისაც ახსოვს 1905 წ. უმეტესათ რევოლიუციის მონაწილეთაგან შევსებას იმ ნაკლისა, რაც მე გამომრჩა. ეჭვი არ არის, რომ ბევრი სახელოვანი მონაწილე 1905 წ. მოძრაობისა გურიაში ჩემდა უნებურად აქ გამორჩენილი არიან, რისთვისაც ამ გამოცემაშიაც მიხდება ბოდიშის მოხდა.

მეორე გამოცემაში გამოშვებულია სია ჯაშუშების, რომელიც 1904 წ. გამოცხადდა პროკლამაციაში. მიზეზს და მოკლე განმარტებას მკითხველი იხილავს ამავე წიგნში. მართალია, მეტად უხერხულია ისტორიულ დოკუმენტის გამოშვება, რომელიც ნიმუშია მაშინდელი მუშაობის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სია მაშინ საჩქაროთ იქნა შედგენილი რაიონების და საზოგადოებათა წარმომადგენლების მიერ შეკრებილი ცნობების თანახმად. ვინც მაშინ ჩვენთან არ იყო, ისინი მტრათ იქნენ გამოცხადებული. უმეტესად ასეთი ზომა ნახმარი იყო ზეგავლენის მოსახდენად რეაქციონურ ელემენტებზე. ეს ერთნაირი ტერორი იყო, რომელიც საჭიროთ დაინახა კომიტეტმა. ამის შემდეგ ბევრი მათგანი არამც თუ გულწრფელად მიემხრო მოძრაობას, არამედ ზოგიერთი მათგანი პარტიაშიც კი ჩაეწერა.

ავტორი

ტფილისი,
1927 წ. ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1905 წელი გურიაში.

I

8-9 მარტის გაფიცვამდე და გაფიცვების შემდეგ.—„მქადაგებლები", „დრამა-ფული" და ღალის შემცირების საკითხი. — ბოიკოტი მემამულეებს, გლეხი-შტრეიკბრეხერები და „ყანის ცელვა".—„შპიონ-ჩაჩუტები" და „წესის აგება".— პირველი პროკლამაციები, ფართო პროპაგანდა, გლეხთა გაფიცვები და მასიური მიტინგები. — მთავრობის რეპრესიები, მაზრის უფროსი ჯაფარიძე და „ლომის-კარელი". — ბათომის ყრილობა, ტერორის საკითხი და ორგანიზაციული სტრუქ-ტურა. — „თოფის ფული", „წითელი რაზმები" და მუშაობა ქალთა შორის.

ორიოდე სიტყვა წინათქმათ.

მე არ ვკისრულობ გურიის 1905 წლის რევოლიუციონური მო-ძრაობის ისტორიის დაწერას; ეს მეტის-მეტად ძნელი და რთული საქმეა. ოდესმე, ალბად, დაიწერება საქართველოს რევოლიუციო-ნური მოძრაობის ისტორია, რომელშიაც გურიის 1905 წლის სახე-ლოვან პერიოდს სათანადო ადგილი მიეჩნევა. ამჟამად კი ჩვენს ისტორიულ-რევოლიუციონურ ლიტერატურაში თითქმის არაფერი მოიპოვება გურიის მშრომელი ხალხის იმ გმირული რევოლიუციო-ნური წარსულის შესახებ, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა არამც თუ მთელი საქართველო და რუსეთი, არამედ — შორეულ ევროპის მშრომელი მასებიც-კი.

ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს რევოლიუციონური წარსულის ამა თუ იმ ეტაპის აღდგენას, მაგრამ მათ თავი ვერ დაუღწევიათ იმ სახელოვანი დროის დღევანდელი შთაბეჭდილებით გაშუქებისაგან, ისტორიას კი ყველაზე ნაკლებად უყვარს მოვლენების და ფაქტების სუბიექტიური დაფასება-გაშუქება; იგი სოციალური სრბოლის მიუ-დგომელი პოზიტივია, რომელიც ვერ ურიგდება სუბიექტიურ გა-დახრას და შემთხვევათა შინაგანი გზიდან გადახვევას.

ალბად ვინმეს წილად ხვდება ჩვენი რევოლიუციონური წარ-სულის ისტორიულად გაშუქების საპატიო როლი. ის, რასაც მკითხვე-ლი ქვევით იპოვნის, არის მხოლოდ გურიის 1905 წლის რევოლიუ-ციონური მოძრაობის ზოგიერთი ფაქტის და მომენტის აღდგენა. ცხადია, ტიტველი ფაქტების დაგროვება არ არის ისტორია. ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის დანიშნულებაა არა მარტო ფაქტების დასახელება, ოამედ — ამ ფაქტებში შინაგანი ლოგიკის და მიზეზობრივი ურთიერთობის აღდგენა. ამ მხრით წინამდებარე სტრიქონები რევოლიუციის ისტორიკოსს გამოადგება როგორც მასალა.

უეჭველია, ჩემს მეხსიერებაში ამ ოცდა სამი წლის განმავლობაში მრავალი ფაქტი და მომენტი წაიშალა. მით უმეტეს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობიდან თითქმის არც ერთი წერილობითი დოკუმენტი აღარ დარჩენილა. საბედნიეროდ, ჩვენ მრავალი ცოცხალი დოკუმენტი მოგვეპოვება ამ სახელოვანი წარსულის უშუალო მონაწილთა სახით. უეჭველია, ეს ამხანაგები შეავსებენ და დაუმატებენ ამ პატარა შრომას, რითაც საშუალებას მისცემენ რევოლიუციის მემატიანეს გურიის 1905 წლის ამბების უფრო ფართო გაშუქებისათვის.

8 — 9 მარტის ამბების გამოძახილი.

1902 წლის 8 და 9 მარტის ამბებმა ბათომში პირველად დააღღვია მყუდროება გურიაში. მართალია, ამ შემთხვევამდეც იყო მუშაობა გურიაში, რომელსაც უმთავრესად დასელები აწარმოებდენ, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო აშკარა და მასიურ გამოსვლებს აქამდე ადგილი არ ჰქონია.

ბათომის მუშათა გაფიცვებმა პირველად შეარხია პოტენციალურად რევოლიუციონური გურია. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მთავრობამ ბათომის გაფიცული მუშები, რომელთაგან დიდი უმრავლესობა გურულები იყვნენ, „ეტაპით“ გადაგზავნა თავ-თავიანთ სოფლებში. „ბუნტის თავების“ (ასე უწოდებდენ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში შემჩნეულ პირებს) სოფლებში დაბრუნებამ დიდათ შეუწყო ხელი გურიის გლეხობის მასიურ მოძრაობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ვიმეორებ, 8 და 9 მარტის ამბებამდეც ჰქონდა ადგილი გურიაში ფარულ მუშაობას, მაგრამ ეს მუშაობა არ გასცილებია მესამე დასის ზოგიერთ წევრთა მიერ ნაცნობ-მეგობრებსა და ვიწრო წრეებში აგიტაცია-პროპაგანდას, ჟურნალ „კვალის“ გავრცელებას და კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობას. ზოგიერთ დასელს „ნაროდნიკსაც“-კი უწოდებდენ და უმოქმედობას უსაყვედურებდენ. მაგალითად, არა ერთხელ გამიგონია იასონ მეგრელიძისაგან, რომ ისიდორე რამიშვილი „ნაროდნიკიაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლისა და მემამულის წინააღმდეგ.

გურიაში აშკარა რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისი ხასიათდება ეგრეთ წოდებულ „დრამა-ფულის" საწინააღმდეგო პროპაგანდით და მემამულეთა მიწებზე ღალის შემცირების მოთხოვნით. სოფელ-სოფელ სიარული იწყეს პროპაგანდისტებმა, (რომელთაც „მქადაგებლებს" უწოდებდა ხალხი), რომლებიც ხალხში ეწოდენ „დრამა-ფულის" და ღალის საწინააღმდეგო აგიტაციას. „მქადაგებლები" არ ეხებოდენ სარწმუნოებას, მაგრამ საჯარო მიტინგებზე სასტიკად ილაშქრებდენ მღვდლების წინააღმდეგ. ხშირად პროპაგანდისტები სოციალიზმს ქრისტეს მოძღვრებითაც ამართლებდენ და ცდილობდენ დაესაბუთებიათ, რომ ხუცებმა გადაამახინჯეს ქრისტიანიზმი — რომელიც უარყოფს რელიგიის მსახურთა მიერ სასყიდლის მიღებას და სხვა.

რევოლიუციონური პროპაგანდისათვის გურიაში ამ დროს ნიადაგი მზად იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო და გლეხობა მთლიანად მიემხრო „ახალ თაობას" (ასე უწოდებდენ გურიაში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მიმართულებას).

გლეხთა გაფიცვები და გლეხი-შტრეიკბრეხერები.

გლეხი უკვე ახალ პირობებს უყენებს მემამულეს. მემამულის მიწიდან გლეხი მეპატრონეს უბრუნებს მოსავლის არა ნახევარს, არამედ — მესამედს და მეოთხედს. მიწები იყოფა კატეგორიებად და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. გლეხი იხდის მემამულის სასარგებლოდ მოსავლის მესამედ ან მეოთხედ ნაწილს. ზოგიერთი მემამულე უარს ამბობს ასეთ პირობებზე, მას გლეხები ბოიკოტს უცხადებენ და არავინ მის მამულს არ ამუშავებს, მაგრამ მემამულენი ერთი მეორეს უჭერენ მხარს და ლოკაუტის საშუალებით ლამობენ გლეხების დამორჩილებას. გლეხობა მედგრად იცავს თავის მოთხოვნილებებს, მაგრამ ჩნდებიან გლეხი-შტრეიკბრეხერები, რომლებიც ძველ პირობებში ამუშავებენ მიწას. გაფიცული გლეხობა ზომებს ღებულობს შტრეიკბეხერთა წინააღმდეგ: მათ ნამუშევარ ყანებს ღამით ცელავენ. შტრეიკბრეხერთა ყანის ცელვამ მასიური ხასიათი მიიღო გურიაში, რამაც წელში გასტეხა როგორც შტრეიკბრეხერები, ისე მემამულენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის აგენტები და მათთან ბრძოლა.

ახალ მოძრაობას პირველად სასტიკად ებრძვის სამღვდელოება და მემამულენი. სამღვდელოებას ხელიდან გამოეცალა დრამა-ფული, მემამულეთ — დიდი ღალა. საქმეში ერევა პოლიცია, რომელიც, რასაკვირველია, მხარს უჭერს მღვდლებსა და მემამულეებს. პოლიცია ცდილობს „ბუნტის თავების“ შეპყრობას და ურჩების დასჯას. ამ მიზნით იგი სოფლებში იჩენს აგენტებს, რომელთა დანიშნულებაა მოძრაობაში შემჩნეულ პირთა ვინაობის შეტყობინება მთავრობისათვის. მთავრობის ერთგულ აგენტებს ხალხი უწოდებს „შპიონებს“, „ჩაჩუტებს“ და მათ წინააღმდეგ მიმართავს ტეროროს. იწყება „შპიონებსა“ და „ჩაჩუტებზე“ ნადირობა. ღამით დაეცემიან თავს მათ სახლებს, დაუშენენ თოფებს, აუწიოკებენ ოჯახს და აიძულებენ ხელი აიღონ ხალხის პოლიციასთან დასმენაზე. (ასეთ თავდასხმას გურიაში უწოდებდენ „ზალპს“).

ტეროორი გურიაში გახშირდა. ყველა ურჩს და ხალხის შეურიგებელ მტერს სიცოცხლეს ასალმებენ (ან, როგორც მაშინ იტყოდენ, „წესს უგებენ“).

მრავალ პოლიციელს და „ჩაჩუტს“ „აუგეს წესი“ გურიაში. მოჰკლეს ბლაღოჩინი ნიკო რამიშვილი, პრისტავი კოსტავა, თავადი ტიფო ნაკაშიძე, ბარნაბა ქარცივაძე და სხვ.

ორგანიზაციული მუშაობის დასაწყისი.

ჯერ კიდევ 1902 წელს ვრცელდება გურიაში არალეგალური ლიტერატურა და პროკლამაციები (ფართოდ ვრცელდებოდა რევოლიუციონური მოთხრობა „ოთხი ძმა“). მახსოვს როგორის გულმოდგინებით ავრცელებდა ხალხში პროკლამაციებს ტფილისელი მუშა, „ივერიის“ ასოთ-ამწყობი სერგო ქორიძე და ბათომის „ზავოდის“ მუშა ირაკლი კოტრიკაძე; ჩემს მახსოვრობაში დღესაც წაუშლელია ბათომში დაბეჭდილი პროკლამაციის შინაარსი, რომელსაც ვუკითხავდი გლეხებს. ეს პროკლამაცია თითქმის ზეპირად დამამახსოვრდა, რადგან თითქმის ყოველ სოფელში მიხდებოდა მისი კითხვა. მის წაკითხვაზე ზოგიერთი გლეხი ტიროდა. პროკლამაცია მეტის-მეტი გრძნობით იყო დაწერილი და იგი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. პროკლამაციის ავტორი იყო სოსო (სტალინი).

სამწუხაროდ, პროკლამაციას დღემდე არ მოუღწევია. საინტერესოა ამ პროკლამაციის ზოგიერთი სტრიქონები, რომელიც მე დღემ-

დეც დამამახსოვრდა, იგი შეეხება ბათომის მუშათა დემონსტრაციისათვის ოფიცერ ანთაძის[1]) მიერ თოფების დაშენას და 14 მუშის დაჭრა-დახოცვას. პროკლამაცია ასე იწყებოდა: „ვაჟკაცებო! სალდათებმა დახოცეს მუშები, პატიოსანი მუშები, ქვეყნის ძუძუს მაწოვებელი მუშები; ერთხელ კიდევ გადიხარხარებენ ჩვენი დამჩაგვრელები, ერთხელ კიდევ აქვითინდება ჩვენი ცოლ-შვილი და ყოველივე ეს იმიტომ, რომ მუშებს მოსწყინდათ ძაღლური ცხოვრება“... ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ახალი მოწოდება, რომელიც ასე იწყებოდა: „ამხანაგებო და მოქალაქენო! გახსოვთ მარტის შესანიშნავი დღეები, 8 და 9 მარტი! როცა სამართლიანობის ხმა მეხივით დაგრიალდა ბათომში. ჩვენს პატარა ბათომს ალყა შემოარტყეს, ზარბაზნები სასროლათ გამოუყუდეს და ქუთაისიდან მოყვანილ ყაზახ-სალდათებით მორწყეს ქუჩები და ზავოდები. რა მოხდა ნეტავ მაშინ ბათომში? ნუ თუ მართლა აჯანყდა ხალხი და მთავრობის დამხობა მოინდომეს? არა, მოქალაქენო, ეს ჭორია, ჭორი ანთაძისთანა გარყვნილ ლაქიებისაგან მოგონებული“... და სხვ.

მუშაობა ფართოვდებოდა და მარტო პროკლამაციები საკმარისი აღარ იყო. საჭირო იყო ხელმძღვანელი ორგანიზაციის შექმნა და სიტყვიერი პროპაგანდის ჯეროვან ნიადაგზე დაყენება. ამ მიზნით ეწყობოდა კრებები, სადაც ესწრებოდენ ბათომიდან გამოგზავნილი პირები. რამდენიმე ასეთი კრება მოეწყო ს. ფარცხმაში ნესტორ ჩხიკვაძის თაოსნობით. განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა დასავლეთ გურიაში (სუფსის და გურიანთის რაიონებში). აქ მოძრაობას ხელმძღვანელობდენ ვარდენ ჩხაიძე, ძმანი გურგენაძეები, ქალი ბაბი გურგენაძე, მჟავია და სხ.

ნატანების რაიონში მაშინ მოჰკლეს მოქია, როგორც თავადების დამქაში და ჯაშუში, მოჰკლეს მემამულე ქარცივაძე, ხალხმა წაართვა და არ მისცა ნება თავად-აზნაურებს მოჯამაგირეების ყოლის.

1903 წლის გაზაფხულზე, როდესაც მოაღწია ხვნა-თესვის დრო, მთელ გურიას მოედო გლეხთა გაფიცვები, რომელიც მიმართული იყო მემამულეთა წინააღმდეგ. ნიგოითი, ლანჩხუთი, ხიდისთავი, მიქელგაბრიელი, ჩოხატაური და სხვა ადგილები რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრებათ გადაიქცენ.

---

[1]) კაპიტანი ესტატე ანთაძე იყო ჯარის ასელის თავი, რომელმაც ბრმად შეასრულა მეფის აგენტების ბრძანება და უიარაღო მუშათა დემონსტრაციას თოფები დაუშინა. ამის შემდეგ ანთაძეს სასიკვდილოდ სდევდენ. ქ. ოზურგეთში (ბინაზე) მას მოუწყვეს „ჯოჯოხეთის მანქანა“, მაგრამ იგი გადარჩა. ანთაძე გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით.

ახალგაზრდობა უკვე ეძებდა ხელმძღვანელებს და აქტივობას მოითხოვდა. ამ დროს ხიდისთავში უკვე არსებობდა საკმაოთ მომზადებული ამხანაგების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა იასონ მეგრელიძე, რომელმაც კავშირი დაიჭირა ჩემთან და შეუდექით ორგანიზაციის მოწყობას. საორგანიზაციო თათბირები იმართებოდა დიმიტრი კოტრიკაძის, კვატატია დოლიძის, იაშა კალანდაძის და ივანოვის დუქნებში, ყველა ესენი პარტიის წევრები და აქტიური მომუშავენი იყვნენ. ხიდისთავში ახალგაზრდობიდან მოძრაობას ადრე შეუერთდა დენგილო კალანდაძე (გარდაიცვალა ვიატკის გუბერნიაში).

მოეწყო ორი დიდი მიტინგი: ერთი ჩემს ეზოში, ხოლო მეორე ნაცელცვალას გორაზე. უკანასკნელ მიტინგს დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი, თითქმის, რამდენიმე მაშინდელი საზოგადოება. ამ გრანდიოზული მიტინგის ამბავმა მთავრობის ყურამდეც მიაღწია და სასტიკი რეპრესიები გამოიწვია.

ხატი — მთავრობის აგენტი.

პოლიცია დაეძებდა „ბუნტის მეთაურებს". ცდილობდა ხელში ჩაეგდო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის ხელმძღვანელები, მაგრამ უშედეგოთ. ხალხი სასტიკად იცავდა „მოქადაგეებს" და პოლიციას უმალავდა მათ ნამდვილ ვინაობას. ამ დროს ოზურგეთის მაზრის უფროსი იყო ჯაფარიძე. რაკი პოლიცია ვერას გახდა და ხელმძღვანელებს ვერ მიაგნო, მაზრის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა სხვა გზით ჩაეგდო ხელში მოძრაობის ხელმძღვანელები. მაზრის უფროს ჯაფარიძეს ურჩიეს ხალხისთვის ფიცი მიეღებინებია სოფ. სურების ეკლესიაში, მთელს გურიაში თავისი „სიძლიერით" და „სასწაულთმოქმედებით" არსებულ განთქმულ ხატზე, ეგრედ წოდებულ „ლომის-კარელზე". ასეთი რჩევა მაზრის უფროსს მისცა ბლაღოჩინმა ნიკო რამიშვილმა. მართლაც, ხალხი ამ ხატზე დააფიცეს და ზოგიერთი ფანატიკოსი გამოსტეხეს. ამრიგად „ძლიერი" „ლომის-კარელი" შეიქნა პოლიციის შეუდარებელი აგენტი. ამ ხატის წყალობით სულ ადრე ამ სტრიქონების ავტორმა, იასონ მეგრელიძემ და სამსონ კალანდაძემ ოზურგეთის საპყრობილეში ამოჰყვეს თავი.

სოფლიო გადადგებული 1903 წელს. ოვისტის პირველ რიგებში. ქვეთაბის საგზებერნო ციხეში. ამ ჯგუფში არ მიხვდა ბევრი სხვა.

ამხანაგები, რომლებიც ამ დროს ქუთაისის ციხეში ისხდნენ (ზოგი მათგანი ციხის საავადმყოფოში იწვა).

სურათი გადაღებულია ფოტოგრაფ ხუნდაძის მიერ. ხუნდაძესთან ერთად ციხეში მოდიოდა ახალგაზრდა ყმაწვილი ბენია ბერიძე, რომელსაც ციხეში შემოჰქონდა წერილები და ტუსაღებიდან გაჰქონდა ასეთებიც. ბენია ბერიძე დახვრიტს მენშევიკებმა გურიაში ბალშევიკური გამოსვლების დროს 1919 წ. აქ მოთავსებულია:

1. **ანანაია დოლიძე,** ს. ხვარბეთიდან, მიწის მუშა-გლეხი. გარდაიცვალა არხანგელის გუბერნიაში (გადაასახლეს 3 წლით).

2. **პავლე მაქსიმეს ძე ხომერიკი,** როტშილდის ქარხნის მუშა, ს. მიქელ-გაბრიელიდან; გარდაიცვალა შავი ყვავილით ქ. ველუისკში.

3. **სამსონ ოტიას-ძე ხომერიკი,** მიქელ-გაბრიელიდან, სოფლის მუშა, გად. ციმბირში 6 წლით, გარდაიცვალა სახლში 1906 წ.

4. **იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი** (სტალინი), რ. კ. პ. ცეკას გენერალური მდივანი.

5. **ბებურ დავითის-ძე ხომერიკი,** მიქელ-გაბრიელიდან, სოფლის მუშა-გლეხი. გად. ციმბირში 6 წ. (ცოცხალია).

6. **დარისპან ხუჭუა,** როტშილდის ქარხნის მუშა, ს. მაღლაკიდან.

7. **გურგენ ონისიმეს-ძე გურგენაძე,** ს. სუფსიდან, სოფლის მუშა, მაშინ დიდი მომუშავე — აგიტატორი და პროპაგანდისტი დასავლეთ გურიაში; გადაასახლეს 10 წ. (ცოცხალია).

8. **მიხეილ ელიშუღის-ძე მოქია,** სოფელ ხრიალეთიდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

9. **ირაკლი გიგოს-ძე მიმინოშვილი,** სოფლელი მუშა. ს. სამხთოდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

10. **ალექსანდრე თარხანის-ძე ხომერიკი,** ს. ხრიალეთიდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით; დასნეულდა და სახლში გარდაიცვალა 1906 წელს.

11. **იოსებ ხოსიას-ძე ზოიძე** ს. სამხთოდან, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით; დღესაც ცოცხალია, არის 90 წლის.

12. **პავლე ბალანჩივაძე,** როტშილდის მუშა, ფრიად პატიოსანი და გულწრფელი მომუშავე. გადაასახლეს რუსეთში 3 წლით. დაჭლექებული დაბრუნდა და 1906 წ. გარდაიცვალა ს. ჯიხაიშში.

13. **თენგიზ ჟღენტი,** ჟანდარმთა სამმართველოს მიერ მისი საქმე გადაეცა მთავარ-მართებელ გალიცინს, რომელმაც თავის მხრით საქმე გადასცა შინაგან საქმეთ მინისტრს. გაანთავისუფლეს, როგორც მცირე წლოვანი თავმდებობის ქვეშ 1903 წლ. დამლევს.

14. **პროკოფი დოლიძე,** ზემო გურიიდან, პროპაგანდისტი და აგი-

ტატორი, ჩამოახრჩვეს ექიმ ტრიანდაფილიდისის მოკვლისათვის კოწია ჟღენტთან, რამიშვილთან და სხვებთან ერთად.

15. **არჩილ გურგენაძე,** ს. ჩოჩხათიდან, სოფლელი მუშა, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.

16. **მიხეილ მჟავია,** ს. ხვარბეთიდან, სოფლელი, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.

17. **სამსონ ბეჟანის-ძე ცერცვაძე,** ს. სამხთოდან, სოფლელი მუშა, გადაასახლეს რუსეთში 6 წლით.

18. **ნესტორ ილარიონის-ძე კეჭაყმაძე,** ს. ზედობანიდან, სოფლელი, აგიტატორი და კრებების მომწყობი, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

19. **ილია ოქროპირის-ძე კოპალეიშვილი,** თბილისის რკინის გზის სახელოსნოების მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

20. **ანტონ სტურუა,** ბათომის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით. (სამტრედიელი).

21. **ბესარიონ კონსტანტინეს-ძე მითაიშვილი,** ს. სუფსიდან, კრებების მომწყობი და აგიტატორი, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით.

22. **მიზარბეგ დავითის-ძე გოგრონიძე,** ს. სამხთოდან, კრების მომწყობი და ხაზინადარი, გადაასახლეს ციმბირში 8 წლით, ცოცხალია — 72 წლისაა.

23. **სევერიანე ხვიჩია,** ს. მაღლაკიდან, ბათომის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

24. **ვარდენ მაქსიმეს-ძე ჩხაიძე,** მასწავლებელი, გადაასახლეს ციმბირში 10 წლით.

25. **ნოე გოგის-ძე ზოიძე,** ს. სამხთოდან, სოფლელი მუშა.

26. **გიორგი ალექსანდრეს-ძე ქადეიშვილი,** ს. მიქელ-გაბრიელიდან, სოფლელი მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

27. **სტეფანე ონისიმეს-ძე გურგენაძე,** ს. სუფსიდან, სოფლელი, გადაასახლეს ციმბირში 6 წლით. ძმის, გურგენიძის, ხელის მომწყვე.

28. **ილიკო საკანდელიძე,** ს. გორისიდან, ბათომის ქარხნის მუშა, გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

29. **გიორგი დიმიტრის-ძე კაკაბაძე,** ბათომის ქარხნის მუშა, სამტრედიიდან. გადაასახლეს რუსეთში 3 წლით.

30. **ილია ივანეს-ძე კოპალეიშვილი,** ბათომის ქარხნის მუშა, პროპაგანდისტი და მომუშავე. დახვრიტეს სამტრედიაში გამოსვლების დროს.

31. **სოლომონ დათას-ძე ხომერიკი,** ს. მიქელ-გაბრიელიდან გად. 6 წლით ციმბირში. დასნეულდა და სახლში გარდაიცვალა.

ბათომის ყრილობა.

ჯერ კიდევ ჩვენს დაპატიმრებამდე ბათომიდან მივიღე ბენია ჩხიკვიშვილის ბარათი, რომელშიაც იგი იტყობინებოდა, რომ ივნისის პირველ რიცხვებში ბათომში შეიკრიბება სოფლად მომუშავეთა ყრილობაო. ჩხიკვიშვილი მოითხოვდა ჩემს დასწრებასაც.

გურიაში ამ დროს ერთი მთლიანი ხელმძღვანელობა არ იყო. ბათომის კომიტეტის ხელმძღვანელობა არ იყო საკმარისი. ასეთი მდგომარეობის გამო ბათომის კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწვია გურულების ყრილობა და შეემუშავებია სახელმძღვანელო ხაზი გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად.

ყრილობა გაიხსნა 1903 წ. 15 ივნისს ბათომის ქართულ სკოლის შენობაში. ყრილობას დაესწრენ: ბათომიდან — გოგილო ცინცაძე, ჭოლა ლომთათიძე, ნოე ხომერიკი, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვლ. მამალაძე, გ. ურატაძე და სხვ.; ოზურგეთიდან — კოლია ქარცივაძე და ივსიხი სალუქვაძე; ლანჩხუთიდან — არონ ჩხაიძე; ხიდისთავიდან — ვარლამ კალანდაძე და იასონ მეგრელიძე; სუფსიდან — ქალები ბაბი და სოფიო გურგენაძეები; ფარცხმიდან — გრიგოლ ცინცაძე; აკეთიდან — ეპიფანე მგელაძე; ბუკისციხიდან — სამსონ კალანდაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ყრილობის მიერ გარჩეულ საკითხებში ყურადღებას იპყრობდა ტეროორის და ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხები.

ტეროორისტული სისტემის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ნ. რამიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ტეროორისტული აქტების შეწყვეტა.

რამიშვილის წინააღმდეგ გამოვიდენ გლეხი დელეგატები და ზოგიერთი აქტიური მუშაკები. ყრილობამ უარყო ტეროორის სისტემა, როგორც ბრძოლის ესერულ-ბუნტარული მეთოდი.

ორგანიზაციული სტრუქტურის საუკეთესო ფორმად მიჩნეულ იქნა ათისა და ასისთავების სისტემა და წრეების მოწყობა. წრის ფულად დაწესდა ,,ააზი (მაშინდელი წრე და წრის ფული მოგაგონებთ ეხლანდელ უჯრედს და საწევრო გადასახადს).

ორგანიზაციული სტრუქტურა.

მთელი გურია პირველად დაყოფილი იყო 5 რაიონად. შემდეგ რაიონი 7-დე ავიდა. რაიონის წარმომადგენელთაგან შემდგარი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური კომიტეტი. ცენტრალურ კომიტეტთან არსებობდა პროფესიონალ მომუშავეთა ბიურო.

რაიონს შეადგენდა რაიონის წარმომადგენელი, ხაზინადარი და ორგანიზატორი. ეს იყო რაიკომი.

საზოგადოების მეთაურად ითვლებოდა საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ევალებოდა წრეების საერთო ხელმძღვანელობა, ათის და ასისთავებისაგან წრის ფულის ჩაბარება. ფული ხმარდებოდა უმთავრესად „გადავარდნილ ხალხს", მუდმივი მუშაკები ღებულობდენ დახმარებას, მაგრამ იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევაში.

წრის ფულის გარდა გურიის კომიტეტი ჰკრეფდა აგრეთვე ეგრეთ წოდებულ „თოფის ფულს". ამ გადასახადის დანიშნულება იყო იარაღის შეძენა. გადასახადი განსაზღვრული იყო 2 მანეთით და ღარიბთათვის უფრო ნაკლებით. იშვიათი იყო შემთხვევა, რომ თოფის ფული ვინმეს არ გადაეხადოს.

შეიარაღებულ ძალას პირველად „მოწინავე რაზმს" უწოდებდენ. ამ რაზმში ეწერებოდა ყველა თავდადებული და საიმედო ელემენტები. მოწინავე რაზმის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა გრიშა დუმბაძეს. „მოწინავე რაზმს" ბოლო ხანებში დაერქვა „წითელი რაზმი". ეს სახელწოდება გურიაში გადმოვიდა ქართლიდან და იმერეთიდან, სადაც ამილახვარ-სულხანიშვილის შავ რაზმებს დაუპირდაპირდა წითელი რაზმები.

გურიაში შავი რაზმის შედგენის ცდაც იყო. მაშინდელმა თითოოროლა რეაქციონერებმა თავი მოიყარეს ოზურგეთში ლომკაცი აბაშიძის სახლში და ბჭობა გამართეს შავი რაზმის მოწყობის შესახებ. რეაქციონერთა გეგმა არ განხორციელდა გურიის პირობებში.

განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდენ მშრომელი ქალებიც, ისინი მოითხოვდენ პროპაგანდისტებს და წრეების ხელმძღვანელთ. მიტინგებს და საზოგადო კრებებს ქალები მრავლად ესწრებოდენ. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ცოლები მეტ აქტივობას იჩენდენ ვიდრე ქმრები.

ქალები სასტიკად იცავდენ და ასრულებდენ კომიტეტის ყოველგვარ განკარგულებას. საერთოდ გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მშრომელ ქალებს თვალსაჩინო მონაწილეობა მიუძღვით.

მუშაობა ჯარისკაცებში.

პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა ჯარისკაცების თავისაკენ მომხრობას. თვით გურიაში ქართველი ჯარისკაცები არ იყო. ცნობილია,

რომ რუსის თვითმპყრობელი მთავრობა ქართველ ახალგაზრდობას მიერეკებოდა რუსეთის იმპერიის შორეულ ქალაქებში და ანაწილებდა სხვადასხვა ლეგიონებში, მაგრამ მათ შორის პროპაგანდის გაწევა და ზეგავლენის მოხდენა ხდებოდა გაწვევის და სოფლად შვებულებაში ჩამოსვლის დროს. მთელი სოფელი დიდის აღტაცებით და დაკვირვებით ხვდებოდა სხვადასხვა ფორმიან ტანსაცმელით და შინელით რუსეთიდან ჩამოსულ სამშობლოს შვილებს. ხშირად მათზე ისეთ ზეგავლენას ახდენდა ხალხის ერთსულოვნობა, რომ სალდათი ძზად იყო წასულიყო და გვერდში ამოსდგომოდა ხალხს, მაგრამ კომიტეტი ამის ნებას არ აძლევდა, რადგან შეგნებული ჯარისკაცების ყოფნა თავიანთ ნაწილებში იყო საჭირო. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელი იყო, ამა თუ იმ პირს მიეცემოდა დეზერტირობის ნებართვა. სხვანაირად არავის ნება არ ჰქონდა არ წასულიყო ჯარში ან იქიდან გამოპარულიყო. თავისთავად ცხადია, რომ გურიის ფართე მასა სწორეთ იმიტომ აფასებდა სოც.-დემოკრ. კომიტეტს, რომ კომიტეტი ტაქტიკურათ და მასასთან შეთვისებულათ მუშაობდა. როდესაც კი სავსებით მოიშალა მთავრობის აპარატი, ჯარში გაწვევა თავისთავად შესწყდა და კომიტეტი ამის ნებას რთავდა.

გუბერნატორ სმაგინის და ჟანდარმთა სამმართველოს პოდპ. შჩაბელსკის მოხსენებანი პოლიციის დეპარტამენტს.

სმაგინი და ჟანდარმთა სამმართველო შეუდგა გურიაში არაჩვეულებრივ ზომების მიღებას და პატაკების გზავნას პეტროგრადში. აი რას ვნახულობთ ქ. მოსკოვში (ლენინგრადის არქივში) გურიის მოძრაობის შესახებ. დოკუმენტი დაწერილია რუსულად, ჩვენ ვამჯობინეთ მისი რუსულადვე მოთავსება.

Секретно.

20 августа 1903 г.

Вр. и. д.
НАЧАЛЬНИКА
КУТАИССКОГО
губернского
ЖАНДАРМСКОГО
Управления

13 августа 1903 г.
№ 2771
г. Кутаис.

В ДЕПАРТАМЕНТ ПОЛИЦИИ.

В дополнение к представленному уведомлению по форме лит. А. 10 этого августа за № 2605, имею честь донести департаменту полиции, что отношениями от 15 и 24 июля этого года Озургетский Уездный

Начальник уведомил, что главными руководителями движения среди крестьян Озургетского уезда являются члены батумского и других социал-демократических местных комитетов из коих известный Исидор Рамишвили, учитель Батумской грузинской школы, его родственник бывший студент Ной Рамишвили; активными деятелями в данном деле являются вольнопрактикующийся врач в гор. Кутаисе Пармен Чичинадзе и житель м. Хони Кутаисского уезда Буду Мдивани.

Из тех же отношений усматривается, что 19 мая этого года в Озургетском уезде близ селения Цихе была сходка крестьян, которой пропагандировали состоящий под особым надзором полиции Яссон Мегрелидзе и учитель Цихской церковно-приходской школы Тенгиз (он же Феофан) Жгенти. Вследствие изложенного было возбуждено дознание в порядке 1035 ст. уст. угол. суд. по какому ныне пока установлено, что Яссон Мегрелидзе, Тенгиз Жгенти пропагандировали 19 мая этого года на сходке близ селения Цихе. Произведенным обыском у Тенгиза Жгенти найдена печатная прокламация. На сходку эту звал крестьян Самсон Каландадзе; далее установлено, что Исидор Рамишвили состоит членом комитета, распространяет через Тенгиза Жгенти прокламации противоправительственнаго характера среди крестьян Озургетского уезда. Все упомянутые лица Яссон Мегрелидзе, Тенгиз Жгенти, Исидор и Ной Рамишвили и Самсон Каландадзе привлечены к дознанию в качестве обвиняемых по 2 ч. 250 ст. Улож. о наказ. привлечены также обвиняемыми Мате Арошидзе, Григорий Уротадзе и Антон Пирцхалайшвили – пропагандисты на сходке, бывшей близ селения Чконагвари в пределах Ланчхутского полицейского участка и Чохатаурского полицейского участка Озургетского уезда.

Подполковник (подпись)

„იავკების“ გაცემის წესი და კომიტეტის ბეჭედის ძალა.

ბევრი პარტ-მომუშავე ეკონომიურათ შევიწროებული იყო, პროფესიონალებს ეძლეოდა დახმარება, მაგრამ ის ძლიერ მცირე იყო, მით უმეტეს, რომ პარტიას საწევრო ფულიდან საკმაო თანხა არ უგროვდებოდა და, რაც შემოდიოდა, ძლივს-ძლივობით ყოფნიდა ფურცლების გამოცემას და ცენტრში კავშირისათვის ამხანაგების გზავნას. ამიტომ ხშირად ესა თუ ის მომუშავე აიღებდა ნებართვას ქალაქში წასვლის შესახებ — „იავკა“ ეძლეოდა ძლიერ ფრთხილად. იავკის მიცემა კომიტეტში უნდა გადაწყვეტილიყო, აქტიურ მომუშავეს ეძლეოდა ასეთი „იავკა“: რომ ის არის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრი; არა აქტიურს — რომ ის არის თანამგრძნობი ან პოლიტიკურათ საიმედო, გურიის კომიტეტის ბეჭედით „პატარა ბარათის“ მიღება დიდ აღტაცებას იწვევდა. ბეჭედს დიდი ძალა ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი არამც თუ პარტიის წევრს, გარეშე მოქალაქესაც კი ეშინოდა. თუ კი ვინმე ბეჭედ დასმული ქაღალდით რაიმე გაფრთხილებას მიიღებდა მისი რეაქციონერობისა ან სხვა რაიმე მოძრაობისათვის .მავნე საქმეზე, ის „მიწა-გათხრილი“ იყო და ცდილობდა გასწორებულიყო; გურიის მოძრაობა თავიდანვე ისეთ პირობებში ჩადგა, რომ კერძო ინტერესებს ან ხელმძღვანელების მიერ გადამეტებას და უტაქტიკობას ადგილი იშვიათად ჰქონდა, ამავე დროს სუფევდა მომუშავეთა შორის სრული სოლიდარობა, „სკოლკა“ და ინტრიგა, კარიერიზმი და სხვა მრავალი „მარგალიტები“ პარტიამ არ იცოდა. გამეფებული იყო ერთი მეორეს დაფასება და სრული ამხანაგობა. ამავე დროს, რაც უნდა პირობები ყოფილიყო რეაქციის მიზეზით, მაინც ტარდებოდა ხმის დიდი უმეტესობით არჩევნები ხელმძღვანელი ორგანოებისა. გურიის ორგანიზაცია შენდებოდა ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებზე, ხშირად ასარჩევის გარეთ გაშვება (კრებიდან დათხოვნა) იცოდენ, ან თვითონ მოითხოვდა გასვლას, რათა მას არ გაეგო ვინ მისცემდა შავს ან თეთრს, კრების დაშლის შემდეგ არჩევნებით ან კამათით უკმაყოფილოს ვერ ნახავდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

პარტიაში მიღების პირობები. — წრეებში მეცადინეობის სისტემა. — დემოკრატია, სოციალ-დემოკრატია და პროპაგანდისტთა წრე. — გურიის კომიტეტის სხდომები. — „ახალთაობა", ბრძოლა ძირმომპალ ტრადიციების წინააღმდეგ და ახალი ყოფა-ცხოვრება. — ბოიკოტი სიტყვა „გლეხის" ხმარებისათვის. — წოდების გაუქმება გურიაში. — ახალთაობის გავლენა არამშრომელ ელემენტებზე.

პარტიაში მიღების წესი.

პარტიაში მიღებას აწარმოებდა წრე (უჯრედი). წრის რომელიმე წევრი დასვამდა საკითხს ამა თუ იმ პირის მიღების შესახებ, კანდიდატის გარშემო გაიმართებოდა მსჯელობა. პოლიტიკურ საიმედობაზე ლაპარაკი არ იყო საჭირო. ეს წინასწარი პირობა იყო პარტიაში შესვლის ყოველი მსურველისათვის. მსჯელობა სწარმოებდა მხოლოდ იმის შესახებ, შესძლებდა თუ არა მისაღები პირი კონსპირაციის დაცვას, პარტიის დავალებების პირნათლად შესრულებას, ჰქონდა თუ არა ხალხში კარგი სახელი და სხ. პარტიაში მიღება საბოლოოდ წყდებოდა ხმის უმრავლესობით, პოლიტგამოცდა არ არსებობდა, რადგან პარტიის ყოველი ახალი წევრი წრეში შეისწავლიდა პოლიტანბანს. წრეებში გაცხოველებული მეცადინეობა სწარმოებდა. თუ ზეპირად არავის შეეძლო მოხსენების გაკეთება, ერთი რომელიმე ხმამაღლა კითხულობდა რაიმე ბროშიურას, ან პოლიტიკურ პამფლეტს, ხოლო დანარჩენები ცხოველ მონაწილეობას ღებულობდენ წაკითხულის განხილვა-გაშუქებაში. წრეებში უმთავრესად გადიოდენ „ერფურტის პროგრამას", საშა წულუკიძის „ნაწყვეტებს პოლიტიკური ეკონომიიდან", ლენინის და მარტოვის პოლიტიკურ წერილებს და სხ. იმათთვის, ვინც პარტიაში არ იყო, მაგრამ მარქსიზმის ანბანის შესწავლა სურდა, არსებობდა ცალკე წრეები. ამრიგად ყველა მსურველს ჰქონდა პოლიტიკური მომზადების და განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეგნებულად მონაწილეობის მიღების საშუალება.

დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია.

პარტიაში მიღება არ იყო ადვილი საქმე. პარტიის წევრობას სჭირდებოდა პოლიტიკური შეგნების განსაზღვრული დონე, გამბედაობა, ნდობა, ხალხის თვალში დამსახურება; ამიტომ იყო, რომ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მსურველი პარტიაში არ ხვდებოდა. ნაკლებად აქტიური ელემენ-ტებისათვის არსებობდა დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელშიაც ღებულობდენ მოძრაობის ყველა თანამგძნობნ. დემოკრატიულ ორ-განიზაციებში შესვლის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენდა სო-ციალისტობა.

დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული წრეების სამაცა-დინოთ საჭირო იყო მომზადებულ პროპაგანდისტთა კადრი. ასეთი კადრის მომზადებას აწარმოებდა გურიაში პროპაგანდისტთა ცნო-ბილი წრე, რომელშიაც იყვნენ რაფიელ ჩიხლაძე, ბენია ჩხიკვიშვილი, იასონ მეგრელიძე, ჭოლა ლომთათიძე, გერმანე მგალობლიშვილი, გოგილო ცინცაძე, პავლე საყვარელიძე, აფთონ წულაძე, მიტო მგე-ლაძე, თ. კალანდაძე, ვ. მამალაძე, ისიდორე თალაკვაძე, გიორგი ში-ლაკაძე, სერგო წეროძე, გიორგი მურვანიძე და სხვ.

შესდგა პროპაგანდისტთა სამაცადინო წრე. წრის მთავარი ლექ-ტორები იყვნენ ნ. ჟორდანიას ცოლი, გოგილო ცინცაძე.

გურიის კომიტეტი.

კომიტეტი აერთიანებდა და ხელმძღვანელობდა გურიის ყველა რაიონებს. კომიტეტის სხდომებზე მოხსენებით გამოდიოდენ რაიონის წარმომადგენლები. ისინი ახასიათებდენ მდგომარეობას ადგილებზე: რა დამახასიათებელ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ამა თუ იმ რაიონში, ვინ იყო მოძრაობის წინააღმდეგი, როგორ უყურებდა გლეხობა „ახალ თაობას“, როგორ იკრიბებოდა წრის გადასახადი, როგორ იქცეოდენ „გადავარდნილები“, რა აზრის იყვნენ გლეხები მიწის საკითხზე და სხვა ამგვარ საკითხებს; დროგამოშვებით კომიტეტის სხდომას ესწრე-ბოდა ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც გააკეთებდა საინფორ-მაციო მოხსენებას საერთო მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავდა სხვა პარტიებთან ურთიერთობას და გააცნობდა კომიტეტს მომავალი მუ-შაობის საერთო ხაზს; კომიტეტის სხდომები მუდამ ცხოველი და შინაარსიანი იყო. იგი ხშირად გათენებამდე გრძელდებოდა.

სხდომები ეწყობოდა სასტიკი კონსპირაციის ქვეშ საიმედო ოჯა-ხებში. რეაქციის შემდეგ კომიტეტის სხდომები ხშირად იმართებოდა ხიდისთავში ბერეჟიანის დიდ სახლში. როგორც მახსოვს, მაშინ იქ იყვნენ ანანია სალუქვაძე, პარმენ ცინაცძე, გ. კოპლატაძე და სხვ. ოზურგეთში კომიტეტის სხდომა იშვიათად იმართებოდა, რადგან უფრო საიმედო იყო აღმოსავლეთი გურია — ხიდისთავი, ჩოხატაური, სურები, ლანჩხუთი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის საერთო კრებები არ ხდებოდა ხშირად. უმთავრესად კრებები იმართებოდა სარაიონო კომიტეტის წინ. იშვიათად თუ პარტიის რომელიმე წევრი დააკლდებოდა სარაიონო კრებას.

პარტიის წევრთათვის მაშინ მანდატი არ იყო ხმარებაში. თუ პარტიის წევრი სადმე იგზავნებოდა, ან თვითონ მიდიოდა, მას ეძლეოდა ბეჭედ-დასმული ქაღალდი, რომელსაც „იავკას“ უწოდებდენ.

„ახალთაობა“ და გურიის გლეხობა.

„ახალთაობას“ გურიაში დიდების შარავანდედით მოსილი სახელი ჰქონდა. ამ სახელწოდების ქვეშ წარმოდგენილი ჰქონდათ უსამართლობასთან, ხალხის მტრებთან და ქვეყნის ორგულებთან მებრძოლი, რომელსაც მთელი თავისი ძალღონე და პირადი კეთილდღეობა ხალხის ბედნიერების სამსხვერპლოზე მიჰქონდა.

ყოველ გურულ გლეხს უყვარდა და პატივს სცემდა ახალთაობის კაცს. ისე სუფრა არ გაიშლებოდა, რომ დამსწრეთ არ დაელიათ „ოთხ-კედელში გამომწყვდეულთა“ სადღეგრძელო (ოთხ-კედელში მომწყვდეულს უწოდებდენ დაპატიმრებულ, ან გადასახლებულ ახალთაობელს). ახალთაობის ხალხი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყველა საზოგადოებრივ საქმეებში. ახალთაობა ებრძოდა ძველ დახავსებულ და ხალხისათვის მავნე ტრადიციებს: „წაბურვას“, (მიცვალებულის ოჯახისათვის ფულით დახმარება), „ზარს“, აღაპს, ხარჯიან ქორწილს, მიცვალებულისთვის სანთლის მიტანას. სანთლის მიტანის მაგივრად ახალთაობის გავლენით გურიაში შემოვიდა გვირგვინის მიტანა.

ახალთაობის პროპაგანდის წყალობით გურიაში თითქმის ყველგან გადავარდა ეს ძველი ჩვეულებები და ხალხში ყოფა-ცხოვრების ახალი ნაკადი შემოიჭრა.

სიტყვა „გლეხის“ ხმარებიდან გადავარდნა.

მოქადაგე არც ჩვეულებრივ საუბარში, არც მიტინგზე და არც წერის დროს სიტყვა „გლეხს“ არ ხმარობდა. გურული გლეხი შეურაცყოფილად იგრძნობდა თავს მისთვის რომ „გლეხი“ გეწოდებინათ. —

ამ დროს ხმარებაში იყო „მოქალაქე“ ან „ხალხი“.

1904 წლის დამლევს გურიის ერთ სოფელში, სახელდობრ, საყვავისტყეში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთმა აზნაურმა,

ოომელიც თავიდანვე ახალთაობას თანაუგრძნობდა, ლაპარაკის დროს თანამოსაუბრეს „გლეხი“ უწოდა. შეურაცყოფილმა მელქისა ჯიქიამ ეწყინა აზნაურ დიმიტრი შარაშიძის ასეთი უდიერობა. მან ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ასისთავი იყო, მოუყარა თავი ათისთავებს და მოახსენა მათ აზნაურ შარაშიძის მიერ მისი შეურაცხყოფის ამბავი. ათისთავების თათბირმა დიმიტრი შარაშიძეს ბოიკოტი გამოუცხადა. მეორე დღეს ახალი წელი იყო. როდესაც წირვა დასრულდა, ათისთავებმა ხალხს აცნობეს შარაშიძისათვის ბოიკოტის გამოცხადების ამბავი. ხალხი ერთი მეორეს ულოცავდა ახალ-წელს, ხოლო შარაშიძეს არავინ ეკარებოდა, მას ნათესავებიც-კი გაურბოდენ. თავზარდაცემული შარაშიძე ხალხს გაშორდა. ამ საქმეში ჩქარა საზოგადოების და რაიონის წარმომადგენელი ჩაერია. შარაშიძე არ იყო ბოიკოტის ღირსი. დაინიშნა კომისია, რომელმაც მას ბოიკოტი მოხსნა. ეს შემთხვევა ნათლად გვისურათებს გურულის უსაზღვრო სიძულვილს სიტყვა „გლეხისადმი“.

წოდების გაუქმება გურიაში.

გურიის თავად-აზნაურობა თავის გავლენით და ქონებრივი მდგომარეობით თვალსაჩინოდ ჩამოუვარდებოდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას. თავად-აზნაურობა გადაგვარება-გაკოტრების გზაზე იყო დამდგარი და სოფლის „მოკულაკო“ გლეხობისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ თავისი პრივილეგიებით. თავად-აზნაურობის პრივილეგია კი შეადგენდა ურმის ბეგარაში არ გაწვევას, გზის სამუშაოზე არ გაყვანას, ფოსტის ფულისაგან (გადასახადებისაგან) განთავისუფლებას და სხვა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი იერიში მიტანილი იქნა წოდების გაუქმებისაკენ. ჩაიგდო თუ არა ხალხმა ხელში ძალაუფლება, არჩეულ იქნა კომისიები სასოფლო გზების და ხიდეების შესაკეთებლად. სასოფლო საქმეებს მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა პარტია. გზების სამუშაოდ გამოდიოდა ყველა წოდების კაცი — თავადი, აზნაური და მღვდელი. ეს მოულოდნელი გამოდგა „ბრწყინვალე“ წოდებისათვის, მაგრამ ხალხის სურვილს ისინი წინ ვერ აღუდგენ. დღეს ხშირად უყვართ ლაპარაკი, რომ 1905 წელში გურიაში ნამდვილი ერთობა და ხალხსნობა იყოო. ეს ნაწილობრივ მართალია. გურული აზნაურობა და სამღვდელოების დიდი უმეტესობა ეკონომიურად თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა გლეხობისაგან. სწორედ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის, რომ აზნაურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელოება, მცირედის გამონაკლისით, განმათავისუფლებელ მოძრაობას მიემხრო.

რასაკვირველია, პრივილეგიურ წოდებიდან იყვნენ ისეთი ელემენტებიც, რომლებიც გააფთრებით ებრძოდენ ახალ მოძრაობას. ამათ წინააღმდეგ ხალხი ზომებს ღებულობდა. იყო შემთხვევები, როდესაც შავრაზმელი მღვდელი ტერორისტებმა დაიჭირეს და ძალით გაკრიჭეს.

თუ რამდენათ ძლიერი იყო ახალთაობის ძალა და გავლენა მთელს ხალხზე, ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ლიბერალური სამღვდელოება აქტიურად ებმებოდა მოძრაობის ფერხულში და ხალხთან ერთად ებრძოდა თვითმპყრობელობას. ასეთი იყო მაგალითად მღვდელი დიომიდე შილაკაძე, სკოლების ზედამხედველი, რომელიც ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში.

მან დასწერა რევოლიუციონური ლექსი-სიმღერა, რომელიც ბათომის კომიტეტმა არალეგალურ ფურცლადაც კი გამოუშვა. ლექსი შემდეგნაირად იწყებოდა:

„გაიღვიძე დაჩაგრულო მხედრობავ, შენს ხელში მთელი ქვეყნის ბედია“ და სხვა.

მღვდელი დიომიდე შილაკაძე მოკვდა ოზურგეთის საპყრობილეში, ასეთივე იყო მღვდელი ეპიფანე კალანდარიშვილი, რომელმაც ანაფორა გაიძრო და მღვდლობა მიატოვა.

მღვდლობა, რომელიც საპატიო და შემოსავლიან ადგილად ითვლებოდა 1905 წლამდე, მოძრაობის შემდეგ სამარცხვინო ხელობად გადაიქცა.

იყვნენ მთავრობის ერთგული აგენტი მღვდლები, რომელთაც ეკლესიაში და ბინაზე სპეციალური ყარაულები სდარაჯობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ხალხის სამართალი, ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან და დახმარება ქვრივ-ობლებს. — მთავრობის კაპიტულიაცია. — ოზურგეთის თვით-მართველობა და ოთხ-ფორმულიანი საარჩევნო სისტემა. — ხალხის ძალა-უფლება, „ხუნხუზობის" ლიკვიდაცია და ნამდვილი დემოკრატია. — გურიის ჯაშუშთა გამაფრთხილებელი პროკლამაცია.

ხალხის სამართალი.

ხალხი თვით იყო თავის თავის მსაჯული. ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება ისჯებოდა სოფლის ყრილობის მიერ, ან უშუალოდ, ან კომისიის არჩევით, ან ათისა და ასისთავების თათბირით. გარდა ბოიკოტისა, რომლის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი, დამნაშავენი ისჯებოდენ იძულებითი საზოგადოებრივი მუშაობით. მაგ., დამნაშავეს დაავალებდენ სასოფლო გზაზე მუშაობას, ან ქვრივ-ობლის მიწა-წყლის დამუშავებას, ან კიდევ ღარიბ და უსახსრო ოჯახისათვის შეშის დამზადებას და სხვა.

საზოგადოების წარმომადგენელნი, ასისა და ათისთავები ზრუნავდენ აგრეთვე იმ მუშაკების ოჯახებზე, რომლებიც მოძრაობის გამო ან შორეულ ადგილას იყვენ გაგზავნილნი, ან დაპატიმრებულნი, ან გადასახლებულნი. ხალხი თავის თავზე ღებულობდა უსაზღვრო და ღარიბ ოჯახების დახმარებას, ქვრივ-ობლების და გაჭირვებულების ყანა-ბოსტნების დამუშავებას, მომარაგებას შეშით და სხვა აუცილებელი საგნებით. ამიტომ იყო, რომ „ერთობას" გურიის ხალხი თვალის ჩინზე უფრო აფასებდა და ალიხანოვ-ავარსკის სისხლიანი ექსპედიციის დროსაც-კი ახალთაობას არ ღალატობდა. ხალხი შეესისხლხორცა ახალ მოძრაობას, ახალთაობის საქმე საკუთარ საქმეთ გაიხადა და თავისი ბედი ტახტის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას დაუკავშირა.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც მთავრობამ სასტიკად აკრძალა საზოგადო კრებები და აღადგინა ხალხის მიერ განდევნილი სასამართლოები, გურიის გლეხობა საბოტაჟის საშუალებით ცდილობდა მთავრობის სასამართლოებისათვის გვერდის ავლას. ხალხი გადაეჩვია მთავრობის მოხელეს, მას ვერ წარმოედგინა, თუ მის სვებედს კვლავ მეფის ყურმოჭრილი ჩინოვნიკები ჩაიგდებდენ ხელში. ლეგალურად ხალხს საშუალება არ ჰქონდა სამართალი საზოგადო-

კრებებზე ან ხალხის მიერ არჩეულ კომისიის საშუალებით მიეღო.

ამიტომ ამ დროს პრაქტიკაში შემოვიდა სამედიატორო სასამართლოები. სამედიატორო სასამართლოებს ვერც პოლიცია კრძალავდა, რადგან იგი კანონით ნებადართული იყო. ხალხი ფართოდ სარგებლობდა ამ უფლებით და იშვიათად ნახავდით გურულ გლეხს პრისტავთან, ან სასამართლოში სამართლის საძიებლად. ამრიგად, სამედიატორო სასამართლოები გურიაში გადაიქცენ ხალხოსნური მართლმსაჯულების ტიპიურ ორგანოებათ.

ოთხფორმულიანი არჩევნები.

ხალხოსნური მოძრაობის სტიქიამ მთავრობა წელში მოხარა. რევოლიუციონური მოძრაობა მთელი რუსეთის იმპერიის სივრცეზე სწარმოებდა. ტახტის წინააღმდეგ აბობოქრებული ტალღა რისხვათ მოევლინა თვითმპყრობელობას და იგი შედრკა. გურიაში გაქარწყლდა პოლიციის ძალა და გავლენა. რეაქციის ძალები მიყუჩდენ და ხალხს დაუთმეს სამოქმედო ასპარეზი. ხალხიც ფართოდ სარგებლობდა მოპოებული უფლებებით.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა, როდესაც გურიის დედაქალაქის სვე-ბედი ჯერ კიდევ ხელთ ეპყრა შავრაზმელთა ხროვას ქალაქის მოურავ ვასილ ხუნდაძის მეთაურობით. ხალხმა განიზრახა თვითმართველობის ხელში აღება და დანიშნა საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი არჩევნები. არჩევნებში, რასაკვირველია, ბრწყინვალედ გაიმარჯვა ს.-დ. პარტიამ და რეაქციონერი ვ. ხუნდაძის ნაცვლად ქალაქის თავად არჩეულ იქნა ს.-დ. მიხაკო ახალაძე. ეს იყო პირველი სოც.-დემოკრატი ქალაქის თავი მთელს რუსეთში. ოზურგეთის სვე-ბედი სავსებით ჩაბარდა ხალხს, რომელმაც ქალაქის საქმეები ნამდვილ თვითმართველობის ნიადაგზე მოაწყო.

ჭეშმარიტი დემოკრატია.

ძალა-უფლება ხალხმა აიღო არა მარტო გურიის დედა-ქალაქში, არამედ მთელს გურიაში. პრისტავს, მთავრობის მოსამართლეს და სახელმწიფო დაწესებულებებს ხალხი ახლოს არ ეკარებოდა. პოლიცია იძულებული იყო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას, მეტი ძალა არ იყო. გურიაში მოისპო ყაჩაღობა და ავკაცობა. ქურდ-ბაცაცები, თავდამსხმელები და ქვეყნის ნაძირალები თითქოს ქვესკნელმა ჩაი-

ტანაო — გაქრენ, აღიგავენ დედამიწის პირისაგან. ვაი იმას, ვინც ავკაცობას ჩაიდენდა და ხალხს შეაწუხებდა. ხალხი მას სასტიკად ასამართლებდა. იყო შემთხვევა, როდესაც ხალხი ბოროტმომქმედთა სიკვდილით დასჯასაც მოითხოვდა. ხშირად საჭირო იყო პარტიის აქტიური ჩარევა, რომ ხალხს ბოროტმომქმედნი სიკვდილით არ დაესაჯა. მახსოვს, ხალხმა მოაწყო ერთი ღირსშესანიშნავი პროცესი აღმოსავლეთ გურიაში. ბოროტგამზრახველები თავს დაესხენ ვინმე რამიშვილის ოჯახს და მოჰკლეს ბავშვი. ხალხმა სწრაფად აირჩია კომისია [1]), რომელმაც დაუყოვნებლივ აღმოაჩინა დამნაშავენი. დამნაშავეთ ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა.

თავდამსხმელებს და ყაჩაღებს ხალხი „ხუნხუზებს“ უწოდებდა. ეს სიტყვა შემოვიდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ხუნხუზებს უწოდებდენ პარტიზანებს, რომლებიც ომის დროს რუსეთის რეგულიარულ ჯარებს ,ესხმოდენ.

„ხუნხუზებს“ ხალხი სასტიკად სდევნიდა. არც ერთი ბოროტმოქმედება აღმოუჩენელი და დაუსჯელი არ რჩებოდა.

ბოიკოტის ყველას ეშინოდა და ცდილობდა არ დასტეხოდა თავს ეს საშინელი რისხვა. ბოიკოტი ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნას, მეზობლებიდან გამოთიშვას, ხალხის გადამტერებას, ჭირსა და ლხინში ხალხის ჩამოშორებას.

ამრიგად გურიის ხალხმა სტიქიურად შექმნა ახალი ცხოვრების ნორმები, რითაც ათასჯერ უფრო იოლად და ნაყოფიერად აწესრიგებდა ცხოვრების ყველა მხარეებს.

ჯაშუშები.

გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობას მტრულად უყურებდენ უმთავრესად ის ელემენტები, რომლებიც მეფის ტახტთან დაკავშირებული იყვნენ სოციალურად და მატერიალურად. ასეთები იყვნენ მემამულენი, მღვდლები, მდიდარი ვაჭრები და ყოველი ჯურის და კალიბრის ჩინოვნიკ-ბიუროკრატები. ეს ელემენტები უძლურნი იყვნენ ხალხზე რაიმე გავლენის მოსახდენათ და ამიტომ მათი უმთავრესი დანიშნულება იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მეთაურთა და აქტიურ ელემენტთა პოლიციისათვის დასმენა-დაბეზღება. მათი დახმარებით მთავრობა თავს ესხმოდა მოძრაობის მეთაუ-

---

[1]) კომისიაში, ჩემთან ერთად, როგორც მახსოვს, მონაწილეობდენ ზემოსურების მასწავლებელი რ. რამიშვილი, ს. კოროშინაძე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოებს, იჭერდა და ასახლებდა მათ, აწიოკებდა ხალხს, ახდევინებდა ჯარიმებს და ყოველგვარ შევიწროვებას აყენებდა მას. ხალხსაც სა-შინლად სძულდა და ეჯავრებოდა ჯაშუშები.

ჯაშუშთა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო სასტიკი ზომები. ბათომის კომიტეტმა, რომელშიაც შედიოდენ ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგილო ცინცაძე, სიმონ თავართქილაძე, ლადიმერ ჯიბლაძე და ივანე მგელაძე, გადასწყვიტა ენერგიული ბრძოლის დაწყება ჯაშუშთა წინააღმდეგ. ამ მიზნით შედგენილ იქნა გურიის ცნობილ ჯაშუშთა სია და დაიბეჭდა ცნობილი პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში გამოქვეყნებულ პირთაგან ზოგიერთი ბოლოს მიემხრო მოძრაობას და ზოგიც მართლა ჯაშუში აღმოჩნდა.

აი ამ ცნობილი პროკლამაციის [1]) შინაარსიც:

„ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით“! კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„ამხანაგებო! თქვენი თავდადებული ბრძოლა თავზარს სცემს გათახსირებულ და ზნედაცემულ რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას და ამიტომაც ის თქვენ წინააღმდეგ არავითარ ზომას არ იშურავს, არავითარ საშუალებას არ თაკილობს, რომ როგორმე თქვენს დიდებულ განმათავისუფლებელ ბრძოლას წინ გადაეღობოს და შეაჩეროს. მარა ეს ხომ შეუძლებელია; შეუძლებელია, რადგან ბევრი ჩვენთაგანი ხედავს, ბევრმა და ძლიერ ბევრმაც შეიგნო ვინაა ნამდვილი ჩვენი მტერი, ვინაა მძარცველ-მტანჯველი — მდიდრების მფარველი. დღეს ვიცით, რომ როცა ლუკმა პური არა გვაქვს, როცა ჩვენ და ჩვენს ამხანაგებს გაჭირვების მძიმე უღელი გვადგია, მილიონობით გადასახადებს გვახდევინებენ და ეს ფული ჩვენს სისხლის მსმელებს — მოხელეებს მიაქვთ საქეიფოთ. ჩვენ ვიცით ყველა ეს და ნუ თუ ამის შემდეგ შეიძლება ჩვენი მოძრაობის გაჭრობა, ან შეჩერება. არა და არა. დღეს ვინც ჩვენ გაჭრობას გვიქადის, ადრე თვით გაჭრება, ვინც ჩვენს მოსპობას გვიქადის, ადრე თვით მოისპობა და ამას მოწმობს არა ერთი და ორი ქვეყნის მაგალითი. კიდევ ამიტომაა, ამხანაგებო, რომ თვითმპყრობელ მთავრობას, რომელიც ხედავს ამას და მხოლოდ სურს თავისი საზიზღარი არსებობა გააგრძელოს, ჩვენს წინააღმდეგ მზად აქვს ცივი და ნოტიო ციხეები, ის სიხარულით გვაგზავნის ცივ ქვეყნებში, სიამოვნებით აჟლეტინებს ჩვენს თავს ჩვენივე ძმებს — სალდათებს და სხვა.

---

[1]) პროკლამაციის დედანი ინახება პარტიის არქივში.

„რომ უფრო კარგად გაიგოს მთავრობამ, თუ რა ხდება ხალხში, ვინ რას ლაპარაკობს, რას აკეთებს, ვინ როგორ უმხელს თავს და ბრმავებულ ხალხს, ამისათვის გაიჩინა მან მრავალი ჯაშუშები. გურიის ყველა სოფელში ჰყავს მას ჯაშუშები, რომლებიც ხალხის უსაშინელეს მტრებს წარმოადგენენ და იმიტომ, რომ ხალხს სხვა ქერქში ეჩვენებიან, ხანდისხან მოძრაობის დამცველადაც გამოდიან და ამ ხრიკებით ატყუებენ, ამნაირ ზომებით უნდათ გამოგვტყუონ სხვადასხვა ცნობები, რომ შემდეგ მათ მომყიდველ საზიზღარ მთავრობას გადასცენ. ამიტომაც ისინი სამარცხვინო ბოძზე უნდა მივაკრათ, მათ მოღალატის ხარისხი მივანიჭოთ. აჰა იცნობდეთ მათ, იცნობდეთ და ერიდეთ სინდისის გამყიდველთ [1]).

აი ესენია და ბევრი მაგისთანები ჩვენი მოღალატენი, ჩვენი სისხლის მწოველ მთავრობის მიერ მოყიდული პირები; ჯერ მხოლოდ გაუფრთხილდეთ მათ, მაშინ-კი, როდესაც რუსეთის შეერთებული მუშათა კლასი გაანადგურებს თვითმპყრობელ მთავრობას, როცა დავამყარებთ თავისუფალ სახელმწიფოს — რესპუბლიკას, მაშინ-კი შური ვიძიოთ დღევანდელ ჩვენს მტარვალებზე, მაშინ მათ ვარგუნოთ დღეს ჩვენთვის გამზადებული სახრჩობელა. და ვაი მაშინ თქვენ, საზიზღარო მოღალატენო ხალხისავ! ვაი მაშინ თქვენ, როცა რევოლიუციის ძლიერი ტალღები დაამხობს და გაანადგურებს თქვენ მომყიდველ საძაგელ მთავრობას და გააბატონებს ხალხს. ვნახოთ ვინ იქნება მაშინ თქვენი დამცველი. ვნახოთ რა დღე გეწევათ ამხედრებულ ხალხის ხელიდან!

ძირს მოღალატე ჯაშუშები!
გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!
ძირს რუსეთის თვითმპყრობელობა!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

სოფლელ მუშათა კომიტეტი.
გურია.

ასეთია ამ ცნობილ პროკლამაციის შინაარსი.

სიის შედგენის ისტორია ასეთია: საზოგადოებისა და რაიონის წარმომადგენლებს დაევალათ წარმოედგინათ ჯაშუშების სია და ვინც კი მათ თავიანთ კუთხეში დაინახეს, ასე თუ ისე მოწინააღმდეგე მოძრაობის, ან ვინც მოძრაობაში არ იყო, სიაში შეიტანეს; რა თქმა უნდა, აქ შეცდომები იყო და ბევრი მათგანი არ აღმოჩნდა ჯაშუში.

---

[1]) ჯაშუშთა სია ამ გამოცემაში არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირიქით, გამოცხადების შემდეგ თავი იმართლეს და გულწრფელად გაიზიარეს მოძრაობის იდეა, ამასთან არც თვით კომიტეტი იყო უტყუარი საბუთებით დარწმუნებული იმაში, რომ ყველანი ღირსი იყო გამოცხადების, მაგრამ ამან მოახდინა ზეგავლენა რეაქციონურ ელემენტებზე, რის შემდეგ მთავრობა იშვიათად თუ იშოვიდა თავისთვის საიმედო კაცს რომელიმე სოფელში. ამიტომ მიზანშეწონილად ვსცანი, მეორე გამოცემაში არ გამემეორებია სია, რომელიც მოთავსებული იყო პირველ გამოცემაში.

Отделение Всесоюзного Об... БИБЛИО...

IV

პოლიტიკურების სასჯელი სტოლიპინის კანონამდე. — სახალხო მასწავლებლობა გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. — გურიის მოძრაობის გამოძახილი და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. — 17 ოქტომბრის მანიფესტი და გურია. — რეაქციის სუსხი და მთავრობის მამასახლისები. — „ლომის-კარელის“ კონფისკაცია.

პოლიტიკურების სასჯელი სტოლიპინის კანონამდე.

ცნობილმა რუსეთის მინისტრმა სტოლიპინმა შეიმუშავა კანონი პოლიტიკურ დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით დასასჯელათ და შემოიღო 102 სტატიის პირველი და მეორე მუხლი, რომლის დამტკიცება ნიშნავდა დამნაშავისათვის კატორღის მისჯას 15 წლამდე. 1906 წ-მდე კი არსებობდა ადმინისტრატიული გადასახლება. ადმინისტრატიულად გადასახლების უფლება ჰქონდა მაზრის უფროსის წარდგენით გუბერნატორს. უფრო მძიმე პოლიტიკური დამნაშავენი კი ჟანდარმთა სამმართველოს წარდგენით და დასკვნით იგზავნებოდენ ციმბირის გუბერნიებში იუსტიციის სამინისტროს დასკვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. სანიმუშოთ მოგვყავს დოკუმენტი იუსტიციის მინისტრის მურავიოვის მიერ მიწერილი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 1904 წ. მაისის 28-ს ოცდა ერთი პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ, ნახული მოსკოვში (ლენინგრადის) არქივში:

МИНИСТЕРСТВО ЮСТИЦИИ
ВРЕМЕННАЯ КАНЦЕЛЯРИЯ
по производству
Особых уголовных дел.
Мая 28 дня 1904 года
№ 4407
С.-Петербург.

Арестантское.
Секретно.

Господину министру внутренних дел.

Возвращено в М-во Юстиции 26 июня за № 4675, для дальнейшаго направления в порядке закона 7 июня 1904 г.

На основании ст. 1035-уст. угол. суд. изд. 1892 года имею честь препроводить при сем к вашему высокопревосходительству дознание по обвинению сына диакона Яссона Мегрелидзе и других, в числе 21 лица, в государственном преступлении, заключении товарища прокурора Тифлисской Судебной Палаты, отношение главноначальствующего гра-

жданскою частью на Кавказе за № 1058 и вещественныя доказательства, покорнейше прося вас, Милостивый государь, почтить меня, с возвращением приложений, отзывом о заключении Вашем относительно дальнейшего направления настоящего дела.

При этом считаю долгом уведомить, что разделяя соображения прокурорского надзора о прекращении уголовного преследования Исидора Рамишвили, Наума Рамишвили, Герасима Хмелидзе, Исидора Мгеладзе, Раждена Хмелидзе, Арсена Хмелидзе, Арсена (Алнеса) Меликадзе, Луки Глонти и Глахуна Хмелидзе по недостаточности улик, я, с своей стороны, полагал бы разрешить настоящее дознание административным порядком с тем, чтобы:

I) Выслать под гласный надзор полиции в Оренбургскую губернию Яссона Мегрелидзе и Прокофия Долидзе на шесть лет, Григория Уратадзе, Антона Пирцхалайшвили, Вардена Хмелидзе, Луку Хмелидзе и Пегра Долидзе на три года, причем оставить без исполнения высочайшее повеление воспоследовавшие о Мегрелидзе 9 июля, а о Прокофии Долидзе,—4 октября 1903 года, и привести в исполнение означенную меру взыскания в отношении Сирадзе лишь в том случае, если он по приговору суда не будет подлежать за преступление общеуголовнаго характера наказанию соединенному с лишением всех прав состояния, и

II) подчинить гласному надзору полиции Тенгиза (Феофила) Жгенти (17 лет) и Бабилину Гургенадзе (17 лет) в месте жительства их родителей на два года.

Не усматривая вместе с тем необходимости в дальнейшем оставлении Мегрелидзе, Каландадзе, Арошидзе, Прокофия Долидзе под стражею, я признавал бы возможным заменить принятую против них меру пресечения менее строгою и не соединенною с лишением свободы, с удалением, однако, названных обвиняемых в порядке ст. 34 положения об охране в местность, предназначенную для их водворения.

В случае согласия вашего высокопревосходительства с таким моим предположением, покорнейше прошу вас милостивый государь, не отказать в соответствующем по сему предмету распоряжении и о последующем почтить меня уведомлением.

Министр Юстиции, Статс Секретарь **Муравьев.**

Заведующий канцеляр. (подпись)

რევოლიუციის საიმედო მოკავშირე.

1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობა გურიაში ძლიერი იყო არა მარტო იმით, რომ მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა გლეხობა იყო, არამედ იმითაც, რომ მას მხარს უჭერდა და გვერდში ედგა ჩვენი მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 1905 წლის რევოლიუციაში საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კერძოთ გურიაში სახალხო მასწავლებლობა თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

გურია სწავლა-განათლებით და, მაშასადამე, სკოლების სიმრავლით პირველ ადგილზე იდგა მთელს საქართველოში. ამიტომ გურიაში მასწავლებელთა ერთობ თვალსაჩინო კადრი იყო. მასწავლებლობა მასიურად მონაწილეობას ღებულობდა მოძრაობაში და ხალხიც მას ენდობოდა და პატივს სცემდა. იშვიათი იყო ისეთი მასწავლებელი, რომელიც ახალთაობას გამოსთიშოდეს და რევოლიუციის მტერთა ბანაკში მოქცეულიყვეს. მასწავლებლებმა მოაწყვეს თავიანთი კავშირი, რომელსაც მაშინ მასწავლებელთა კორპორაციას უწოდებდენ. ხდებოდა გურიის მასწავლებელთა ყრილობანი, ჰყავდათ არჩეული ცენტრალური გამგეობა, რაიონებში კი — რაიონული გამგეობანი და ამრიგად მასწავლებლობა ორგანიზაციულად ღებულობდა მონაწილეობას განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მასწავლებელთა კორპორაცია სასტიკად იცავდა თავის პრესტიჟს. სახელგატეხილ და შავ-ბნელ ელემენტებს კორპორაცია აძევებდა თავის წრიდან. მასწავლებლობა თვალსაჩინო დახმარებას უწევდა პარტიას პოლიტ-განმანათლებელ მუშაობაში.

ცნობილია, აგრეთვე, რომ 1905 წელში გურიის სკოლებში უფროსი კლასის მოწაფეებს ასწავლიდენ ს. დემოკრ. პარტიის პროგრამას და რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიას.

ასეთი იყო გურიის 1905 წლის სახალხო მასწავლებლობა.

გურიის მასწავლებლებიდან აქტივობას იჩენდენ ვარდენ ჩხეიძე, გრიშა ურატაძე ალექსანდრე მითაიშვილი, ვარლამ ხუროძე, არსენ წითლიძე, დიმიტრი კალანდაძე, ნესტორ კალანდაძე, გიორგი ქიქოძე, რაჟდენ კონტრიძე, რაფ. რამიშვილი, მირიან რამიშვილი, აროონ ჩხაიძე, ერმილე შარაშიძე, ამბაკო მგელაძე, სერაპიონ რამიშვილი, იაკიმე უშვერიძე, გიგო შარაშიძე, ბართლომე მეგრელიძე, მიხაკო შარაშიძე, ნოე ქურიძე, ალექსანდრე შარაშიძე, ვალერიან ჯაველიძე, სიმონ რამიშვილი, დათიკო ფოცხიშვილი, ივსიხო სალუქვაძე, აფთონ ცინცაძე, პამფილე ბერიძე, ივანე კალანდაძე, თედორე დოლიძე და სხვები, რომელთა გვარები, სამწუხაროდ, არ მაგონდება.

მღელვარება მოსწავლე ახალგაზრდობაში.

განმათავისუფლებელი მოძრაობის სიო მოსწავლე ახალგაზრდობასაც მოხვდა. სასწავლებლებში დაიწყო „ბუნტები“ და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რას აცნობებდა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს დაცვის უნტერ-ოფიცერი, რომელიც გაგზავნილი იყო გურიაში, თავის უფროსს:

„მოვახსენებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, რომ 30 იანვარს ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლებში, 29 ამა თვეს, მოსწავლემ, რომლის ვინაობა გამორკვეული არ არის, ჩამოიღო ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტი, დადო კლასში მაგიდაზე პირ-ჩაღმა და ზედ წააწერა: ვინც ამ სურათს ხელს ახლებს, ის მოკლული იქნება.

დავსძენ, რომ ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები ფიქრობენ გაფიცვის მოწყობას, აზრად აქვთ მიანგრ-მოანგრიონ მთელი კლასი და იკვეხნიან კიდეც, რომ ინსპექტორს მოვკლავთო.

31 იანვარს მე მივიღე კერძო, მაგრამ სარწმუნო, შემდეგი ცნობები: იმავე სასწავლებელში, დილის 9 საათზე კლასში შეიკრიბნენ მოსწავლენი. მოსწავლეებს მასწავლებლებმა წინადადება მისცეს ეგალობათ სწავლის დაწყების წინ ლოცვა, მოწაფეებმა იგალობეს დაწესებული ლოცვები, და როცა უნდა ეგალობათ ლოცვა მეფისა და მამულისათვის, მოსწავლეებმა მორთეს სიცილი, ხველა, ცხინკვება და უშვერი სიტყვების წამოსროლაც იწყეს ხელმწიფე იმპერატორის და მთავრობის წინააღმდეგ (т. е. свобода, Дзирс-Николоза — по русски: вниз Николай).

შემდეგ სასწავლებლის შუა ადგილას გამოვიდა გურიანთის ნაწილის ბოქაულის თანაშემწის ისიდორე კვაშალის შვილი და მოწაფეებს მასწავლებლების თანდასწრებით მიმართა ხელმწიფე იმპერატორი მგელია, ის ჩვენ სისხლსა გვწოვსო.

რასაც მოვახერხებ თქვენს მაღალ-კეთილშობილებას.

უნტერ-ოფიცერი რეზნიკოვი“.

აი მეორე პატაკიც:

„მოვახსენებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, რომ ოზურგეთის ქალთა საქალაქო სასწავლებლებში 7 მარტს, დილის 10 ს. გაიფიცენ მოწაფე ქალები. მეცადინეობის დროს კედლიდან ჩამოხსნეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტი, რომელსაც საძაგლად დასცინოდენ და შეურაცყოფას აყენებდენ: ამოთხარეს თვალები, მოსჭრეს ცხვირ-პირი და საერთოდ დასცინოდნენ მის უდიდებულესობას; შემდეგ ჩაამტვრიეს ფანჯრებში მინები და გაიქცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვის დროს ხსენებულ სასწავლებლებში იმყოფებოდენ სამეცადინოთ მღვდელი სერგი გალოგრე, სასწავლებლის უფროსი სალაყაიას ქალი, მასწავლებელი ქალები პელაგია მამულაიშვილი და კილაძე.

უნტერ-ოფიცერი ფეოკტისტ რეზნიკოვი".

გურიის მოძრაობის გამოძახილი

1905 წლის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებული სისწრაფით იჩინა თავი გურიაში. მე აქ არ გამოვუდგები ამ გარემოების სოციალ-ეკონომიური საფუძვლების ძებნას. ეს ერთობ შორს წაგვიყვანდა, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გურიაში ამ მოძრაობამ მიიღო მეტის მეტად რადიკალური და აბსოლიუტურად მასიური ხასიათი. უფრო გვიან და უფრო მკრთალად 1905 წლის რევოლიუციონურმა მოძრაობამ გამოძახილი ჰპოვა იმერეთ-სამეგრელოშიაც. ეს კუთხეები საუკეთესო მოკავშირე აღმოჩნდა რევოლიუციონური გურიის, რამაც საშინლად შეაშფოთა თვითმპყრობელობის ბურჯნი. რევოლიუციონური ბრძოლის ჩაუქრობელი ჩირაღდანი — გურია — აღვივებდა და აძლიერებდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ბრძოლას მეზობელ კუთხეებშიაც. ამ დროიდან მრავალი ანეგდოტისებური თქმულებებიც კი დარჩა. როდესაც სამეგრელოშიაც იჩინა თავი განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მაზრის უფროსი შეეკითხა გლეხებს: „რა გინდათ, რა გწადიათო!" მეგრელებმაც უპასუხეს: „ჩვენ გვინდა ის, რაც გურულებს უნდათ".

— გურულებს, აბა, მათრახები სწადიათო, უთხრა მაზრის უფროსმა გლეხებს და მისცხეს მათრახი მეგრელებს.

ეს ანეგდოტისებური თქმულებაც კი მაჩვენებელია, თუ როგორი გავლენა ჰქონდა გურიის მოძრაობას სამეგრელოს გლეხობაზე.

სულ ადრე მოძრაობა მთელს დასავლეთ საქართველოს მოედო და საჭირო დარჩა მჭიდრო ორგანიზაციის შექმნა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნით მოეწყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა და ხელმძღვანელობა იკისრა ფართო მოძრაობის. შესდგა წითელი რაზმი, რომელიც თავზარს სცემდა რეაქციას. ცნობილია, რომ წითელი რაზმის უზომოდ ეშინოდა სამტრედიელ ვაჭარ ებრაელებს. შეიარაღებული წითელ რაზმელებს ისინი პირმოთნეობით აქებდენ: „ერთი წითელი რაზმელი და ათი კაზაკი", მაგრამ როცა რევოლიუცია დამარცხდა, მით უცბად იცვალეს ფრონტი და ამბობდენ: „ერთი კაზაკი და ათი წითელი რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმელი", „შენ მოერევი რუსს, თავი გიგავს ბუს"-ო და სხვა ამგვარი ოხუნჯობანი.

იმერეთ-სამეგრელოში მოძრაობას ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორიც გურიაში. ორგანიზაციული მუშაობა, ბრძოლის მეთოდები, ხალხში აგიტაციის წესი და სხ. სავსებით ისეთივე იყო, როგორიც გურიაში.

17 ოქტომბრის მანიფესტი და გურია.

1905 წ. რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, შეაშფოთა ძირმომპალი თვითმპყრობელობა. მან იგრძნო, რომ ხალხი არ ხუმრობს და სცადა რევოლიუციონური მეხის თავიდან აცილება. ამის შედეგი იყო ცნობილი 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტი. ამ მანიფესტით მეფის მთავრობას სურდა ხალხის გულის მოგება და რევოლიუციის აბობოქრებული ტალღების დაცხრომა. გურიაში 17 ოქტომბრის მანიფესტს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ხალხზე!.. და ეს იმიტომ, რომ გურიამ ასჯერ მეტი უფლებები მიიღო ბრძოლით, ვიდრე მანიფესტი იძლეოდა.

გურიაში ფაქტიურად მშრომელი ხალხის, მუშათა დემოკრატიის ბატონობა იყო. მაშინდელი ლოზუნგი იყო „დემოკრატიული რესპუბლიკა". ცხადია, არავის წარმოდგენა არ ჰქონდა სახელმწიფოებრივი წყობილების იმ ფორმაზე, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდება, მაგრამ ფაქტიურად, არსებითად, ეს იყო მშრომელი ხალხის დიქტატურის პერიოდი. მართვა-გამგეობა აღებული ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ ხალხს. საზოგადოების საქმეებში მონაწილეობას ვერ მიიღებდენ თავადები, მემამულეები, მღვდლები და მდიდრები. და თუ გურიის ხალხს აქტიური ბრძოლა უხდებოდა არა შინაური, თუ შეიძლება ასე ითქვას, გურული რეაქციის წინააღმდეგ, არამედ მეფის პოლიციის და რეაქციონური კაზაკების წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შინაური, ადგილობრივი რეაქცია უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა.

რას მისცემდა 17 ოქტომბრის მანიფესტი გურიას? ცხადია, არაფერს; პირიქით, ართმევდა იმ უფლებებსაც, რომელიც მან მოიპოვა თავგამოდებული ბრძოლის საშუალებით.

ამიტომ იყო, რომ რევოლიუციონურმა გურიამ ზურგი შეაქცია 17 ოქტომბრის მანიფესტს და მის ავტორს, სისხლის მწოველ თვითმპყრობელ რეჟიმს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს მეორე სურათიც ქუთაისის ციხეშია გაკეთებული 1903 წლის ენკენისთვის თუ ოქტომბრის რიცხვებში იმავე ფოტოგრაფ ხუნდაძის მიერ. ჯერ ცალ-ცალკე იქნა გადაღებული და შემდეგ ასეთი „გრუპა". ამ დროს პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი დაახლოვებით 50-70-მდის ადიოდა. ნებართვა სურათის გადაღების შესახებ მიღებულ იქნა ციხის უფროსის საშვალებით ჟანდარმთა სამმართველოსაგან. აქ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი ამხანაგების არ არიან. ზოგნიც საერთოდ გადაღებულ ჯგუფშიაც იმყოფებიან, ზოგიც ახლები არიან. თვითეულ სურათს სახელი და გვარი ეწერა, მაგრამ ამ ჟამათ ძნელი შეიქნა მათი გარჩევა. აგრეთვე ყველას სახელი და გვარი სამწუხაროდ მეც აღარ მახსოვს. 1903 წელს დაწყებული რევოლიუციონური მუშაობა ამავე წლის შემოდგომის თვეებში უკვე შეჭრილი იყო დასავლეთ საქართველოს დაბასოფლებში და ამიტომ აქ ნახავთ გარდა გურულებისა, სამტრედიის რაიონიდან, შორაპნიდან, ბათომიდან და ქუთაისიდან რევოლიუციონურ გზაზე დამდგარ მუშა მოსამსახურეებს. სურათის პირველ რიგში შემდეგი პოლიტ ტუსაღებია: პირველ რიგში, 1, 2, 3, ვერ გავარჩიეთ და არ გვახსოვს ვინ არიან, მეოთხე—პავლე ბალანჩივაძე ბათომის როტშელდის ქარხნის მუშა, მეხუთე—ნ. გოგელია, მეექვსე ვერ გავარჩიეთ. მეორე რიგში: 1) ქემაქაძე, 2) ბოხუა, 3) ლიდიკო სიხარულიძე, 4) ფილიპე დოლიძე, 5) ხუხუნი; მესამე რიგში: 1) პ. ნადარეიშვილი, 2) ჩომახიძე, 3) გრიშა ურატაძე, 4) ივანე ცქიტიშვილი, 5) სილიბისტრო პატეიშვილი. მეოთხე რიგში: 1) ს. სიხარულიძე, 2) პ. ბერძენიშვილი 3) არ ვიცით 4) ი. კოპალეიშვილი, 5) ბუხბინდერ. მეხუთე რიგში: 1) ი. მეგრელიშვილი, 2) თენგიზ ჟღენტი, 3) პოლიო კალანდაძე, 4) მაჭარაძე 5) გ. ჩხეიძე და 6) სიხარულიძე.

ნაწილი აქ მოთავსებული ამხანაგებისა დღესაც ცოცხლები არიან. უმრავლესობა კი დაიხოცა ციმბირში და ციხეებში. ამათ შორის 1905 წელს დაწყებულ ფრაქციულ უთანხმოების დროს მცირე ნაწილი ბალშევიკურ ფრაქციას მიემხრო, უმრავლესობა კი მენშევიკებს.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამო გურიაში გავრცელდა რუს სოც.-დემოკრ. მუშ. პარტიის ბათომის კომიტეტის მიერ გამოცემული შემდეგი პროკლამაცია:

Российская социал-демократическая рабочая партия.

Пролетарий всех стран, соединяйтесь.

О ЦАРСКОЙ МИЛОСТИ.

Царь пожаловал народу „всемилостийейший“ Манифест; он помиловал им же ограбленную Россию. Убийца и палач своих подданных решил без конца издеваться над ними. Ему мало крови, мало гибели народной; он хочет еще смеяться, хочет веселья и шутовства, по примеру своих предков он стремиться надеть на всю Россию дурацкий колпак и заставить доверенных от населения лиц кривляться в угоду себе и своих приближенных чиновников-шуллеров. Не без раздумья однако решился он на этот шаг. Еще не так давно рычал он на все просьбы о конституции: „безсмысленныя мечтания“, никогда не позволю, чтобы между мною и народом встал писанный лист бумаги, а теперь он издает такия писания, безсмисленней которых не видел мир с начала бытия.

Долго ждал самодержец победы над японцами, чтобы еще сильнее приняться угнетать народ, лаская себя верой в своих горе-генералов и... каждый раз жестоко ошибался. С 26-го февраля 1903 года начало самодержавие открыто вести политику заигрывания с недовольным населением, но это не мешало ему под шумок заседаний разных комиссий вроде Булыгинской нещадно избивать и вешать народ.

Но этим ограничиться оказалось невозможно. Возстания изголодавшихся рабочих и крестьян, возмущения матросов и солдат выносят наружу гнилость самодержавия и теперь царь, чтобы спасти себя и своих разных министров от справедливого народного гнева решился на последнее средство. Непобедимые японцы и наступившая революция разбивают его колымагу. Как уличенный жулик тычется он во все стороны и ищет снисхождения. К японцам он послал обер плута Витте, который и о мире громко разговаривает и денжонок втихомолку хочет подзанять, русскому же народу в честь сотен тысяч убитых на войне, да в память повешенных борцов за свободу царь жалует свою „монаршую милость“. Этой милостью он хочет расположит к себе богатеев, чтобы достать от них денег на войну, хочет поссорить зажиточных людей с бедняками, чтобы после, когда народ будет ссориться между собой, ловить рыбу в мутной воде и благоденствовать за счет доверчивых людей. Междуусобие, распрю и вражду хочет царь внести в народ своим манифестом и делает вид, что дает милость, величается своими титулами и говорит: „мы, божьею милостью“. Он нарочно забивает голову громкими фразами, чтобы не вспомнили как народ в 1611 году сам выбрал царя Михайла Романова и потому теперь тот же народ стащить за шиворот с трона Николая Романова и повесить его за все злодеяния на первом фонарном столбе. Последнее он очень хорошо понимает,

боится и бежит скорее звать „выборных людей“. Но выборные люди ему нужны для того, чтобы сделать их своими послушными слугами, чиновниками, чтобы они подписывали бумаги, по которым полицейские будут убивать и грабить народ, устраивать погромы, вешать и ссылать рабочих и крестьян. Царь хочет свалить на голову выборных от народа все свои грехи, хочет заставить продолжать ненавистную войну, хочет с помощью хозяев н капиталистов оставить у власти всех министров и жандармов, хочет, чтобы государственная дума помогла ему окончательно разорить Россию и погубить всех честных людей. Вот какого полезного содействия и оправдания доверия ждет порфироносный разбойник от „доверенных лиц“. Самодержавие живет от разорения народного. То, что здорово для народа, приносить смерть самодержавию и только крайняя необходимость заставляет царя дать такую уступку народу, поэтому он обставил устройство государственной думы такими условиями, какия делают ее полицейским учреждением, очень удобным для царя и в высшей степени вредоносным для всего народа. В следующих листах мы подробно разсмотрим все хитросплетения царя и обнаружим его подлинныя желания, а теперь указываем, что самодержавие уже читает себе отходную и этот манифест есть удар молотком о крышке его гроба.

Товарищи и граждане! только борьба приведет нас к действительной победе. Никакой уступки не помогут нам да и не нужны они.

Разве для того пролито столько крови и столь выстрадано русским народом, чтобы в конце концов утешаться жалкой стряпней наших грабителей? Нет! Пускай виселица удавившая столько благородных мучеников за свободу народную задушит самодержавие и тогда мы получим простор для борьбы за окончательное освобождение трудящихся из под ига капитала, а до тех пор мы будем, отвергая всякия уступки, бороться под знаменем, на котором написано—долой самодержавие царя! Да здравствует самодержавие народа! Да здравствует Учредительное Собрание, созванное на основе всеобщаго, равного, прямого, тайного, без различия наци и пола избирательного права! Да здравствует Р.С.Д.Р. Партия.

Батумский Комитет Р.С.Д.Р.П.

ლომის-კარელის „კონფისკაცია“.

ზევით აღვნიშნეთ, თუ რა დახმარებას უწევდა „ლომის-კარელის“ ხატი მთავრობას ზოგიერთ მორწმუნე ფანატიკოსთა გამოტეხაში. ამ ხატის წყალობით მთავრობამ მრავალი მეთაური შეიპყრო და გააციმბირა. კომიტეტში დაისვა საკითხი ხატის თავიდან მოშორების შესახებ. დაინიშნა ტერორისტთა ჯგუფი, რომელსაც ეკლესიიდან უნდა გამოეტანა ხატი. მაგრამ ხატის მოტაცება ვერ მოახერხეს. საქმე ის არის, რომ „ლომის-კარელს“ დიდი სახელი ჰქონდა ხალხში გავარდნილი. ხალხში ათასგვარი ლეგენდები ვრცელდებოდა ამ ხატის „სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერის" შესახებ. ლაპარაკობდენ, თითქოს ვიღაცას ტყუილზე დაეფიცოს „ლომის-კარელი" და ჭკუიდან შეშლილიყოს. ხატის მოსაპარავათ მოსულ ტერორისტებს ხატის „ძლიერების" შეეშინდათ და ნაცვლად იმისა, რომ წამოეღოთ — სანთელი დაუნთეს, პირჯვარი გადაიწერეს და უკანვე გამოსწიეს.

ხატის „კონფისკაცია" მეორეჯერ სცადეს. კონფისკაციას ხელმძღვანელობდა ჩოხატაურის რაიონი, რომლის წარმომადგენელი იყო გრიგოლ ცინცაძე. რაიონმა ეს საქმე მოახერხა. ეკლესიას თავს დაესხენ ტერორისტები ძნელაძე, პაიჭაძე და კ. სანიკიძე. დაატყვევეს ყარაულები, გააღებინეს ძალით ეკლესია და გამოიტანეს „ლომის-კარელი".

ამ აქტის შემდეგ მღვდლები და მორწმუნენი ხმას ავრცელებდენ, რომ „ლომის-კარელი" ისევ მოფრინდებაო. აგერ 22 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ „ლომის-კარელი" ჯერაც არ მოფრენილა.

ამრიგად ახალმა თაობამ შესძლო მთავრობის ერთგულ აგენტის „ლომის-კარელის" თავიდან მოშორება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ტერორი, მისი აზრი და მნიშვნელობა. — გურიის ცნობილი ტერორისტები. — ბლაღოჩინ ნიკო რამიშვილის მოკვლა. — თავადი ტიფო ნაკაშიძე და ურიადნიკი ლევან გურიელი. — რატომ მოჰკლეს პრისტავი კოსტავა. — ბერიძის ნაცვლად ქარცივაძის მოკვლა. — შეტაკება ჯვარცხმასთან, ამხ. კალანდაძე და ბოქაულ ელჩიბეგოვის მოკვლა. — პრისტავი მიქიაშვილი, დათიკო შევარდნაძე. მისი მოკვლის ცდა, პარტიასთან შერიგება.

ტერორისტული აქტები.

გურიის 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლა მთელი თავისი ატრიბუტებით— მთავრობასთან შეიარაღებული ბრძოლით, ძალა-უფლების ხელში აღებით, წითელი ტერორით, მშრომელი ხალხის დიქტატურით და სხვა. მართალია, ბათომის ყრილობამ უარყო ტერორი, როგორც ბრძოლის საშუალება, მაგრამ რევოლიუციონურ ბრძოლის პრაქტიკაში წითელ ტერორზე ხელის აღება არ მოხერხდა და იგი კვლავ გრძელდებოდა.

ტერორი უმთავრესად მიმართული იყო რევოლიუციის შეურიგებელ და საშიშ ელემენტების წინააღმდეგ. ტერორს მიმართავდენ მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველი სხვა საშუალებები ამოიწურებოდა და სხვა გამოსავალი აღარ იყო. ტერორს ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: რეაქციონურ-შავრაზმული ელემენტების დაშინება, მათი აქტიურ ანტი-რევოლიუციონურ მოქმედებაზე ხელის აღების იძულება და ყველაზე შეურიგებელ და მოძრაობისათვის საშიშ პირთა თავიდან მოშორება. 1905-6-7 წლების წითელმა ტერორმა გურიაში ამ მხრით მიზანს მიაღწია. მან ბევრ შავრაზმელს და ხალხის მტერს ააღებია ხელი ჯაშუშობა-დასმენაზე და ბევრი შეურიგებელი ელემენტები გააგზავნა იქ, საიდანაც აღარავინ ბრუნდება.

ტერორისტები.

ტერორისტულ აქტების შესრულებას ანდობდენ სპეციალურ პირებს, რომლებიც ხასიათდებოდენ გულადობით, თავგანწირვით და ნდობით.

ზეპირად ძნელია ყველა მაშინდელი ტეროორისტების მეხსიერებაში აღდგენა; მე აქ მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ მათგანის სახელსა და გვარს.

მოძრაობის დროს გურიაში იყვნენ შემდეგი ცნობილი ტეროორისტები: მიხაკო პაიჭაძე, გოგია ძნელაძე, თეოფილე მუხაშარია, ისაკი ვანიძე, ფარნა ცქვიტინიძე, ყაჭეიშვილი, ლომიძე, ბასილია, კოწია ელენტი, რაჟდენ და გოგია ღლონტები, ვასილ შარაშიძე, კიკია მამულაიშვილი, ალექსანდრე გოგიბერიძე, შერმანდი ცინცაძე, მირიან ჭანტურიშვილი (დადიოდა ვარდენ ჯიბუტის პასპორტით, მეტსახელს „ტოგოს“ ეძახდენ), მიხაკო ლომთათიძე (ძია), მირიან ხომერიკი, ვალოდია გოგვაძე, გუნთაიშვილი, დიომიდე ღლონტი, ვალერიან მეგრელიშვილი, ვანო აროშიძე, კ. სანიკიძე, მათითაიშვილი და სხვა. ყაჭეიშვილი და ბასილია მოჰკლეს ტუაპსეში ფულის გატაცების დროს.

ესენი „უგებდენ წესს“ გაუსწორებელ შავრაზმელებს და ხალხის დაუნდობელ მტრებს.

ბლაღოჩინი ნიკო რამიშვილი.

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა მოხერხებულად იყენებდა პოლიცია ლომის-კარელის ხატს, რომლის კონფისკაცია მოახდინა ჩოხატაურის რაიონმა.

ხატის აგენტად გადაქცევის იდეა პოლიციას უკარნახა ბლაღოჩინმა ნიკო რამიშვილმა. ბლაღოჩინი რამიშვილი, ამასთან ერთად, დიდ დახმარებას უწევდა პოლიციას, ასმენდა შემჩნეულ პირებს. ნიკო რამიშვილის წყალობით პოლიციამ მრავალი მეთაური ჩაიგდო ხელში და მათ შორის, იასონ მეგრელიძე, სამსონ კალანდაძე. მიუხედავად ბათომის ყრილობის დირექტივისა ტეროორის შეწყვეტის შესახებ, რაიონმა მაინც გადასწყვიტა ბლაღოჩინ რამიშვილის მოკვლა. ის მოჰკლა ახალგაზრდა ტეროორისტმა ცინცაძემ. როდესაც ბლაღოჩინი ჯორით ბრუნდებოდა ჩოხატაურიდან, ეზოში შესვლისას მოხდენილად ესროლა და ჯორიდან უსულოდ გადმოაგდო.

ადრე ამ მკვლელობის გამო გურიას ესტუმრა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, რომელმაც „შეაჩვენა“ სურების საზოგადოება „წმინდა მამის“ მოკვლისათვის.

ლევან გურიელი და ტიფო ნაკაშიძე.

ლევან გურიელი იყო სტრაჟნიკების ურიადნიკი ბათომში. იგი აუტანელი ტირანი და შეუბრალებელი ჯალათი იყო. უმოწყალოდ

სცემდა მუშებს. მთავრობის ერთგული ძაღლი იყო. გურიელი მოჰკლეს ძიძიგურმა და ენუქა მელაძემ მანთაშევის გადასატანათ. მის გასვენებაზე არც ერთი ეტლი არ გამოსულა. კუბო დიდის გაჭირვებით იშოვნა მთავრობამ. რადგან მეკუბოები გაიფიცენ და კუბო არ მიყიდეს პოლიციას. (წვრილი ვაჭრები და მეეტლეები კომიტეტის დავალებას პირნათლად ასრულებდენ). როდესაც გურიელი გურიაში გაასვენეს, მთავრობამ ცხედრის გადასატანათ ვერც ურემი იშოვნა და ვერც ეტლი. აროც ერთმა გლეხმა და მეეტლემ ურემი და ეტლი არ გამოიყვანა.

ასე ეპყრობოდა ხალხი მოღალატეებს და მთავრობის აგენტებს. გლეხობის უსაზღვრო სიძულვილმა მთავრობის კაცებისადმი ბევრ მათგანს აცვლევინა ფრონტი და ხელი ააღებინა მთავრობის სამსახურზე. ასე მოიქცა, მაგალითად, მოსე იწწკირველი, რომელიც ბათომის პოლიციაში მსახურობდა.

ტიფო ნაკაშიძე იყო ეგრეთ წოდებული მომრიგებელ-მოსაშვალე („მიროვოი პოსრედნიკი") და მემამულე. გლეხებს საშინლად ეპყრობოდა, რისთვისაც იგი წარმოუდგენლად ეჯავრებოდათ. ტიფო ნაკაშიძე მოჰკლა ტეროორისტმა ლუკა ღლონტმა (მეტ სახელად „ჩორნა"), მოჰკლეს აგრეთვე ტიფო ნაკაშიძის ხელის შემწყობი და აგენტი ნიკოლოზ გოხიძე.

პრისტავი კოსტავა.

პოლიციელი და გაუსწორებელი შავრაზმელი კოსტავა მოწადინებული იყო გურიაში ეგზეკუცია ჩაეყენებიათ, რითაც შეეძლო იგი ცდილობდა ამ ავაზაკურ მიზნის განხორციელებას. კომიტეტს ცნობა მოუვიდა, რომ პრისტავი კოსტავა გუბერნატორთან მიემგზავრება ეგზეკუციის მოსათხოვნადო. („სხვანაირად გურულების დამორჩილება არ შეიძლებაო" — იტყოდა ხოლმე კოსტავა). გადაწყდა მისი მოკვლა. ტეროორისტული აქტის შესრულება იკისრეს მიხაკო პაიჭაძემ და შერმანდი ცინცაძემ [1]). ისინი თავს დაესხენ პრისტავ კოსტავას, როდესაც იგი საჭამიას სერზე ეტლით მიდიოდა. კოსტავამ მოასწრო ეტლიდან გადახტომა და სკოლის ქვეშ დამალვა. მაგრამ ტეროორისტებმა მას მიუსწრეს და იქვე მოჰკლეს.

---

[1]) პაიჭაძე მოჰკლეს ამ ოთხი წლის წინ გურიაში. პაიჭაძე, მართალია, ასრულებდა კომიტეტის დავალებებს, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაულსაც ჩადიოდა. მასში უფრო ყაჩაღურ-ბანდიტური ელემენტი სჭარბობდა, ვიდრე რევოლიუციონური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიძის ნაცვლად ქარცივაძის მოკვლა.

აზნაური სიო ბერიძე ხიდისთავში ცნობილი იყო, როგორც დიდი რეაქციონერი და განმათავისუფლებელი მოძრაობის შეურიგებელი მტერი. გადაწყდა მისი მოკვლა. ტერორისტული აქტის შესრულება იკისრა მიხეილ ლომაძემ. დავალების სისრულეში მოსაყვანად იგი ჩაუსაფრდა სიო ბერიძეს მისივე ეზოში. მთელი ღამე გაატარა ლომაძემ ბერიძის ეზოში, მაგრამ უშედეგოთ. დილა-ადრიანათ სახლიდან გამოვიდა ვიღაც კაცი, რომელიც ლომაძემ მიიღო ბერიძეთ, ესროლი და იქვე მოჰკლა. გამოირკვა, რომ მოკლული იყო არა ბერიძე, არამედ მისი სტუმარი აზნაური ქარცივაძე. ამ სამწუხარო შემთხვევის შემდეგ ლომაძე მხოლოდ იმით ინუგეშებდა თავს, რომ „ქარცივაძე ბერიძეზე ნაკლები ოხერი არ იყოო". ეს იყო 1903 წელს.

ბოქაული ელჩიბეგოვი.

ეს იყო 1904 წელს. რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებით ხიდისთავის რაიონი დემონსტრატიულად უნდა წასულიყო ჩოხატაურში, სადაც ჩოხატაურის რაიონთან ერთად უნდა გამართულიყო გრანდიოზული მიტინგი. ეს ამბავი მისწვდა პოლიციის ყურსაც. ბოქაული ელჩიბეგოვი სტრაჟნიკებით მანიფესტანტებს ჩაუსაფრდა ს. ჯვარცმასთან და აუტეხა სროლა. სროლის დროს სტრაჟნიკებმა მოჰკლეს საუკეთესო ამხანაგი მჭედელი კალანდაძე, რომლის შესახებ კომიტეტმა სპეციალური პროკლამაციაც კი გამოუშვა.

ელჩიბეგოვმა კარგად იცოდა, რომ მას გურიაში ხეირს არ დააყრიდენ, სასწრაფოდ მოშორდა იქაურობას და მსახურობდა ქუთაისში. მაგრამ მას აქ ბედმა უმტყუნა და იგი მოჰკლა ტერორისტმა ბესარიონ ჟღენტმა.

დათიკო შევარდნაძე.

შევარდნაძე ამ დროს გავარდნილი იყო. პარტიამ მასზედ ეჭვი აიღო, როგორც მოღალატეზე. ბათომის კომიტეტის განკარგულებით შევარდნაძეს დაენიშნა ტერორი, მაგრამ მისი მოკვლა ვერ მოახერხეს. ს. ბასილეთში მას დახვდენ ტერორისტები, მაგრამ შევარდნაძემ მოახერხა ერთი ტერორისტთაგანის დაჭრა და გაქცევა. სწორედ ამ დროს მე და სამსონ კალანდაძეს ჟანდარმთა პოლკოვნიკი შჩაბელსკი ჩვენებას გვართმევდა პოლიციის სამმართველოში. ამ დროს იქ შემო-

ვარდა ქავჟარაძე და ხმამაღლა დაილაპარაკა: „შევარდნაძისთანა რომ ხუთი კაცი გვყავდეს, ყველა სოც.-დემოკრატებს გავანადგურებდითო“.

შევარდნაძეს მეორეხელაც დაესხენ თავს კოწია ჟღენტი, ვანიძე და სხვები, მაგრამ ის მხოლოდ ხელში დაიჭრა და გადარჩა.

უკანასკნელად შევარდნაძე პარტიას შეურიგდა და თავისი მოქმედებით მას დაუმტკიცა, რომ ის არ იყო მოღალატე. ეს მან დაამტკიცა ცნობილ ნასაკირალის შეტაკების დროს, სადაც იგი ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

პრისტავი იაშა მიქიაშვილი.

ლანჩხუთის საბოქაულოს მეთაურობდა პრისტავი მიქიაშვილი, მან მიიპყრო მთავრობის ყურადღება, ის არ ჩამორჩა დაწინაურებულ პრისტავებს და ადრე მოიხვეჭა სახელი სასტიკი პოლიციელის. ბოლოს მიქიაშვილმა ყველა მის თანამოძმეთ გადააჭარბა ლანჩხუთის მცხოვრებლების მათრახით ცემაში და მექრთამეობაში. არაჩვეულებრივი ერთგულება არ დაუფასა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სლავოჩინსკიმ და მიქიაშვილი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსა. მიქიაშვილი იჯდა ხულიგანების კამერაში, ასე ვეძახდით იმ საკანს, რომელშიაც ათავსებდენ დამნაშავე მეფის მოხელეთ. ნუმერაციით ეს იყო მეოთხე კამერა. მიქიაშვილის მოკვლის შესახებ სხვადასხვა „პლანი“ იყო ციხეში — რადგან ეს კამერა მოთავსებული იყო პოლიტიკურების მეხუთე კამერის ქვეშ, ბევრს შეჰქონდა წინადადება, რომ გაეჭრათ ცემენტის იატაკი, ჩამხტარიყვენ და იქ მოეკლათ. მაგრამ ეს წინადადება არ ივარგებდა, მეოთხე კამერაში როდი იყო მარტო მიქიაშვილი, არამედ 40 „გოროდოვოი“, სტრაჟნიკები და პრისტავები იყო და რამდენი პოლიტიკური უნდა ჩამხტარიყო, რომ ამათ გადარჩენოდა. დაბოლოს ტუსაღმა საყვარელიძემ ციხის ზედამხედველს წაართვა ძალით რევოლვერი და მიქიაშვილი მისივე საკანში კარების საჭვრეტიდან მოჰკლა. ასე დასრულდა მიქიაშვილის მოღვაწეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ფრაქციული განხეთქილება 1903 წ. ლონდონის ყრილობაზე. — უთანხმოების ძირითადი საკითხები. — ფრაქციული უთანხმოების დასაწყისი გურიაში. — პირველი დისპუტი ამხ. სტალინის მონაწილეობით. — კამათი ს. იანეულში. — მენშევიკების შემოტევა და პროფეს. ნიკო მარი. — ბალშევიკური კონფერენციის მოწვევა და მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტა. — ფრაქციული უთანხმოების საკითხები გურიაში. — ეროვნული საკითხი და გურია.

1903 წლის ლონდონის ყრილობა და ფრაქციული უთანხმოება გურიაში.

რ. ს.-დ. მ. პარტიის ყრილობაზე (1903 წ. ლონდონის ყრილობა) მომხდარმა ფრაქციულმა უთანხმოებამ გამოძახილი გურიაშიც ჰპოვა, მაგრამ ვიდრე აღვნიშნავდეთ იმას, თუ როგორ ფორმებში ჩამოყალიბდა გურიის სინამდვილეში ეს უთანხმოება, როგორ უყურებდა ამ უთანხმოებას პარტიული და უპარტიო მასა, რა ძალას წარმოადგენდა ერთი და მეორე მხარე, როგორ იქნა გაგებული გურიაში ფრაქციული მუშაობის ძირითადი საკითხები და სხ., საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხო იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს მეორე ყრილობაზე ორი ფრაქციის (ბოლშევიკ. და მენშევიკ.) ჩამოყალიბება.

მართალია, პოლიტ-ანბანის ყოველმა მცოდნემ იცის პარტიის ამ ისტორიული ყრილობის განხეთქილების ძირითადი მიზეზები, მაგრამ იმ კამათის ნათელსაყოფად, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში განხეთქილების ნიადაგზე, საჭიროა მოკლე ექსკურსიის გაკეთება პარტიის ისტორიის იმ შორეულ პერიოდშიაც.

ცნობილია, რომ 1903 წ. ყრილობაზე განხეთქილების საგანს წარმოადგენდა ორი უმთავრესი საკითხი: პარტიული წესდების პირველი პარაგრაფის (პარტიის წევრობის საკითხი) და ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხი.

პარტიის წევრობის საკითხს ყრილობაზე ამხ. ლენინმა მისცა შემდეგი განმარტება: „პარტიის წევრია ის, ვინც მონაწილეობას ღებულობს პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ასრულებს პარტიის წევრის მოვალეობას, შეაქვს საწევრო გდასახადი, იცავს დისციპლინას და სხვა“.

მარტოვმა ყრილობას წარმოუდგინა შემდეგი ფორმულა:

„პარტიის წევრია ის, ვინც მუშაობს პარტიის კონტროლის ქვეშ, და რაიმე დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს“.

ბევრი ფიქრობდა (და შეიძლება ეხლაც ფიქრობს), რომ ლენინსა და მარტოვს შორის იყო მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავება და ისიც სიტყვებში. ამხ. ლენინი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენ გვასაჭიროება ნამდვილი მუშური და ფოლადისებური დისციპლინის პარტია; მარტოვის წინადადება-კი პარტიას ემუქრებოდა წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტურ-მეშჩანური ელემენტების გაბატონებით და პარტიის პროლეტარულ-კლასობრივი სახის დაკარგვით.

ამ საკითხში გამარჯვება წილად ხვდა მარტოვს.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მარტოვი სწერდა: „მართალია ყრილობაზე მე გავიმარჯვე, მაგრამ სულ ცოტა ხნის განმავლობაში ლენინმა მოახერხა წესდების სხვა პუნქტების საშუალებით ჩემი ფორმულის გაბათილება, ასე რომ, ჩემი გამარჯვებიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილაო“.

ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხზე ლენინი ამბობდა: „დიახ, ჩვენ გამოვიყენებთ ლიბერალებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ჩვენ მუშებსაც უნდა ვუთხრათ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ირაზმება, იგი ქმნის საკუთარ პარტიას და საერთო მტრის (თვითმპყრობელობის) დამხობის შემდეგ გამოილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ.

მარტოვ-პოტრესოვის ჯგუფმა კი შეიტანა შემდეგნაირი წინადადება: „ჩვენ უნდა წავიდეთ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად და მას პირობა დავადებიოთ, რომ ჩვენთან ერთად მოითხოვოს საყოველთაო საარჩევნო უფლება“.

ყრილობამ თითქმის ხმების ერთგვარი რაოდენობით მიიღო ორივე წინადადება. ეს გარემოება აშკარად ხდის, რომ უთანხმოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ხასიათი.

ყრილობაზე იყო აგრეთვე სხვა უთანხმოებაც, მაგ. პარტიის ცენტრალიზაციის საკითხი, ბუნდის გამოსვლა და სხ.

ფორმალური განხეთქილება კი მოხდა გაზ. „ისკრის“ რედაქციის არჩევნების დროს. ძველ რედაქციის შემადგენლობაში შედიოდენ: პლეხანოვი, ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი, აქსელროდი და ზასულიჩი. ლენინმა მოითხოვა, რომ რედაქციის შემადგენლობა გამოხატავდეს ყრილობის უმრავლესობის აზრს და რედაქციის ახალ შემადგენლობად დაასახელა: პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. ლენინის წინადადება გავიდა 25 ხმით 23-ის წინააღმდეგ. აქედან წარმოიშვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად სიტყვა „ბოლშევიკი“ (მეუმრავლესენი) და „მენშევიკი“ (მეუმცირესენი).

აი მოკლეთ 1903 წლის ფრაქციული განხეთქილების შინაარსი.

უთანხმოების დასაწყისი.

გურიის ორგანიზაციამ შედარებით გვიან გაიგო განხეთქილების ამბავი. რასკოლის შესახებ პირველი ცნობა ბათომიდან მოგვივიდა. ბათომში ყოფნის დროს პირველად ეს ამბავი გამაგებინა ვარდენ კალანდაძემ, რომელმაც განხეთქილების მიზეზად პარტიის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის საკითხი დაასახელა. ამ დროს ნ. ჟორდანია საზღვარგარეთიდან დაბრუნებული იყო. იგი შეუდგა მენშევიკური აგიტაციის წარმოებას ბათომის მუშებში. რამოდენიმე კრება გაიმართა ბარცხანაში, სადაც თავმჯდომარეობდა იასონ მეგრელიძე, ხოლო მოხსენებებით გამოდიოდა ნ. ჟორდანია. განხეთქილების ამბავი ჩქარა მოედო გურიასაც. დაიწყო გაცხოველებული დისპუტი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ უმთავრესად თეორეტიულად მომზადებული ამხანაგები.

ფრაქციული დისპუტი ამხ. სტალინის მონაწილეობით.

ყველა იმ საკითხების გასარკვევად, რომლებმაც განხეთქილება გამოიწვია ლონდონის ყრილობაზე, გადაწყდა დისპუტის მოწყობა. ამ საქმის ორგანიზაცია ითავა პეტრე ციცაძემ, (ამხ. ციცაძე ერთი აქტიური ბოლშევიკთაგანი იყო. იგი მოჰკლეს კაზაკებმა 1905 წლის დამლევს თბილისში).

დისპუტს დაესწრო სოსო (ამხ. სტალინი). ის ახალი დაბრუნებული იყო ციმბირიდან და მას გურული ამხანაგები არ იცნობდენ. მე მას დაუახლოვდი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, სადაც ერთად ვისხედით 1903 წ.

სტალინმა გაარკვია უთანხმოების ძირითადი საკითხები, შეეხო ლენინის დებულებებს, დაასაბუთა იგი ძლიერი არგუმენტებით და ფარდა ახადა მარტოვ-პეტრესოვ-აქსელორდის დებულებათა უსუსურობას.

სტალინის წინაალმდეგ გამოვიდა გრიშა ლორთქიფანიძე. კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თედორე კალანდაძემ, რომელიც სტალინის შემდეგ სერიოზულ თეორეტიულ ძალათ ითვლებოდა დი-

ეროვნული

სპუტში. კამათი ამ დღეს ვერ დასრულდა და გადადებულ იქნა მეორე დღისათვის ჩოხატაურში, დიდ მინდორზე. მეორე დღეს ჩოხატაურში მენშევიკებმა შეჰყარეს მთელი თავიანთი ძალები. დისპუტს მენშევიკების მხრით დაესწრენ: რ. ჩიხლაძე, იასონ მეგრელიძე, მიშა არსენიძე და სხ.

კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო.

დამსწრე გლეხები დიდათ შეწუხებული იყვნენ ჩვენს შორის მომხდარ უთანხმოების გამო და ამბობდენ:

— ნუტავი თქვენ შერიგდებოდეთ, ჩხუბს თავს დაანებებდეთ და სხვა არაფერი გვინდაო. დისპუტი დასრულდა საღამოს. კენჭის ყრის დროს მიტინგის უმრავლესობა მიემხრო მენშევიკებს. სტალინის მხარეზე დარჩა პატარა ჯგუფი, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც.

კამათი ს. იანეულში.

გლეხობას მეტის-მეტად ააინტერესებდა განხეთქილების მიზეზების გაცნობა (პარტიული უთანხმოება გადავიდა უპარტიო მასაში).

ს. იანეულის მოწინავე გლეხობამ სთხოვა ამხ. ვლ. თოდრიას მოეწყო კამათი და გაერკვიათ გლეხობისათვის განხეთქილების მთავარი მიზეზები. ამხ. თოდრიამაც განიზრახა დისპუტის მოწყობა. ეცნობა ამხ. თედორე კალანდაძეს და იესე (პეტრე) ცინცაძეს დასწრებოდენ კამათს. პირველ დღეს გაიმართა მცირე თათბირი ვლ. თოდრიას სახლში, კამათში წინასწარ მომზადებული გამოსვლის მიზნით. მაგრამ თათბირს თავს დაესხენ მენშევიკები და აიძულეს გადაედოთ მეორე დღისათვის სკოლის ეზოში, საჯაროთ.

მეორე დღეს იანეულის სკოლაში გაიმართა დიდი დისპუტი.

მენშევიკების მხრით გამოვიდნენ: გ. ცინცაძე, ბ. ჩხიკვიშვილი და პავლე კალანდაძე; ბოლშევიკების მხრით — თედორე კალანდაძე.

კამათმა ისეთი ცხარე ხასიათი მიიღო, რომ ხელჩართულ ბრძოლათ კინაღამ გადაიქცა. მენშევიკები არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას ბოლშევიკების გასაბახებლად. ისინი დემაგოგიას ეწეოდენ — ბოლშევიკებს ბურჟუაზიის და ინტელიგენციის მომხრე მიმართულებათ ნათლავდენ.

მენშევიკები მოხერხებულად აშორებდენ ხალხს ბოლშევიკებს; ისინი არ ერიდებოდენ არც სიმართლის დაფარვას და არც იაფ-ფასიან დემაგოგიას, ბოლშევიკურ ფრაქციას შერჩა გურიაში მომუშავეთა პატარა კადრი, როგორც იყო გერმანე მგალობლიშვილი, მიტო მგელაძე, ეპიფანე მგელაძე, ტარასი მგალობლიშვილი, თეოფილე ჩიჩუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ერთი აქტიური და მომზადებული ელემენტთაგანი) გრიგოლ მგალობლიშვილი, პარმენ ცინცაძე, ვანო ლომთათიძე, სეფე ცინცაძე, ნიკო დოლიძე, ვლადიმერ და ასალო ცინცაძე, ვარდენ კალანდაძე, კოსტა ცინცაძე, აფთონ წულაძე (რომელიც 1917 წ. შემდეგ მენშევიკებთან გადავიდა), ანდრო დოლიძე, არჩილ დოლიძე (როსტომ), ვასილ (ვასო) აბაშიძე, ლადიმე თოდრია (სილია თოდრია მუშაობდა ქალაქებში), სერგო მეგრელიშვილი, რომელიც რეაქციის დროს იყო კორესპოდენტი სოც. დემოკრატიული გაზეთების, მისმა კორესპონდენციამ მასწავლებელ დოლიძის ქალის შესახებ შექმნა სამედიატორო პროცესი. სერგოს მედიატორეთ ვიყავი მე და არსენ თოდრია, როგორც მახსოვს ჩვენი განაჩენით, რომელიც პრესამ მაშინ გამოაქვეყნა, სერგო მეგრელიშვილი დარჩა უკმაყოფილო. პროცესი რამოდენიმე დღე გაგრძელდა. დაკითხულ იქნა მთელი სოფელი. სურებში ბოლშევიკები არ ყოფილა (იყვნენ მხოლოდ ბარონ ბიბინეიშვილი და ზებედე ტრაპაიძე, რომლებიც უმეტესად გურიის გარეთ მუშაობდენ.)

ბოლშევიკების თათბირი ხიდისთავში.

1905 წელს გაზაფხულზე ხიდისთავში შესდგა გურიის ბალშევიკების აქტივის თათბირი. საჭირო შეიქნა მენშევიკების წინააღმდეგ ბალშევიკური პროპაგანდის დაპრისპირება და ცალკე მუშაობის დაწყება, რაც მეტის მეტად ძნელი იყო მაშინ გურიაში. თათბირს ქუთაისიდან დაესწრო ბ. მდივანი, ხოლო გურიიდან ყველა მოწინავე ბალშევიკები მათ შორის თედორე და ვარდენ კალანდაძენი, გერმანე მგალობლიშვილი, მიტო მგელაძე, აფთონ წულაძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვა.

თათბირმა გამოიმუშავა ღონისძიებათა მთელი რიგი ორგანიზაციული მუშაობის გასაჩაღებლად, ცალკე წრეების დასაარსებლად და ბალშევიკური იდეების საპროპაგანდოთ (მაახსოვს გერმანეს ოხუნჯობა, როცა გადახედა კრებას, ბევრი ვყოფილვართ და კარგი ბიჭები(ც), დროებით მთავრობაშიც ვიქნებით და მის გარეთაცო) ცნობილია, რომ მაშინ უთანხმოების ერთი საგანი დროებით მთავრობაში შესვლა იყო.

ფრაქციული უთანხმოების საკითხები გურიაში.

ფრაქციული უთანხმოების საკითხები გურიაში სწორედ იქნა გაგებული. გარდა სიტყვიერი დისპუტისა კამათი გადავიდა პრესაშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „სოც.-დემოკრატში“ დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას წერილების სერია შემდეგი სათაურით: „უმრავლესობა თუ უმცირესობა“. ჟორდანია უარყოფდა სოციალისტების მონაწილეობას დროებით მთავრობაში და მაგალითად მოყავდა საფრანგეთის სოციალისტების მილიერანის და გედის მონაწილეობა ბურჟუაზიულ მთავრობაში, რომელმაც პურის მაგივრად მუშებს ტყვიები უთავაზა. (1917 წ. კი ეს აზრი უარყვეს მენშევიკებმა და თავისუფლად შევიდენ კერენსკის სამინისტროში (მინისტრებათ იყვნენ წერეთელი და სკობელევი). მენშევიკები უარყოფდენ შეიარაღებულ აჯანყებას და ბალშევიკებს ანარქისტებათ და ბლანკისტებათ ნათლავდენ.

ბალშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს პირველ სახელმწიფო დუმას, ხოლო მენშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს დუმის არჩევნებში. ამ გზით ისინი დაადგენ რევოლიუციონური სიტუაციის ლიკვიდაციის გზას.

ბალშევიკები მოითხოვდენ: შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელებას, დუმის ბოიკოტს და ბურჟუაზიულ პარტიებთან ყოველგვარი ბლოკისა და კავშირის გაწყვეტას. ასეთი გამოძახილი ჰპოვა ფრაქციულმა უთანხმოებამ გურიაში. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ გურიაში დიდი გავლენა ჰქონდა მენშევიკებს-თქვა. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ფრაქციული უთანხმოების დასაწყისში გურიის პროპაგანდისტთა საუკეთესო და მომზადებული ელემენტები მიემხრენ მენშევიკურ ფრთას. პარტიული მასსა, რომელიც გაურკვეველი იყო საკამათო საგანში, სტიქიურათ მიემხრო მათ. ბალშევიკებს კი უმნიშვნელო ძალა აღმოაჩნდათ გურიაში.

ეროვნული საკითხი და გურია.

ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წყალობით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ხალხში, მთელ საქართველოში, განსაკუთრებით-კი გურიაში, ეროვნული საკითხი მესამე რიგში იდგა. ნაციონალისტურ პარტიებთან კამათში მენშევიკური ფრაქციის ბელადი ნ. ჟორდანია ილაშქრებდა არამც თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, არამედ ტერიტორიალური ავტონომიის წინააღმდეგაც-კი. გურია სასტიკად ებრძოდა ნაციონალისტურ პარტიებს და გაგონებაც არ სურდა ავტონომიაზე.

გურიის ორგანიზაცია თავიდანვე იცავდა მეორე ყრილობის დადგენილებას ფართე საოლქო თვითმართველობის შესახებ. რუსეთთან ერთად საოლქო თვითმართველობის ნიადაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიას ეროვნული საკითხი ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ამ საკითხში არ იყო კამათი. ეროვნული საკითხი, საერთოდ, არ იყო მომენტის აქტუალური პრობლემა და მას მხოლოდ თეორეტიული ინტერესი ჰქონდა.

ბალშევიკებისათვის სიტყვის თქმის აკრძალვა მიტინგზე მენშევიკების მიერ.

1905 წ. აგვისტოს რიცხვებში გურიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა სარაიონო მიტინგების მოწყობა. მიტინგი მოეწყო ლანჩხუთში 25 აგვისტოს, 26—მაკვანეთში და სხვა მრავალ რაიონებში. ყურადღების ღირსია აქ წიფნარაზე გამართული მიტინგი, რომელსაც მაშინდელი ანგარიშით დაესწრო 7 ათასზე მეტი ქალი და კაცი. ამ დროს გურიის სოც.-დემოკრატიაში ფრაქციული უთანხმოება გამწვავებული იყო. გაიგო გურიის ბალშევიკებმა ასეთი გრანდიოზული გეგმა მენშევიკების, რომ მიტინგი გადაიცქევა დემონსტრაციათ, მოხდება ძალების გადახედვა და მობილიზაცია შეიარაღებული მოწინავე რაზმების. ერთი ამხანაგი, როგორც მახსოვს მგონი კოსტა ცინცაძე სასწრაფოდ გაიგზავნა ხონში ბუდუს ჩამოსაყვანად. ბუდუ ჩამოვიდა. მიტინგის გახსნამდის მოხდა ბალშევიკების თათბირი და გაგზავნილ იქნა დელეგაცია მენშევიკებთან, რათა მიტინგზე ელაპარაკა ბალშევიკების წარმომადგენელს, პასუხი ასეთი იყო: ჩვენ ბევრი გვყავს ორატორები, რა საჭიროა მდივანის გამოსვლა მიტინგზეო. დადგენილ იქნა, რომ დემონსტრაციის პროცესში, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა, ბუდუს უნდა ელაპარაკნა ნება დაურთველათ, იმ იმედით, რომ ხალხი მოუსმენდა, მაგრამ ისე გააჭახრაკეს დემონსტრაციის ხელმძღვანელებმა საქმე, რომ არსად არ დარჩა ხელსაყრელი მომენტი ბუდუს ლაპარაკის. ამ რიგად ბუდუს ჩამოყვანა ტყუილათ დაურჩა ორგანიზაციას, დემოსტრაციამ დაახლოვებით 7 ვერსი მანძილი გაიარა, მარსელიოზა, თოფის სროლა და ხალხის უსაზღვრო აღფრთოვანება ლახვარს სცემდა, თუ კი ვინმე იყო, რევოლიუციის მოწინააღმდეგე.

პროფესორი ნიკო მარრი ბალშევიკ-მენშევიკების კამათზე.

ს. იანეულში გამართულ კამათს ნიკო მარრი დაესწრო. მან დიდხანს უსმინა ორატორებს და ბოლოს სიტყვა ითხოვა. ორივე მხარე გულისცემით მოელოდა, თუ რას იტყოდა მარრი და ვის გაამართლებდა: ბალშევიკებს თუ მენშევიკებს — მისი ავტორიტეტი მასის მო-

სამხრობათ ორივე მხარეს სწამდა. პროფესორმა მარრმა თავის სიტ-ყვაში სამართლიანათ იცნო ბოლშევიკების მიერ წამოყენებული დებულება. საკითხი ეხებოდა მეცნიერული სოციალიზმის შემუშავებას. მაშინ დიდ ინტერესს იწვევდა ეს პრინციპიალური დავა — თუ ვის შეეძლო „შეემუშავებია“ სოციალიზმი: მუშათა კლასს თუ ინტელიგენციას. მენშევიკებს აქ ამ საკითხში ყველა მუშა მეცნიერათ გამოყავდა, რის გამო შემუშავებას და შეთვისებას ისინი ერთი მეორეში ურევდენ. ნ. მარრის სიტყვის გათავების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ხალხს უთხრეს, რომ მარრი ინტელიგენტია, პროფესორი და, რა თქმა უნდა, ბალშევიკებისაკენ იქნებაო,სწორედ ამას ვამბობთ ჩვენო. ხსენებული კამათის ამბავი აკადემიკოსმა მარრმა პეტროგრადში დაბრუნებისას მოათავსა რუსულ პრესაში, რაც შემდეგ გადმობეჭდა „ცნობის ფურცელმა“. აღნიშნულ წერილებში მარრი ახასიათებდა გურიის მოძრაობას, ათისა და ასის თავების სისტემას და კერძოთ ბალშევიკ-მენშევიკების კამათსაც. კამათის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეთაგანს ბალშევიკ თედორე კალანდაძეს უწოდებდა „ღვთის წყალობას“ და აღნიშნავდა, რომ გარდა „ღვთის წყალობისა“ (თ. კალანდაძისა) მოკამათენი საგნის გაშუქების დროს გვერდს უვლიდენ მეცნიერებასო და მას აბუჩათ იგდებდენო.

ნიკო მარრის აზრი მაშინდელ რევოლიუციაზე და მარრის საწინააღნდეგო პროკლამაცია.

ერთ პროკლამაციაში ბათუმის კომიტეტმა მეცნიერი მარრი, გაკიცხა. პროკლამაცია მარრს ჭიშკარზე აუკრეს. ამ პროკლამაციის ისტორია ასეთი იყო: ერთ-ერთ კრებაზე მარრმა ხალხს დარიგება მისცა, რომ აჯანყებით და მემამულეთა წინააღმდეგ გაფიცვებით თქვენი პირობები არ გაუმჯობესდებაო. საჭიროა სწავლა და მეცნიერების გავრცელება, რომ გამოიყენონ თვით მარსზე მდებარე მიწებიო. ეს ამბავი ბათომის კომიტეტის ყურამდე მივიდა, რომელმაც ცალკე პროკლამაციის საშვალებით გაილაშქრა მარრის წინააღმდეგ, თუმცა ლოიალურ ფორმაში.

ცხადია, რომ გურიის მოძრაობაზე და საზოგადოთ სოციალ-დემოკრატიაზე მარრს მაშინ უარყოფითი შეხედულება ჰქონდა. კარგათ მახსოვს, როდესაც მარრი ჩემს ოჯახში იყო, მან ნახა „ისკრის“ ნომრები. გაიკვირვა ლენინის წერილის ზოგიერთი წინადადება; მეტად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ერთის შესახებ — „მუშათა კლასი. სტიქიურათ მიილტვის სოციალიზმისაკენ“—არ შეიძლება ასე თქმა, ამბობდა მარრი, „ინსტიქტიურათ „მიილტვის“ ასედაც არა გამოდის რაო, მარქსიზმი მაშინ დაძველებული მეცნიერება იყო მარრის აზრით, ნ. მარრმა პროკლამაციის შემდეგ ჩემთან საუბარში დაამტკიცა, რომ მას სრულიადაც არ ქონია აზრად და არ აქვს რეაქციონური აზრების გავრცელება. პირიქით, ის მომხრეა ხალხის ერთსულოვანების და წინსვლის, მხოლოდ ბრძოლის მეთოდები მისთვის მიუღებელიაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VII

ვორონცოვ-დაშკოვის პერიოდი და მთავრობის „ლიბერალური“ პოლიტიკა. — სულთან-კრიმ-გირეი გურიაში. — სამზადისი კრიმ-გირეის შესახვედრათ. — რას მოითხოვდა ხალხი. — კრიმ-გირეის ლიბერალური აგიტაცია. — სოც.-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის წამოყენება. — კრიმ-გირეის უკან გაწვევა და მისი მოგზაურობის შედეგები.

რეპრესიები თუ დათმობა?

გურიის საზღვრებში ფაქტიურად ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელში გადავიდა. 1905 წლის რევოლიუციონური გრიგალი მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიას მოედო, მაგრამ მებრძოლ ხალხს არსად ძალა-უფლება ხელში არ აუღია. ამ მხრით გამონაკლისს შეადგენდა გურია, სადაც თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლება ხალხმა ერთსულოვნად უკუაგდო და საკუთარ სვე-ბედს თვითონვე დაეპატრონა. გურია თითით საჩვენებელ და სამაგალითო კუთხეთ გახდა მთელ რუსეთში.

ამ გარემოებამ სერიოზულად დააფიქრა მეფის მთავრობა. კავკასიის მთავრობის წინაშე დაისვა დილემა: ან გურიის განადგურება ცეცხლითა და მახვილით, ან დათმობაზე წასვლა, ხალხის მოთხოვნილებისათვის ანგარშს გაწევა, გლეხობის ჭირ-ვარამისათვის ყურის დაგდება და მოძრაობის ძირითადი მიზეზების გაგება. მეფის მთავრობისათვის საინტერესო იყო აგრეთვე იმის გამორკვევა, თუ რა ხასიათის იყო გურიის მოძრაობა, რა მიზნებს ისახავდა ის, საერთო პოლიტიკური ხასიათის იყო (როგორც მთელს რუსეთში) თუ სეპარატიულ-ნაციონალური. ამ მიზნით გურიაში გამოგზავნილ იქნა მაშინდელი ცნობილი ლიბერალი მთავრობის მოხელე სულთან-კრიმ-გირეი.

სულთან-კრიმ-გირეის მიენდო გურიის ხალხთან მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმოება, მისი მოთხოვნილების მოსმენა, უკმაყოფილების და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მიზეზების გამორკვევა.

ამ დავალებებით კრიმ-გირეი 1905 წელს თებერვლისა და მარტის რიცხვებში ეწვია გურიას.

სულთან—კრიმ-გირეი გურიაში.

კრიმ-გირეის ჩამოსვლის გამო გურიის კომიტეტის წინაშე დაისვა ერთობ სერიოზული საკითხი: მიეღო თუ არა გურიას მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელი და მიეცა თუ არა მისთვის ახსნა-განმარტება მოძრაობის ნამდვილი მიზეზების შესახებ.

სათანადო მსჯელობის შემდეგ კომიტეტმა გადასწყვიტა მიეღო კრიმ-გირეი და აშკარად ეღიარებინა მის წინაშე მოძრაობის მიზეზები და ხალხის მოთხოვნილებანი. კომიტეტმა საჭიროდ სცნო კრიმ-გირეისთვის თან გაეყოლებია გურიის ყოფა-ცხოვრების და 1905 წლის მოძრაობის ძირითადი მიზეზების კარგად მცოდნე პირი. ასეთ პირათ კომიტეტმა დაასახელა აპოლონ წულაძე, რომელიც დაჰყვებოდა კრიმ-გირეის ყველა საზოგადოებაში, იყო აგრეთვე „მოგზაურის“ კორესპონდენტი ნესტორ კალანდაძე, აგრეთვე სხვა გაზეთების კორესპონდენტები — „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „ნოვოე ობოზრენიეს“ და სხ.

კომიტეტმა აგრეთვე მიიღო საჭირო თადარიგი მთავრობის წარმომადგენლისათვის სათანადო ახსნა-განმარტების მისაცემად. კომიტეტის რწმუნებულები უხსნიდენ ხალხს კრიმ-გირეის ჩამოსვლის მიზეზებს, პარტიის ხაზს კრიმ-გირეისთვის განმარტებების მიცემის საკითხში და სათანადო დარიგებებს აძლევდენ ხალხს. კომიტეტმა აგრეთვე მიიღო ზომები კრიმ-გირეის დასაცავად, რათა მას თავს არ დასხმოდენ ხალხის მტრები და მით არ გამოეწვიათ პროვოკაცია.

კრიმ-გირეის მიმართვა ხალხისადმი.

კრიმ-გირეი შეუდგა გურიის ჩამოვლას. იგი ესწრებოდა ცალ-ცალკე საზოგადოების (სამამასახლისოების) საერთო მიტინგებს, რომელიც ჩვეულებრივად იმართებოდა კანცელიარიებთან ან სკოლის ეზოში.

კომიტეტის თაოსნობით ყველაფერი წინდაწინვე იყო მომზადებული. კრიმ-გირეის მოსვლამდე საზოგადოება მართავდა დიდ მიტინგებს, სადაც მოხსენებით გამოდიოდა კომიტეტის რწმუნებული, რომელიც ფართოთ უშუქებდა ხალხს კრიმ-გირეის ჩამოსვლის მიზეზებს და იმ ტაქტიკას, რომელიც პარტიამ აიღო კრიმ-გირეისთან მოლაპარაკებაში. ხალხი წინდაწინვე ირჩევდა კრიმ-გირეისთან მოსალაპარაკებლად დელეგაციას, რომელშიაც უსათუოდ შედიოდა ერთი პასუხისმგებელი პროპაგანდისტი.

როდესაც კრიმ-გირეი მოვიდოდა საზოგადოების მიტინგზე, ხალხი განგებ ასტეხდა ჩოჩქოლს დელეგატების არჩევაზე, თითქოს სასურველ პირებს არჩევსო, ნამდვილად კი აირჩევდენ წინასწარ არჩეულ დელეგატებს და წარუდგენდენ მას მთავრობის წარმომადგენელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმ-გირეი პირველად მიესალმებოდა ხალხს დაზეპირებულ ქართული სიტყვებით: „გამარჯობათ გურიის შვილებო!“ იგი მიიღებდა მხიარულ სახეს, ხოლო მისი თარჯიმანი წაიკითხავდა კრიმ-გირეის შემდეგ მიმართვითი ბარათს ხალხისადმი:

„მოგესალმებით გურიის შვილნო და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის რუსული ენის მცოდნენიც არიან, მაგრამ მსურს, რომ ჩემი სიტყვები გაიგონოთ თქვენ დედა-ენაზე, რომელიც თქვენთვის გასაგებია.

ამ ჩემს სიტყვებს გადმოგითარგმნით ის ადამიანი, რომელსაც მე კარგად ვიცნობ და რომელიც თან მომყვა. მე მეტად მიხარიან, რომ მომეცა შემთხვევა მოვსულიყავი მშვენიერ გურიაში და ახლო გამეცნო გურულები და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი მოსვლა მოგიტანთ თქვენ სულიერ მშვიდობას და დაწყნარებას.

გურულებო! ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ უმთავრესად თქვენი ყურადღების ღირსი უნდა იყვეს შვილების აღზრდა-განათლება. მე ვიცი, რომ თქვენი ბავშები ხშირად დადიან ყოველ-დღე სასწავლებელში ხუთი ექვსი ვერსის სიშორეზე და სხვა მრავალი დაბრკოლებაც ხელს უშლის მათ, მაგრამ, მაინც, სამი-მეოთხედი ბავშებისა სკოლაში სწავლობს. ამ მხრივ სწორეთ მაგალითი ხართ ამიერ-კავკასიის ყველა ხალხისათვის. თქვენი ახალგაზრდობა გურიის სიამაყე და იმედია და თქვენ ყოველი საშუალება უნდა იხმაროთ, რომ დაიფაროთ თქვენი ახალგაზრდობა ისეთ საქმეებით გატაცებისაგან, რომელიც არ შეეფერება მათ წლოვანებას და ამით მისცეთ ახალგაზრდობას შეძლება მშვიდობიანათ განაგრძოს განათლება. ამ მზრუნველობისათვის თქვენი ზნეობრივი დამაკმაყოფილებელი იქნება ყველაზე უწინარეს, იმისი შეგნება, რომ თქვენ შეასრულეთ მძიმე მოვალეობა, როგორც მამებმა და მოქალაქეებმა და შემდეგ რწმენა, რომ ახალგაზრდობა თავის დროზე პატივისცემით და მადლობით მოგიგონებთ თქვენ.

მე მითხრეს თქვენ შორის არიან ფიცხი ადამიანები. სასტიკად ნუ გაკიცხავთ მათ, მაგრამ ნურც მიჰყვებით იმათ კარგად მოუფიქრებელ რჩევას და იმათ ფიცხ გატაცებას. წინ დაუყენეთ სიდინჯე და გონიერება. ნუ გაჰკიცხავთ აგრეთვე იმ რუსებს, რომელნიც აცნობებენ და სცდილობენ, რაც შეიძლება მალე მოაწყონ აქ ყველაფერი რუსულ წესრიგზე და რუსულად. არსებითად მათი აზრი ძალიან მოსაწონია. მათ უნდათ, რომ მთელი რუსეთის ყველა წევრები, მთელი ამ ოჯახის ყველა ხალხები ცხოვრობდენ ერთი საერთო ცხოვრებით და ელაპარაკებოდენ ერთმანეთს ერთი საერთო ენით. ამათ

სურთ დააჩქარონ ისტორიული მსვლელობა, მაგრამ ავიწყდებათ ის, რომ სასურველი ერთობა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ერთობა დამყარდება ბუნებრივათ (თავისუფლად) და ძალდაუტანებლად. ამგვარი ერთობა, რასაკვირველია, სრულიად არ მოითხოვს, რომ ქართველმა დაივიწყოს თავისი ქართული, მშობლიური. ყოველი რუსი პატივისცემით მოეპყრობა იმ ქართველს, რომელსაც შეუთვისებია რუსული კულტურა, მაგრამ რომელიც ამავე დროს არის კარგი ქართველი, უყვარს ქართული ენა, მწერლობა და სწავლობს თავის ქვეყნის ისტორიასა და წარსულს, სიძველეებს და სამაგიეროდ ის არ ენდობა იმ ქართველს, რომელიც უყურადღებოთ სტოვებს ყველაფერს მშობლიურს. ეს გასაგებია: განა ცუდ ქართველს შეუძლიან იყოს კარგი რუსი?

გურიის მდგომარეობა გაჭირვებულია, ბევრს რასმე უნდა გაუკეთესება, მოწესრიგება, მაგრამ იქონიეთ მოთმინება, დიდ ხანს იტანჯებოდით, იქონიეთ სიმამაცე და მოთმინება ცოტა კიდევ. წერა-კითხვა თქვენში ძალიან გავრცელებულია, სოფლებში ყველგან წიგნები გაქვთ, ზოგიერთებს გაზეთიც კი. მე ვიცი, რომ თქვენში, როგორც მთელ რუსეთში, გაფაციცებით ადევნებთ თვალყურს 1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში უმოწყალესად აღნიშნულ საკითხების შემუშავებას. ამიტომ ნუ დაივიწყებთ, რომ ყოვლად კაცთმოყვარე ბრძანების ახლანდელ კეთილ შედეგიფ ისარგებლებენ გლეხები. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ცდილობს, რომ გააკეთოს ყველაფერი, რაც კი გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას და შესაძლებელს ჰქმნის თქვენთვის მომავალში გამოძიებას და გამოკვლევას თქვენთა აუცილებელ საჭიროებათა.

მთავარ-მართველი სასტიკად თხოულობს წესიერების და უშიშროების დაცვას, სრულ აღიარებას კანონებისას და კანონიერ მთავრობისას და მორჩილებას. ამასთანავე მომანდო მე მოვისმინო თქვენი საჩივრები და განცხადებანი და მომცა უფლება გაცნობოთ, რომ კანონიერი და სამართლიანი საჩივრები და თხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება დამოკიდებულია მთავარ-მართველისაგან, დაკმაყოფილებული იქნება ეხლავე; იმ საჭიროებათა შესახებ, რომელიც აღემატება მთავარ-მართებლის უფლებას, წარდგენილ იქნება უდიდებულესობის წინაშე.

რაც გურიაში მოხდა, ამის ახსნა შეიძლება, გამართლება კი არა. თქვენ არ შეგიძლიათ არ აღიაროთ, რომ ბევრი თქვენი წევრთაგანი ულანონოთ მოქმედობს.

მე არ გკითხავთ ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ, ასწონოთ თქვენთვის, თქვენი ცოლშვილისა და გურიის მომავლისათვის უტვლელური შედეგი, რომელიც მოჰყვება მთავრობის და კანონების წინააღმდეგობას. მთავარ-მართებელი კეთილის გულით და ყურადღებით ეპყრობა თქვენს გაჭირვებას, რის დამამტკიცებელია ჩემი აქ, თქვენთან. ყოფნა. მაგრამ ჩემი გამოგზავნა უკანასკნელი ცდაა მთავარმართებელისა, რომ მშვიდობიანათ მოეღოს ბოლო სამწუხარო უთანხმოებას და გაუგებრობას.

ასწონეთ ყველაფერი, რაც მე გითხარით, ნუ აჩქარდებით პასუხის მოცემას, შეეკითხეთ იმათ, რომელთაც თქვენ ენდობით, რომელთაც სურთ თქვენთვის სიკეთე და შეგეწიოთ ღმერთი ამ გაჭირვებულ და მძიმე წამს, რათა დაიცვათ თქვენი ჩვეულებრივი სიწყნარე, სიფრთხილე და კეთილ-გონიერება".

გურულების პასუხი.

ხალხი მადლობას გადაუხდიდა კრიმ-გირეის და დეპუტაციაც შეუდგებოდა ხალხის მოთხოვნილებების აღნუსხვას.

გურიის კომიტეტმა საზოგადოების დელეგაციებში მონაწილეობის მისაღებათ რაიონებში გამოჰყო შემდეგი პირები: ხიდისთავში — იასონ მეგრელიძე და ორი ქალი (ბარბალე კალანდაძე და ლოლა ბიბინეიშვილი); ნიგოითში—გერმანე მგალობლიშვილი; ბახვში — რაფიელ ჩიხლაძე; შემოქმედში — ბენია ჩხიკვიშვილი; ერკეთში — იაგორ მინდაძე [1]), ტარასი და ილია მგალობლიშვილები. ნანეიშვილის სეულში — უშვერიძე და ამ სტრიქონების ავტორიც და სხვა. ასკანში — მიხაკო შარაშიძე, ვ. ჯაველიძე, დიომიდე ჭეიშვილი.

ხალხის წარმომადგენლები მოითხოვდენ დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო არჩევნებს, სიტყვის, კრების და პრესის თავისუფლებას, მუდმივი ჯარის გაუქმებას, ერთი სიტყვით, ს.-დ. პარტიის პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას. მთავრობის უარყოფითად დახასიათების დროს კრიმ-გირეი ცდილობდა სიტყვის ბანზე აგდებას და უსამართლობას აბრალებდა მთავრობის ადგილობრივ აგენტებს. იგი აღნიშნავდა, რომ მთავრობას კარგი სურს ხალხისათვის, მაგრამ ხშირად მთავრობის ადგილობრივი აგენტები: პრისტავი, მოსამართლე და

---

[1]) იაგორ მინდაძე იყო პარტამხანაგების ნებართვით მამასახლისად, მისი მამასახლისობით პარტია სარგებლობდა პასპორტების მიღებით და საჭირო ცნობების გაგებით.

სხვ. ცუდათ ეპყრობიან ხალხს, რაც იწვევს უკმაყოფილებას და მთავ-
რობის საწინააღმდეგო გამოსვლებსო. ამ ფანდით კრიმ-გერეის სურ-
და ხალხი სიტყვაში დაეჭირა და მთავრობის საწინააღმდეგო გამო-
სვლები თვითმპყრობელობის ადგილობრივ აგენტების უდიერ საქციე-
ლით „აეხსნა", მაგრამ დელეგატებს ჩინებული პასუხი ჰქონდათ გამზა-
დებული მეფის გენერლისათვის:

— არა, ბატონო, სუდია და პრისტავი რა შუაშია, ისინი კარგი
კაცებია, იმათ რას ერჩით, მათ ჩვენთვის კარგი სურთ, მაგრამ რა
ჰქნან, რომ კანონი მათ ამის ნებას არ აძლევს. კანონი არ ვარგა, ბა-
ტონო, თორემ სხვა ყველაფერი კარგად იქნებ. არსებული კანონის
გამოცვლა კი ეხლანდელ მთავრობას არ შეუძლია, იგი ამას არ და-
უშვებს, ამიტომ საჭიროა ხალხმა აირჩიოს დამფუძნებელი კრება, რო-
მელიც აირჩევს ისეთ მთავრობას, რომელსაც შეეძლება ძველი კანონ-
ების გამოცვლა და ხალხისათვის სასარგებლო კანონების გამომუ-
შავება.

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ პასუხს
აძლევდენ გურულები სულთან-კრიმ-გირეის, მოვიყვან ამოწაწერს
ჟურნალ „მოგზაურიდან", რომელშიაც დაწვრილებით იწერებოდა
კრიმ-გირეის მოგზაურობის ამბები.

აქვე მოგვყავს ბახვის საზოგადოების დეპუტატების პასუხი კრიმ-
გირეისადმი:

„პირველ და თითქმის აუტანელ გასაჭირათ დეპუტატმა სხვა და
სხვაგვარი გადასახადები წამოაყენა. ამათში პირველი ალაგი სახელ-
მწიფო გადასახადს უჭირავს, რომლის აკრეფის დროსაც მთავრობის
მოხელეები ყურადღებას არ აქცევენ არავითარ გასაჭირს მცხოვრე-
ბლებისას. არბევენ საწყლებს, უყიდიან სხვადასხვა საჭირო ნივთებს,
ხშირად სცემენ ყოვლად უმნიშვნელო წინააღმდეგობისათვის. (აქ
ერთმა ხარკის ამკრეფად ნაყოფმა დეპუტატმა შენიშნა, რომ მე თვი-
თონ გაუყიდე ერთ ღარიბ მოსახლეს უკანასკნელი ერთი კვირის სა-
გზალი სიმინდი და სრულიად ულუკმა-პურით დავტოვე მთელი ოჯა-
ხიო). მეორე ალაგი უჭირავს დრამა ფულის გადასახადს. ჩვენ ვიცით,
რომ სამღვდელოებას აქვს შემოსავლის მრავალგვარი წყარო: ნა-
თვლა, ქორწინება, პანაშვიდი, წირვა, ზიარება და სხვა. წარმოიდგი-
ნეთ, მაშინაც კი, როდესაც რომელიმე საბრალო ოჯახს ეცლება ბურ-
ჯი, ე. ი. უკვდება მარჩენალი ხელი, მამა ოჯახისა, მღვდლები მაში-
ნაც ფულს თხოულობენ ისედაც დაღუპული ოჯახისაგან (აქაც დე-
პუტატებმა დაასახელეს მრავალი მაგალითები). ყველა ამ გადასახა-
დების გარეშე მღვდლები კიდევ თხოულობენ ორ მანეთის დრამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულს კომლზეო“. — დააბოლავა დეპუტატმა, რომ მღვდელს ხალხთან არ დაურჩეს არავითარი საქმე, ეს დრამის ფული სახელმწიფო გადასახადთან ერთად იკრიფება და როცა მღვდელსა სთხოვ: „მამაო, მადროვე ან მაპატივე ეს ორი მანეთი“, ის გეტყვის: „ჩემი საქმე არ არის, ეს პრისტავის საქმეა და კითხე და თუ გაპატიებს, იმის ნება არისო“. აი ჩვენ გთხოულობთ, რომ ყველა ეს გადასახადები მოისპოს, რადგანაც უკანონოთ მიგვაჩნია ასეთი უზომო გადასახადების ძლევა, რომლის სიმძიმე ახლა, ამ გაჭირვებულ დროს, ერთი ორათ საგრძნობელი და აუტანელია. — ხომ მართალია, ამხანაგებო? — შეეკითხა მოლაპარაკე და უცებ გაისმა ხალხის საერთო გრიალი: „მართალია, მართალიო“!

ამის შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა იმ ხარჯის შესახებ, რომელსაც თხოულობს ჩინოვნიკებისათვის ცხენების შენახვა. ბახვის საზოგადოებას ჰყავს თავის საზოგადოებაში მუდამ ორი ცხენი და აგრეთვე ნაწილი უწევს იმ ხარჯებში, რომელსაც ითხოვს ოზურგეთის მაზრის სამმართველოში ოთხი ცხენის შენახვა, რაც საერთო რიცხვით წელიწადში 300 მანეთს შეადგენს. ეს ცხენები საჭიროა ვიღაც ჩინოვნიკებისათვის და იმათ ნათესავ-ნაცნობებისათვის, რომლებიც სხვის საქონელს ულმერთოთ ეკიდებიან და ამის მიზეზით ცხენები ძალე იხოცება.

ამასთანავე, ჩვენ გლეხები ვალდებული ვართ ვიყარაულოთ ეკლესიის ეზოში, გზებზე, მთებში და საავარაკო ადგილებზე, უკახ ვდიოთ მოხელეებს ფეხით და მათი ბარგით ზურგზე მაშინ, როდესაც ისინი ცხენით დაბრძანდებიან. ჩვენ ვთხოულობთ მოისპოს ყოველივე ეს, რადგან ამაში უსამართლობას ვხედავთ. — ხომ მართალია ამხანაგებო?.. ხალხში კვლავ გაისმა: — მართალია, მართალიო“!

— გზები, — განაგრძო მეორე დეპუტატმა, — საზოგადოებისათვის საჭიროა, ამიტომ ჩვენ ვერ ვითხოვთ გზების მოსპობას, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ გზებს უნდა აკეთებდეს ყოველი წოდების წარმომადგენელი და არა მარტო დაბეჩავებული გლეხ-კაცობა, განა გზით მარტო ჩვენ ვსარგებლობთ? განა ჩვენზე მეტად ის გზა თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებას არ სჭირია? მაშ, რატომ უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ და სარგებლობდენ ისინი? ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოისპოს ყოველივე ეს და გზების გაკეთებაში მონაწილეობა ყველა წოდებამ მიიღოს.

შემდეგ დეპუტატმა წამოაყენა კითხვა სხვადასხვაგვარი ბაჟების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ, თუმცა ბევრი არ გვისწავლია და კლასები არ გაგვივლია, მაგრამ ის კი გაგვიგონია, რომ არის ქვეყნები, ფრანცია, გერმანია, ანგლია, ყური მოგვიკრავს მათი ცხოვრების ამბებისათვის და ვიცით, რომ ბათომიდან ინგლისში მიტანილი ჩვენი ნავთი უფრო იაფი ღირს, მანამ ბათომიდან ნატანებში ან ოზურგეთში ამოტანილი. ბათომში თურმე ერთი ფუთი ნავთი 30 კაპეიკი ღირს, ჩვენში კი ერთი მანეთი. რაიზა ვიხდით ჩვენ ამდენს, როცა ამოტანა სულ მცირე ჯდება? ნავთი ჩვენთვის უსაჭიროესი რამეა და ამაზე ამოდენა ბაჟი, — ეს ხომ უსამართლობაა.

— ამგვარივე ბაჟი აქვს თუთანსაცო, სთქვა მესამე დეპუტატმა— დაუჭრელი თუთუნი ძლიერ იაფი ღირს და ჩვენ ხელს არ გვაძლევს იმისი გაყიდვა, ხოლო თუ დავჭერით და ამაზე შრომა გავსწიეთ, ეს აკრძალულია და ჯარიმას გვადებენ, ხშირად ერთი გირვანქა დაჭრილი თუთუნის გულისათვის კაცი 25 მანეთით დაუჯარიმებიათ.

— ამას დაუმატოთ არაყის ბაჟიო, განაგრძო მან; ჩემს მამულში, ჩემი შრომით მომყავს რაღაც ოციოდ გოდორი ყურძენი. ადგილში ბაჟს ვიხდი, ეს ჭირნახული მაინც ჩემი უნდა იყოს და შემეძლოს ისე მოვიხმარო, როგორც ჩემ გუნებას უნდა. მარა ჩვენ ამას მოკლებული ვართ. მე არ შემიძლია ჩემი ღვინო არაყათ ვაქციო და ისე გავყიდო: ღვინოთ ის არ იყიდება, რადგან მდარეა. არ შემიძლია ჭაჭისაგან არაყი გამოვხადო და ისიც ტყუილად უნდა დამილპეს. მიზეზი ყველა ამისა არის ის უზომო ბაჟი არაყზე, იმდენათ უზომო, რომ ხარჯს არ ასწორებს, არამც თუ სარგებელი ვნახო რაიმე და გამოდის, რომ მე იმავე ხაზინისათვის მიმუშავია, რომელსაც ისევ ბევრ გადასახადს ვაძლევ და ჩემი ცოლ-შვილი მშიერი მეხოცება.

— ასე არ არის, ამხანაგებო?

— ასეა, მართალიაო, — დაიგრიალა ხალხმა ერთხმად.

მაშ, ჩვენ ვთხოულობთ ყოველივე ეს მოისპოს და უფლება მოგვეცეს იმ ადგილის ნაყოფი, რომელშიაც ჩვენ გადასახადს ვიხდით, ჩვენი სურვილისამებრ მოვიხმაროთ.

მოთხოვნილების შემდეგი მუხლი მემამულეებს შეეხებოდა.

— ჩვენ გვესმის, რომ მიწა არ შეუქმნია ადამიანის ხელს, რომ ის არ არის კერძო შრომის ნაყოფი და ამიტომაც თავის თავად ცხადია, რომ იმის დასაკუთრება ისე უთანასწოროდ, როგორც მას დღეს ვხედავთ, არის უსამართლობა. ჩვენ ვხედავთ, რომ საუკეთესო ადგილები ჩვენი ქვეყნისა ეკუთვნის თავად-აზნაურებს, ეკლესიებს და სამღვდელოებას. — ხოლო თითონ მიწის მუშა ხალხი, გლეხკაცობა ცარიელზე ზის. ჩვენ ვიცით, რომ უწინ გლეხიცა და მამულიც — თავად-

აზნაურობის საკუთრებას შეადგენდა. ეს ბატონ-ყმობის დრო იყო. მარა მოისპო ეს დრო და გლეხი განთავისუფლდა. მარა ისიც ვიცით, რომ ის ადგილები, რომლებსაც გლეხები ამუშავებდენ, ისევ გამოსასყიდლათ დაურჩათ. რატომ ის მამულები მაინც და მაინც ბატონების საკუთრებას შეადგენდა და გლეხებს არ ედვათ შიგ წილი? ამიტომ ჩვენ უსამართლო წარმოებულად მიგვაჩნია ის გადახდილი ფულები და ვთხოულობთ, რომ გადახდილი ფული უკან დაგვიბრუნდეს და ვინც ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელი დარჩა, ის უფასოდ განთავისუფლდეს. ჩამოერთვას მამული ეკლესიებს, მონასტრებს და საუფლის-წულო უწყებას გლეხთა ანუ მუშა-ხალხის სასარგებლოთ და გაანაწილოს მათ შორის ამისათვის ამორჩეულმა საგლეხო კომიტეტმა.

აქ დეპუტატმა განაცხადა, რომ ტყუილად ავრცელებენ ხმებს, ვითომც ჩვენ ველურები, მხეცები ვიყოთ და არ გვესმოდეს, თუ რას ვთხოულობთ ან რისთვის ვიბრძვით. უზომო გაჭირვებამ ჩვენ გვაიძულა კარგათ ჩავკვირვებოდით თავის მდგომარეობას და იქ კი ამოვიკითხეთ მხოლოდ ჩვენი დაბეჩავება, ჩვენი დაჩაგვრა და ჩვენი გასაჭირი. ახლა ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი ტანჯვა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— ჩვენ შევიგნეთ რა ჩვენი გასაჭირი, დაიწყო ერთმა დეპუტატმა, გადავწყვიტეთ ერთად შეკრება, რომ ჩვენ გასაჭირზე, ჩვენ დაბეჩავებაზე და დამონავებაზე ამხანაგებთან ერთად გველაპარაკნა. განა რა არის ამაზე ბუნებრივი. ჩვენ კი ასეთი საქმისათვის ვთრთოდით და ვკანკალებდით, ჩვენ გვეშინოდა თავაშვებული სტრაჟნიკებისა, რომლებსაც არა ერთხელ და ორჯერ უცდია ჩვენი ძმების სისხლის დაღვრა.

აქ სულთან კრიმ-გირეიმ მოითხოვა მაგალითები პოლიციის ასეთი მოქმედებისა. მას დაუსახელეს ხიდისთავში და ლანჩხუთში მომხდარი სისხლის ღვრა და ამასთანავე მრავალი ადმინისტრატიული გადასახლებული პირები, რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. სულთან კრიმ-გირეიმ მოისურვა გაეგო ასეთ შემთხვევას კერძოთ ბახვის საზოგადოებაში თუ ჰქონდა ადგილი და აღმოჩნდა, რომ დაახლოვებით გიორგობისთვეში სოფელ თავკობულში სტრაჟნიკები თავს დასხმოდენ მინდორში შეკრებილ ხალხს და სროლა აეტეხათ. ორი-სამი დაეჭირათ და რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ გაეშვათ.

— თავის თავად ცხადია, განაგრძო ისევ ამავე დეპუტატმა, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება თავის გასაჭირზე მეზობლებში მოილაპარაკოს და ამისათვის საზოგადოების სახელით ვითხოვ, რომ ნება მიეცეს თავისუფალი ყრილობისა და მოისპოს პოლიციის თვითნებობა.

ამ დროს სულთან კრიმ-გირეიმ შენიშნა ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც გიორგის ჯვარი ეკიდა, ადგა და სალამი მისცა.

— აბა, კიდევ რას იტყვიანო? შეეკითხა სულთან კრიმ-გირეი.

— ჩვენი გასაჭირი, ბატონო, ასე მალე არ ითქმება, — დაიწყო ერთმა დეპუტატმა. ბევრმა ჩვენგანმა იცის ქართული კითხვა და სურვილი აქვს რამე წიგნი ან გაზეთი წაიკითხოს. ვკითხულობთ გაზეთს, მაგრამ ჩვენ გასაჭირზე არაფერი სწერია. ამ დროს ჩვენ ვეყრებით რაცხა ფურცლებს, ხანდახან პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც ჩვენი გასაჭირი წერია, რომლებიც ჩვენ მოგვწონს. რატომ ჩვენ ნება არ გვაქვს ის ფურცლები ვიკითხოთ? ან რატომ იმ გაზეთებში არ სწერენ იმისთანა კაი ამბებს, რომლის კითხვაც შეგვიძლია?

ამაზე სულთან კრიმ-გირეიმ შენიშნა, რომ იმ ფურცლების კითხვისათვის არავის სჯიან, სჯიან მხოლოდ გავრცელებისათვის.

დეპუტატი კვლავ შეეკითხა საზოგადოებას და იმანაც ერთხმად უპასუხა:

— როგორ არა, გვჯიან, უბრალო წაკითხვისათვისაც გვჯიან, — ის კი არა, თვით ისეთი დაწესებულება, როგორც სამკითხველოა, რომელსაც ჩვენი ხარჯით ვინახავთ და რომელშიაც გაზეთების მეტი არაფელი გვიწყვია, მთავრობამ დაგვიკეტა. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ყველაფერი ჩვენი გასაჭირი იბეჭდებოდეს გაზეთებში.

ბიბლიოთეკაზე სულთანი დიდხანს შეჩერდა და ბოლოს განაცხადა, რომ ვიშუამდგომლებ ის მალე გახსნანო.

შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა, თუ როგორ სწყურია სწავლა ხალხს რადგანაც მიხვდა, რომ უსწავლელი კაცი მჭადის ფასად არ ღირს, მარა სადაა ამის საშუალება, სიღარიბე აიძულებს ისევ სიბნელეში დარჩენას. სხვა ქვეყნებში კი, თურმე, ისე არ არის, როგორც ჩვენში, ჩვენ ვთხოულობთ, რომ ჩვიდმეტ წლამდე ჩვენს ქალებსაც და ვაჟებსაც უფასო და ამასთან სავალდებულო სწავლა ჰქონდეთ, ხოლო საშუალო და უმაღლესი სწავლის მიღება უფრო ხელმისაწვდომი იყოს.

შემდეგი მუხლი სალდათობას შეეხებოდა. ერთმა დეპუტატმა ბ-ევრმეტყველურად დაუსურათა თარჯიმანს სალდათობის აუტანლობა, მაგრამ თარჯიმანმა, რომელიც თავის ხელობაში საზოგადოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქლობდა, იმავე სიცხადით ვერ გადასცა ბ-ნ კრიმ-გირეის. დეპუტატმა, ეარ-თალია, ჩინებულათ გაარკვია ეს კითხვა და როდესაც ის სულთან კრიმ-გირეის გადაუთარგმნეს, მან სრული გულწრფელობით წარმოთქვა: „მე პირველი მოვიხდი ქუდს მაგ დიდებული აზრის წინაშე. მაგრამ მხედრობის მოსპობა მაშინ, როცა ყველა ჩვენი მეზობლები იარაღს ისხამენ, შეუძლებელია“-ო.

დეპუტატმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჩვენს ძმებს, სალდათებს, აფიცებენ და ასწავლიან დაიცვას სახელმწიფო გარეგანი და შინაური მტრებისაგან, ხოლო ეს შინაური მტრები თურმე, ჩვენვე ვყოფილვართ, როცა ჩვენ ჭირთ-ვარამზე ვლაპარაკობთ. სამშობლოს დასაცავათ გაგზავნილ ჩვენ ძმებს და შვილებს ჩვენვე გვისევენ და ჩვენ სისხლს აღვრევინებენ, როგორც ეს, მაგალითად, პეტერბურგში მოხდა და, რომელიც ჩვენც გავიგეთო. ასევე ჩვენ, ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, ჯარი მოგვიყვანეს და ომს გვიპირებენ. განა ეს სამშობლოს დაცვას ნიშნავს? ჩვენ გვსურს, რომ ჯარი მოისპოს, ხოლო თუ სამშობლო განსაცდელში ჩავარდება, ვის შეუძლია ის ჩვენზე უფრო თავგამოდებით დაიფაროს, ქუდზე კაცი საკმარისია მამულის შეუხებლობა უზრუნველყოს.

აგრეთვე საჭიროა თავისუფლად ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლა-გადმოსვლა შეგვეძლოს. ჩვენ კი ყოველ ნაბიჯზე ბილეთს (პასპორტს) გვთხოვენ; რა საჭიროა ბილეთი, როცა მე თვითონ იქა ვარ. ჩვენ ამასაც ვთხოულობთ, რომ პასპორტი მოისპოს სრულიად.

— ახლა ვის შეუძლია ყოველივე ეს მოგვანიჭოს ჩვენ? განა იმ მთავრობას, რომელიც ეხლა გვყავს და რომელიც ჩვენი გასაჭირის გაცხადებისათვის „ბუნტოვჩიკებათ“ გვაცხადებს, ველურებს გვეძახის, ციხეში გვალპობს, ცხენებით გვთელავს, ციმბირისაკენ მიგვეგზავნეს და დასასჯელ ჯარსაც კი აგზავნის, რომ ააოხროს ჩვენი მიდამო, გადაწვას სახლები და სხვა. არა და ათასჯერ არა. ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოუწოდოთ მთელი ქვეყნის ხალხის კრებას. მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთ შეუძლიათ ხალხის საჭიროების გამოხატვა და ჩვენც მხოლოდ ამ გვარ მთავრობას განუცხადებთ ჩვენს ნდობას. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ქვეყნები არის ბევრი, მარა ისიც ვიცით, რომ იქ ბევრია ღარიბი და მდიდარი, ჩაგრული და დამჩაგვრელი. ეს არიან მდიდრები — კაპიტალისტები და ღარიბები — მუშები. იქ ისინი ებრძვიან თურმე ერთმანეთს. ასე მოგვივა ჩვენც. მხოლოდ კაპიტალისტური მონობის მოსპობის შემდეგ დამყარდება ქვეყნათ თანასწორობა და ბედნიერება. ეს ჩვენი შორეული მიზანია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს რომ ეჩვენებია კრიმ-გირეისთვის, რომ გურიის მოძრაობას არ ჰქონდა სეპარატიული ხასიათი, რომ ეს იყო რუსეთის მოძრაობასთან ორგანიულად დაკავშირებული გამოსვლები — უყენებდა საერთო ხასიათის მოთხოვნილებებს. როდესაც კრიმ-გირიემ აღნიშნა, რომ გურიის მოძრაობა გამოწვეულია ნაციონალური მოტივებით, რომ გურიის ხალხს სურს თავის ენაზე სწავლა, სამართალი და მართვა-გამგეობაო, ხალხმა მას უპასუხა, რომ ამ მოძრაობას არ ჰქონდა ეროვნული განთავისუფლების ელფერი — მოითხოვა ქართველ მაზრის უფროსის მაგიერ რუსი — ლაზარენკო.

კრიმ-გირეი ავად თუ კარგად, ხალხის ყველა მოთხოვნილებას ურიგდებოდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეეძლო რუსეთს ეარსებნა მუდმივი ჯარის გარეშე.

— როგორ შეუძლია ისეთ დიდი სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, მუდმივი ჯარის გარეშე არსებობა. ეს ხომ მის განადგურებას, სხვა ძლიერ სახელმწიფოების მიერ დამორჩილებას მოასწავებდაო — ამბობდა კრიმ-გირეი.

ხალხის წარმომადგენლები ამაზე მას უპასუხებდენ, რომ თავისუფალი და თვითმპყრობელი ხალხი შესძლებს თავის თავის და თავისუფალი სამშობლოს დაცვას სახალხო მილიციის საშუალებითო.

(ერთი კერძო საუბარში, როდესაც კრიმ გირეის თან ახლდა ჩაქურაში გამოწყობილი და შეიარაღებული წითელ რაზმელი, რაფიელ შარაშიძე, მან ხუმრობის კილოთი აპ. წულაძეს უთხრა: „Согласен на народную милицию, если такие молодцы будут.“)

კრიმ-გიერი დაიდოდა სოფლიდან სოფელში, საზოგადოებიდან საზოგადოებაში. ყველგან გურიის მშრომელი ხალხი მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებას, სოც.-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას. იგი დღითი-დღე რწმუნდებოდა, რომ გურიის მოძრაობის სახით მთავრობას საქმე აქვს არა უბრალო ბუნტთან, არამედ ორგანიზაციულ და მასიურ ხალხოსნურ მოძრაობასთან, რომელსაც უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა, ვიდრე ეს წარმოედგინა მეფის მთავრობას.

სულთან-კრიმ-გირეი ამაში დაარწმუნა ხალხის ერთსულოვანმა შოთოხვნილებებმა, მისმა გამბედაობამ და შეგნებამ.

კრიმ-გირეის ჩამოსვლის შედეგები.

კრიმ-გიერის ჩამოსვლას გურიაში უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ერთი რომ, მისი მოგზაურობის და ხალხთან საუბრის დაწვრილებითი ცნობები იბეჭდებოდა ყველა ქართულ და ზოგიერთ რუსულ გაზეთებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად გურიის ხალხს საშუალება მიეცა ლეგალური გზით გაეცნო მთელი რუსეთისათვის მოძრაობის ნამდვილი მიზეზები. ამრიგად კრიმ-გირეის მოგზაურობა გურიაში კომიტეტმა გამოიყენა საagიტაციო საშუალებათ და პროგრამა-მინიმუმის გასაცნობად მშრომელთა ფართო მასებისთვის.

მთავრობისთვის აშკარა შეიქნა, რომ გურიის ხალხი კრიმ-გირეის მოგზაურობას მოხერხებულად იყენებს რევოლიუციონური იდეების გასავრცელებლად და სასწრაფო დეპეშით აცნობა მას უკანვე დაბრუნებულიყო. კრიმ-გირეის რამდენიმე საზოგადოება დარჩა შემოუვლელი, ის იძულებული იყო უკანვე დაბრუნებულიყო.

კრიმ-გირეის უკან დაბრუნების შემდეგ ქუთაისის გუბერნატორად დანიშნული იქნა სტაროსელსკი, ხოლო ვიცე-გუბერნატორად ყიფშიძე. სტაროსელსკიმ დანიშვნისთანავე დაიარა გურია. მგზავრობის დროს სტრაჟნიკების ნაცვლად მას წითელი რაზმელები დაჰყვებოდა.

ამრიგად, კრიმ-გირეის შემდეგ მთავრობა თითქოს დათმობაზე წავიდა და ლიბერალური ხაზის გატარება იწყო, მაგრამ გურიის მოძრაობა ამით ოდნავ არ შენელებულა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VIII

გურიის მოძრაობის გავლენა ქობულეთსა და აჭარაზე. — გურიის რევოლიუციონური მოძრაობის აქტიური მუშაკები. — დიდი და პატარა პავლე საყვარელიძენი. — შამშე ლეჟავა და ბუდუ მდივანი. — მუშაობის პირობები დასავლეთ გურიაში. — პატე აბაშიძე, პროკოპი დოლიძე და ექიმ ტრიანდაფილიდისის გატაცება. — „კაუცკი", ბოხორიკო", ბოლქვაძე და სხვები. — ტერორის ახალი ფორმა.

გურიას ქობულეთიც ამოუდგა გვერდში.

გურიის მოძრაობასთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული ქობულეთი, რომელსაც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ბათომის კომიტეტი. უკანასკნელად ქობულეთი დაუკავშირდა გურიის კომიტეტს და ითვლებოდა მის ქვე-რაიონად. ქობულეთის წარმომადგენელი იყო ივანე კოპალიანი (რომელიც გარდაიცვალა ციხეში ტიფით.).

1905 წ. ქობულეთში არსებობდა მოზრდილი წრე, რომელშიაც შედიოდენ, როგორც ქობულეთში მყოფი გურული რევოლიუციონერები, ისე ქობულეთლებიც.

წრეში მუშაობდენ: იასონ ხუხუნაშვილი, კოსტა ხაბაიშვილი, ნიკო მანჯგალაძე, ნიკიფორე ჩხარტიშვილი, მათე მანჯგალაძე, გიგო მგელაძე, რეჯებ თხილაიშვილი, ესეთაღა წილოსანი, ხუსეინ ეფენდი ხარაზი, ისმაილ კაიკაციშვილი. ოსმან რამან ოღლი, ასლან ქარცივაძე, ხასან მამულაიშვილი, მურად გოსხაპეიშვილი, ამ სტრიქონების ავტორის მამა—გიგო ჟღენტი, კიმოთე სეფერთელაძე, ანთაძე, დ. თალაკვაძე, ვიქ. ღლონტი და სხვები.

- იმართებოდა კრებები და მიტინგები, რომლებზედაც რამდენჯერმე ამ სტრიქონების ავტორიც იყო მიწვეული.

საერთოდ ქობულეთლებსა და აჭარლებს შორის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა როგორც ბათომის კომიტეტი, ისე გურიის ცეკა (ასე უწოდებდენ ს.-დ. პ. გურიის ცენტრალურ კომიტეტს).

აქვე მომყავს ბათომის კომიტეტის მიერ აჭარლებისადმი გამოქვეყნებული ფურცელი, რომელიც მაშინ ფართოდ გავრცელდა გურია-აჭარაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

აჯარლებო!

მუშა ხალხის გაჭირვება აუტანელია. დღე და ღამე შრომობს და მაინც შიმშილით კუჭი ეწვის, შინ ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი ჰყავს, სიცოცხლე გამწარებული აქვს, რა უნდა ჰქნას! ამავე დროს მდიდრები, მთავრობა და მისი პოლიცია-კაზაკები თავს დასდგომია და სულს აძრობენ, მათრახებით, თოფებით და ციხე-ციმბირით ემუქრებიან. მარა მათი მუქარა ველარავის შეაშინებს, დღეს მთელი ქვეყანა გამოფხიზლებულია, ყველა იცნობს მტერს და მოყვარეს და ცდილობს თავის თავს თვითონვე უშველოს: ის იბრძვის, საშინელ ომს უცხადებს თავის მჩაგვრელებს: ან სიკვდილი, ან გამარჯვება — ეს უწერია მას დროშაზე.

მათ უნდათ, რომ მთავრობა გადასახადებით ასე არ გვტანჯავდეს, რომ სალდათები აღარ გაყავდეთ, რომ აქციზი და ბაჟები მოისპოს, რომ ამით საქონელი გაიაფდეს და ღარიბმა ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქოს.

თქვენც ასეთი ხართ, ამხანაგებო! თქვენი მდგომარეობაც ამნაირია. გაჭირვება თქვენც სულს გიხუთავთ. მთავრობა თქვენს გაყვლეფას ფიქრობს, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენმა გარყვნილმა პოლიციამ **მოისურვა ზოგიერთების** გულის მოგება. მან ისინი სამსახურში მიიღო დვორნიკებათ, ყარაულებათ, ჩააბარა თოფ-იარაღი, ვითომდა მტერის წინააღმდეგ მოსახმარად, ნამდვილად კი ჩვენ წინააღმდეგ, თქვენსავით ღარიბი და გაჭირვებული ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. პოლიცია სულით გაყიდული და აზრით გარყვნილი არსებაა. ის გაძლევთ ორიოდე გროშს და ამის მაგიერ თქვენგან ძმის მოკვლას თხოულობს. თქვენ უნდა თქვენი მოძმე დაამარცხოთ და მერე პოლიცია თქვენზედ ასე გაბატონდება. ეს უნდა მას და. განა ამით თქვენ და თქვენს ოჯახს მიეცემა რაიმე საშველი? განა ასეთი ლუკმა პური შეერგება ადამიანს, რომელიც ძმის სახლში იქნება გასვრილი? არა, ამხანაგებო! ნუ დაუჯერებთ მატყუარა პოლიციელებს, ამოუდექით გვერდში თქვენს ძმებს, თქვენსავით ღარიბ ხალხს და მაშინ მიიღებთ ნამდვილ გამარჯვებას. როცა ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდება და პოლიციის გარყვნილებას ბოლო მოეღება, მაშინ თქვენც საბოლოოთ დაიმედებული იქნებით, რომ თქვენს ოჯახს, ცოლ-შვილს არავინ დაარბევს, მაშინ თქვენც შეძლება გექნებათ ადამიანურათ იცხოვროთ. მუშა ხალხის გამარჯვება მხოლოდ მათი შეერთებული ძალით შეიძ-

ლება, მათ საქმეს სხვა არავინ გააკეთებს, მათ ლუკმა-პურს არავინ არ მისცემს, თუ თვითონ არ მოიპოვეს თავის ბრძოლით. მას მხოლოდ გამცემლობაში, ჯაშუშობაში მისცემენ დღეს სასყიდელს. მაგრამ ეს ხომ ადამიანის ხელობა არ არის.

ძმის გამყიდველი ყველასაგან განდევნილი უნდა იქნეს. მაშ, შემოუერთდით ჩვენს ამხანაგებს და ჩვენთან ერთად იბრძოლეთ თქვენც საერთო მტრის, რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ბრძოლას!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

ბ ა თ ო მ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი.“

ვინ მუშაობდა გურიაში.

ზევით ჩვენ დავასახელეთ 1905 წლის გურიის მოძრაობის თითქმის ყველა მეთაურენი და აქტიური მონაწილენი. წინამდებარე მიმოხილვის ფარგლებში არ შედის მათი პიროვნებების დეტალური დახასიათება და იმ როლის აღნუსხვა, რომელსაც ისინი ასრულებდენ ამ მოძრაობაში. ამის საჭიროება არც არის. 1905 გურიის მოძრაობის მეთაურები და აქტივისტები ჩვენ მოვიხსენიეთ იმდენად, რამდენადაც მათ სახელებთან განუყრელად დაკავშირებულია გურიის ამ სახელოვანი წარსულის ესა თუ ის ეპიზოდი. ჩვენი მიმოხილვა არ იქნებოდა სრული, რომ უკვე ზევით მოხსენებულ სახელებიდან გამოგვეტოვებია ზოგიერთი პირები, რომელთაც ამა თუ იმ სახით ერთგვარი ღვაწლი მიუძღვით 1905 წლის გურიის რევოლიუციონური მოძრაობის წინაშე [1]). ცხადია, მე ვერ შევსძლებ ყველა მათგანის მოგონებას და დახასიათებას, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ზოგიერთი მათგანის აღნუსხვას და დახასაიათებას მაინც მოვახერხებ.

გურიაში გარდა გურულებისა სხვა კუთხის ამხანაგებიც მუშაობდენ მაგ., ბუდუ მდივანი, პავლე საყვარელიძე, ნიკო გეგელაშვილი და სხვ.

პავლე საყვარელიძეს „დიდ პავლეს“ ეძახდენ, რადგან იყო აგრეთვე „პატარა პავლე“, ეხლანდელი რედაქტორი გაზეთ „მუშის“. („დიდი პავლე“ შემდეგში ლადო დარჩიაშვილის თანამოაზრე იყო, ხოლო 1918 წ. გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი და ამ გაზეთის გარშემო შემოკრებილ ჯგუფის ხელმძღვანელი).

---

[1]) ამ წიგნში მოხსენებულ ამხანაგებს, ერთ და იმავე დროს არ დაუწყიათ რევოლიუციონური მუშაობა. 1903 წლიდან თანდათანობით ემატებოდა. 1905 წ. ერთნაირი ირონიასაც კი ჰქონდა ადგილი: შენ 1905 წლის ესდეკი ხარო. ე. ი. უკვე, როცა თავისუფლება იყო, მოძრაობას მაშინ მიემხრეო.

1905 წელში იგი ცნობილ ბალშევიკთა შორის ირიცხებოდა თეორეტიულ-პოლიტიკურ საკითხების საფუძვლიანი ცოდნით. მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს (1905 წ.) ფრაქციული განხეთქილებას მწვავე ხასიათი ჰქონდა მიცემული, მენშევიკები მაინც დიდ პატივს სცემდენ პავლეს, როგორც, „სერიოზულ თეორეტიულ ძალას". გურიაში პავლე მუშაობდა მოწინავე ამხანაგების წრეში, იგი იყო „პროპაგანდისტთა პროპაგანდისტი" და ამაცადინებდა აქტიურ მუშაკებს— ასწავლიდა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებს და ისტორიულ მატერიალიზმს.

1904 წ. დამლევს ს. ხვარბეთში და მიქელ-გაბრიელში პროპაგანდისტათ გადმოგზავნილი იყო „პატარა" პავლე საყვარელიძე, — მიხას-ძე, (გაზ. „მუშის" რედაქტორი). პავლემ იქ ცოტა ხანი დაჰყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბალშევიკობა" გურიაში ისწავლეს უმთავრესად ამხ. სტალინისაგან, რომელიც ამ დროს საქართველოში ერთ მთავარ ორგანიზატორათ და პრაქტიკოსად იყო მიჩნეული; მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა ბალშევიკური მიმდინარეობა.

მენშევიკური გავლენის დედა-ბოძი იყო სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელსაც 1905 წლის გურია ამ მიმდინარეობის მეთაურად სთვლიდა.

გურიაში რამოდენიმე მიტინგები ჩაუტარებია აგრეთვე ამხ. შამშე ლეჟავას. მას იქ დიდხანს არ დაუყვია. მისი გურიაში ყოფნის დროს ამ სტრიქონების ავტორი ციხეში იჯდა, რის გამო საშუალებას მოკლებული არის უფრო დაწვრილებით შეეხოს მის მუშაობას გურიაში

1905 წელს გურიის გლეხობა ბალშევიკებიდან კარგად იცნობდა აგრეთვე ამხ. ბუდუ მდივანს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც კარგი ორატორი. ბალშევიკებს გურიაში არ გვყავდა სერიოზულად მომზადებული ძალები და კარგი ორატორები, ამიტომ ხშირად ვაგზავნიდით სპეციალურ კაცს ბუდუს ჩამოსაყვანად, რომელსაც უპირისპირებდით ცნობილ მენშევიკურ აგიტატორებს (რაფიელ ჩიხლაძეს, მიშა არსენიძეს, ბ. ჩხიკვიშვილს და სხვ.) თავისი ლამაზი და პათეტიური სიტყვით ბუდუ იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას და დიდ გავლენას ახდენდა გლეხობაზე.

პატე აბაშიძე.

ამ ახალგაზრდა მებრძოლის სახელი არ არის ცნობილი გურიაში, მაგრამ მისი „წვლილი" გურიის რევოლიუციონურ მოძრაობაში თვალსაჩინოა. ცნობილია, რომ დასავლეთი გურია და განსაკუთრებით ქალ. ოზურგეთი 1905 წ. მოძრაობის დროს უფრო „ზომიერობდა",

ვიდრე აღმოსავლეთი გურია, სადაც რევოლიუციონურ ენტუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა. ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ დასავლეთ გურიაში და განსაკუთრებით ოზურგეთში რეაქციას გაცილებით მეტი ძალები ჰყავდა, ვიდრე აღმოსავლეთ გურიაში.

ოზურგეთში, მაგალითად თითზე ჩამოსათვლელი იყო მოძრაობის აქტიური მუშაკები. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ: ივსიხი სალუქვაძე, სიმონ ცხომელიძე, თედორე კიკვაძე. პატე აბაშიძე, ვიქტორ ღლონტ და სხვები. განსაკუთრებით აქტივობას და რევოლიუციისადმი ერთგულებას იჩენდა ახალგაზრდა პატე აბაშიძე. 1902-3-4 წლებიდანვე იგი ითვლებოდა წრეების საუკეთესო იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელათ. ის პირველ ხანებში „ივერიის“ პასუხისმგებელი კორესპონდენტი იყო ოზურგეთიდან. მისი მეთაურობით ოზურგეთში იმართებოდა არალეგალური თათბირები, სწარმოებდა მუშაობა და მეცადინეობა და სხვ. კრილოვ-ტოლმაჩევის დროს იგი შეიპყრეს და გადაასახლეს. იგი ტანჯვა-წამებით გარდაიცვალა ქუთაისის სატუსალოში. ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა დასწრებოდა ამ ტანჯული ადამიანის სიკვდილს (ჩვენ ერთ საკანში ვისხედით).

პატე აბაშიძე იყო ოზურგეთში კარგად ცნობილი ბალშევიკ ვასო აბაშიძის ძმა, რომელიც 1921 წელს გარდაიცვალა.

პროკოფი დოლიძე.

დოლიძე მანთაშევის ახალგაზრდა მუშა იყო ბათომში. იგი ნიჭიერი და წინ დახედული ყმაწვილი იყო. ბათომის კომიტეტის დადგენილებით იგი გაემგზავრა გურიაში აგიტატორად. პროკოფი უბრალო მუშა იყო, მაგრამ სამაგალითო ორატორი. იგი უმთავრესად დასავლეთ საქართველოში მუშაობდა და ხშირად გამოდიოდა მიტინგებზე. დოლიძე მეტად ახალგაზრდა იყო, პირ-ტიტველი და როცა გურიაში ჩამოვიდა, ხმა გავარდა, რომ „კარგი მოქადაგე ქალი მოვიდაო“.

პარტიული წრეები მას კარგის თვალით უცქეროდენ და სათანადო ნდობაც ჰქონდა ხალხში მოხვეჭილი. 1903 წელს მას შეეხვდი ქუთაისის ციხეში. ის გულწრფელი და თავდადებული რევოლიუციონერის შთაბეჭდილებას ახდენდა. როდესაც ციხიდან გაანთავისუფლეს, ძალიან სწუხდა, რომ ჩვენ გვტოვებდა და თვითონ კი განთავისუფლებული მიდიოდა. ბედმა მეორეხელაც მარგუნა მასთან ერთად ციხეში ჯდომა. ეს იყო უკვე 1907-8 წელს. ორივენი ისევ ქუთაისის ციხეში მოვხვდით. მას დიდი ცვლილება ეტყობოდა. ციხეში მან მითხრა, რომ თუ განთავისუფლებას ელირსებოდა, უსათუოდ ექსპროპრია-

ციას მოაწყობდა და საზღვარ გარეთ გაიქცეოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ევროპაში იგი ცოდნას შეიძენდა, ხოლო ექსპროპრიაციის ამბავი ადრე გადაავიწყდებოდათ და ისევ სამშობლოში დაბრუნდებოდა, ამხანაგებმა ასეთი განზრახვა დაუშალეს, მაგრამ მან მართლაც სცადა ექსპროპრიაცია, რამაც მისი სიცოცხლე სამარცხვინო სიკვდილით შესწყვიტა.

როგორც კი გაანთავისუფლეს, პრ. დოლიძე შეუამხანაგდა ყაჩაღებს. მოიტაცეს ბათუმში ქალაქის საავადმყოფოს ექიმი ტრიანდაფილიდისი და მის ცოლს მოსთხოვეს ქმრის გამოსასყიდი 30.000 მანეთი. ფული ვერ აიღეს და ექიმი მოჰკლეს. როდესაც მოკლული ტრიანდაფილიდისი აღმოაჩინეს, პრისტავმა ჩხიკვაძემ მოკლულის მინჟეტზე იპოვნა რაღაც კარანდაშით ნაწერი ციფრი. ჩხიკვაძემ გასცა სასწრაფო განკარგულება დაეპატიმრებიათ მანჟეტზე წარწერილი ნომრის მეეტლე. მართალაც დააპატიმრეს მეეტლე და იგი გამოტყდა, რომ ექიმი ტრიანდაფილიდისი გაიტაცეს მისი ეტლით.

გამოირკვა, რომ ექიმმა ტრიანდაფილიდისმა, როდესაც, იგი გაიტაცეს, მოასწრო ეტლის ნომრის მანჟეტზე აღნიშვნა. ამ გარემოებამ პოლიციას საშუალება მისცა დასდგომოდა ბოროტ-მოქმედების კვალს.

ამ საქმეზე შეიპყრეს საავადმყოფოს სანიტარი რამიშვილი, ჯინჭარაძე, კოწია ჟღენტი და სხვ.

პროკოფი დოლიძე ამ დროს ლანჩხუთში იმალებოდა. როგორც კი გაიგო კომიტეტმა, რომ დოლიძე ამ სამარცხვინო საქმეში ერია, გასცა განკარგულება ხელი შეეწყოთ მთავრობისათვის ბოროტ-მოქქმედის შეპყრობაში. ლანჩხუთში იგი შეიპყრეს და გადასცეს პოლიციას.

დოლიძე, სხვა მონაწილეებთან ერთად, ჩამოახრჩვეს ბათომში (ამ საქმეზე, სხვათა შორის, ჩამოახრჩვეს ტეროორისტი კოწია ჟღენტი).

ასე სამარცხვინოდ დასრულდა ამ ოდესღაც თავდადებული და ხალხისათვის მებრძოლი რევოლიუციონერის სიცოცხლე.

„კაუცკი“, „ბოხორიკო“ და ბიქტორ ბოლქვაძე.

1904-5 წლებში გურიაში თვალსაჩინო მუშაკები იყვნენ სამსონ პაიჭაძე („კაუცკი“) და იოსებ მეგრელიშვილი („ბოხორიკო“). ისინი პროპაგანდისტები იყვნენ და სათანადო პოპულიარობითაც სარგებლობდენ ხალხში. პაიჭაძე და მეგრელიშვილი ცნობილი იყვნენ, როგორც კარგი ორგანიზატორები და მომზადებული პროპაგანდისტები.

სწორედ ამავე ხანებში კარგ მომუშავედ ითვლებოდა სტუდენტი ბიქტორ ბოლქვაძე, რომელიც მუშაობდა უმთავრესად ოზურგეთის რაიონში (გურიანთას, ხვარბეთსა და მახლობელ სოფლებში).

გურიაში მუშაობდენ აგრეთვე დომენტი შარაშიძე (მაშინ ბოლშევიკი იყო), ილიკო დოლიძე, რომელიც მაშინ ბოლშევიკებს ემხრობოდა (ამ ჟამად წითელ ჯარის ერთი მეთაურთაგანია თბილისში). თედორე დოლიძე (ირიცხებოდა პროპაგანდისტთა წრეში) და სხვა.

ძიმითში სოც.-დემოკრატიული მუშაობისათვის ქუთაისის ციხეში მოათავსეს სილიბისტრო პატიეშვილი და ივანე ცქიტიშვილი.

ლიხაურიდან მჭდრო კავშირი ჰქონდა ოზურგეთთან ივანე კონტრიძეს, რომელიც დაიღუპა შემდეგ რუსეთის საპყრობილეში.

ნიგოითში რევოლიუციონურ პროპაგანდას ეწეოდა და წრეებს აწყობდა სინო კალანდარიშვილი.

ბახვიდან გიორგი ქიქოძე და ამბაკო მგელაძე ტოლმაჩოვის მიერ დაპატიმრებული იქნა სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის.

ტერორის ახალი ფორმა.

კომიტეტი ცდილობდა ხალხისთვის აერიდებია მთავრობის რეპრესიები. გადაწყდა ტერორის ახალი ფორმის შემოღება. „წესის ასაგები" რეაქციონერის გატაცება (როგორც მაშინ ეძახოდენ — „მოპარვა"). ტერორისტები მოიპარავდნენ კომიტეტის მიერ დასახელებულ პირს და ხმებს გაავრცელებდენ, რომ ეს და ეს პირი დაიხრჩო, დაიკარგა, აღარ სჩანსო, სინამდვილეში-კი მას „წესს აუგებდენ" და „საიქიოს გაისტუმრებდენ". მთავრობა იბნეოდა და არ იცოდა რა ზომებისათვის მიემართა. კომიტეტი ამ რიგად ახერხებდა ტერორისტული აქტების შესრულებასაც და რეპრესიების თავიდან აშორებასაც.

ასეთი წესით მოიპარეს მაგ. ახალშენში კუკულავა, ლანჩხუთში, ებრაელიძე, ხიდისთავში — ნოე ლომთათიძე და სხვ.

თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობის პროცესში ხალხი ჰქმნიდა ბრძოლის ახალ საშუალებებს და ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა სისხლისმწოველი მთავრობის თავიდან მოსაშორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სურათი გადაღებულია ქუთაისის ციხეში 1906 წელს. ესენი არიან ტოლმაჩევის მსხვერპლნი, ამათ შორის დღეს არ არიან ცოცხლები პატე აბაშიძე, მოსე ტუღუში. მოსე დაიღუპა ციმბირში, პატე კი ქუთაისის ციხეში. აქ არიან მოსე ტუღუში, ვარლამ ჭყონია, პატე აბაშიძე, ევტიხი სალუქვაძე, ილარიონ ლომაძე, მელიტონ ცინცაძე. სურათზე წარწერილია შემდეგი პატარა ლექსი, რომელიც პატეს ხელითაა დაწერილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გულს არ გვიტეხს ბნელი ციხე
ყოჩაღათ და მედგრათ ვართ,
სიმართლის და მომავლისთვის
საწამებლად მზათა ვართ“...

რეაქციის ბნელი ძალების ციხე და საშინელება რევოლიუციონური გურიის შვილებს არ აშინებს. ისინი ციხეში ცხოვრობენ მომავლის იმედით, რაც პატარა ლექსში ნათლად გამოსჭვივის, მათი მხნეობა ამართლებს რევოლიუციისათვის ბრძოლას და აბათილებს რეაქციის რეპრესიებს და მის შედეგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურული ტერორისტები მახლობელ დაბა-ქალაქებში.

ბევრი ხალხის ერთგულნი, ხდებოდა ხულიგან ჯარისა და პოლიციის მსხვერპლად გურიის გარეთაც. ბათომში 1905 წ. ოქტომბერში კაზაკების მიერ მოკლულ იქნა ივანე ბერიძე, რომელიც სხვა ამხანაგებთან ერთად იარაღს ართმევდა მეორე უბნის პოლიციის მოხელეთ.

ნოემბერში, როდესაც უკვე გზა ლანჩხუთ-ჯუმათ-სუფსა-ნატანები და ქობულეთი რევოლიუციონერების ხელში იყო, ბათუმში გაიმართა ბარიკადები და ბრძოლა მთავრობის ჯართან. იქ სხვებთან ერთათ მოკლულ იქნა ივანე დუდუჩავა.

ჭიათურის სადგურზე მოკლულ იქნა ჟანდარმი დერევიანინი. მთავრობის ცნობაში მისი მკვლელი არის ვალერიან კახიანი, რომელიც იქვე იქნა მოკლული იმავე ჟანდარმის ტყვიით, ასეთივე ცნობა არის რევოლიუციის მუზეუმის მასალების მიხედვით გამოცემულ წიგნში „Революция 1905 года в Закавказьи", მაგრამ ის კახიანი არ ყოფილა, ის იყო ხიდისთაველი სოლომონ ლომთათიძე, რომელმაც ჟანდარმი მოჰკლა ორგანიზაციის დავალებით.

ახალგაზრდა ტერორისტი დიმიტრი ჩიგოგიძე.

ჩიგოგიძე მეტად ახალგაზრდა და არა ჩვეულებრივი გამბედავი იყო. ის გურიიდან წავიდა ჭიათურაში სამუშაოთ, სადაც შუადღისას მოჰკლა გაუსწორებელი და ხულიგანი ბესარაბიის პოლკის მეექვსე როტის კომანდირი ტარასოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

მზადება შეიარაღებული ბრძოლისათვის.—იარაღის და პატრონების დასამზადებელი ზავოდი სურებში. — პრისტავ-სტრაჟნიკების ტყვედ წაყვანა და პლასტუნების გაგზავნა ჩოხატაურში. — მზადება პლასტუნებზე თავდასხმისათვის. — თავდასხმა ნასაკირალის უღელტეხილთან. — ვინ მონაწილეობდა ნასაკირალის შეტაკებაში.— ქართველი საზოგადოების დელეგაცია გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან, მისი პასუხი, ბრძანება გურიაში ჯარის გაგზავნის შესახებ, ამავე ბრძანების გაუქმება დელეგაციისა და პოლიტიკური სიტუაციის გავლენით, გურიის წითელი რაზმის გამგზავრება ტფილისის მუშების მისაშველებლად. — წითელ რაზმელების იასონ თავაძისა და სიმონ მკურნალის ტყვეთ ჩავარდნა და მათი ვერაგულათ მოკვლა კაზაკების მიერ. — ნასაკირალის ბრძოლა ქართულ პრესაში.

ვისი იმედით იბრძოდა გურია.

გურიის ხალხმა ერთი რამ გადაჭრით იცოდა: თავისუფლებისათვის ბრძოლა მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდებოდა გამარჯვებით, თუ ეს ბრძოლა იწარმოებდა მთელი რუსეთის მასშტაბით; თვითმპყრობელობის დამხობას და რესპუბლიკის დამყარებას მხოლოდ მაშინ შესძლებდა ხალხი, თუ მეფის მთავრობის ძველი რეჟიმის წინააღმდეგ გაერთიანდებოდა მთელი რუსეთის მშრომელთა მასები. გურიამ ჩინებულად იცოდა, რომ თუ გმირული და თავგანწირული, მაგრამ მაინც პაწაწა ხალხი უძლური იქნებოდა თვითმპყრობელობის უზარმაზარ ვეშაპთან ბრძოლაში, რეაქცია ადვილად გასრესდა გურიას და მორჩილებაში მოიყვანდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს, მაგრამ გურიის ხალხს სწამდა, რომ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ის მარტო არ არის, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძვიან მთელი რუსეთის მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მასები. ეს აძლევდა გამარჯვების იმედს გურიას, ეს მატებდა მას გამბედაობას და ქედმოუხდელს ხდიდა მრავალრიცხოვან მტრის წინაშეც-კი. გურიის ხალხს სწამდა გამარჯვება, იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის რევოლიუციონური გრიგალი წალეკავდა ძირ-მომპალ ცარიზმის საფუძვლებს და აღმართავდა „ძმობა-ერთობა-თავისუფლების დროშას“. ამიტომ იყო, რომ გურია არ ზოგავდა არავითარ საშუალებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს სისხლიანი რეჟიმის დასამხობად, გურიამ გადასწყვიტა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებმოდა შავ რეაქციას და გამწყდარიყო, მაგრამ უკან არ დაეხია. მარტო მიტინგებით, გაფიცვებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოიკოტით და პიროვნული ტეროორით დიდი არაფერი გაკეთდებოდა. ამიტომ გურიამ გადასწყვიტა შეექმნა შეიარაღებული ძალა. ასეთი ძალა გურიამ შექმნა. ეს იყო გურიის წითელი რაზმი. ჩასირმულ და წითელმკერდიან ჩაქურაში გამოწყობილი წითელი რაზმი შიშის ზარს სცემდა რეაქციის აგენტებს.

მაგრამ შეიარაღებულ ძალას ესაჭიროებოდა იარაღი, თოფის წამალი და სხვა საჭირო მასალა. საიდან ეშოვნა გურიას ყოველივე ეს, როგორ და რა გზით მოემარაგებია წითელ რაზმს სამხედრო საგნები. ამრიგად კომიტეტის წინაშე დაისვა წითელი რაზმის სამხედრო მასალებით რეგულიარულად მომარაგების საკითხი.

იარაღის ზავოდი გურიაში.

ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა გურიის ხალხისაგან მოითხოვდა სათანადო გამბლეობას, მომზადებას, თავგანწირვას, მსხვერპლს, გურია მზად იყო ბოლომდე ეტარებია წამების გვირგვინი, იგი არ დრკებოდა უდიდესი განწირვების წინაშე და პანიკას არ ეძლეოდა უდიდესი დამარცხების დროს.

ამ გზით გურიის ხალხმა შესძლო მთელი წლის განმავლობაში ძალა-უფლების შენარჩუნება და ხალხოსნური მართვა-გამგეობის დაწესება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გურიის კომიტეტის წინაშე დაისვა წითელი რაზმის და, თუ საჭირო დარჩებოდა, მთელი ხალხის შეიარაღების საკითხი. გადაწყდა გურიაში იარაღის საკეთებელი პატარა ზავოდის მოწყობა. ამ ამოცანის შესრულება უდიდეს დაბრკოლებებთან და უსაშინელეს საფრთხესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რაკი ითქვა — საქმედ იქცა. გადაწყდა თოფ-პატრონების დასამზადებელი ზავოდის დადგმა სურებში — ტობახჩის მიუვალ და საიმედო ადგილას. ზავოდი მოეწყო, „ტეხნიკოსებიც“ მოინახა. ზავოდში ყველაზე მეტს მუშაობდა სამსონ პაიჭაძე („კაუცკი“). საქმე გაიჩარხა და გურიის პირველმა რევოლიუციონურმა ზავოდმა საკუთარი ნაწარმოები გამოუშვა. სამწუხაროდ ზავოდის არსებობა დიდხანს ვერ გაგრძელდა უსახსრობის და ტეხნიკურ ცოდნით აღჭურვილ პირთა უყოლობის გამო. ზავოდმა მუშაობა შესწყვიტა.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: ზავოდის არსებობის შესახებ იცოდა მთელმა აღმოსავლეთმა გურიამ, მიუხედავად ამისა, მთავრობის ყურს მისი არსებობის ამბავი ერთხელაც არ მისწვდომია. ეს ფაქტი ნათლად ღაღადებს იმას, თუ რამდენად

ერთსულოვანი და შეგნებული იყო ის ბრძოლა, რომელსაც გურიის მშრომელი გლეხობა აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ნასაკირალი.

იშვიათია ისეთი რევოლიუციონერი საქართველოში, რომელსაც ეს სახელი არ გაეგონოს. ნასაკირალი ისტორიულ ადგილად გადაიქცა გურიაში და ამ სახელის ხსენებაზე დღესაც მწარ-ტკბილი ჟრუანტელი გაუვლის გურულ გლეხს.

მასიური შეტაკება წითელ რაზმს პოლიციასა და ჯართან გურიაში არ ჰქონია. კომიტეტი ერიდებოდა უთანასწორო ბრძოლაში ხალხის ჩათრევას და ადამიანის მსხვერპლს. ამიტომ ცნობილ ნასაკირალის შეტაკებამდე კომიტეტს არ ჰქონია შემთხვევა ბრძოლა გაემართა მთავრობის ძალებთან. ნასაკირალის შეტაკებას წინ უსწრებდა შემდეგი ამბები:

ოზურგეთის მაზრის უფროსს ლაზარენკოს ცნობა მოუვიდა, რომ ჩოხატაურში ხალხმა განაიარაღა პრისტავ — სტრაჟნიკები და ისინი ტყვეთ წაიყვანაო.

ეს ის დრო იყო, როდესაც კომიტეტი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ხალხის შეიარაღებას და მთავრობის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის წარმოებას. ჩოხატაურის პრისტავი და სტრაჟნიკები ხალხმა მართლაც განაიარაღა და ტყვედ წაიყვანა. ამით ხალხს სურდა მთავრობისათვის დაენახვებია, რომ იგი ვერ მოითმენს მთავრობის მიერ დანიშნულ აგენტს.

მაზრის უფროსმა ლაზარენკომ სასწრაფოდ შეჰყარა 120 კაზაკი და ჩოხატაურისაკენ გაეშურა.

გურიაში ხმა გავარდა, რომ აღმოსავლეთ გურიას პლასტუნები შეესია და დახმარებას მოითხოვსო. მთელი გურია შეინძრა. შეიქნა ზარების რეკა და ხალხის თავმოყრა. გურია ფეხზე დადგა. ყველგან ხალხი გადაჭრით მოითხოვდა შეიარაღებას, პლასტუნებზე თავდასხმას და ჩოხატაურის განთავისუფლებას. ყველა საზოგადოებებში იმართებოდა კრებები იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყო ხალხი: დასხმოდა კაზაკებს, თუ თავი შეეკავებია თავდასხმისაგან. ყველგან ხმის აბსოლიუტური უმრავლესობით ხალხი მოითხოვდა პლასტუნებზე თავდასხმას და მათ გაჟლეტას.

გადაწყდა კაზაკებზე თავდასხმა ოზურგეთ-ჩოხატაურის გზაზე, ნასაკირალის ულელტეხილთან.

ნასაკირალს უთვალავი ხალხი მიაწყდა. ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებათ მოსულთა რიცხვი ოთხი ათას კაცს აღწევდა. ამათგან კარგათ შეიარაღებული იყო მხოლოდ 60 კაცამდე, დანარჩენები იყვნენ ცულით, წალდით, დანებით, ხანჯლებით, თოხებით და სხ.

აი რას გადმოგვცემენ ბრძოლის მონაწილეთაგანი, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ნასაკირალის თავდასხმაში [1]): შეიქნა მსეჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მომხდარიყო თავდასხმა. იყო სხვადასხვა წინადადებები, ერთს დამსწრეთაგანს — სამსონ პაიჭაძეს წინადადება შემოეტანა მოეწამლათ მდინარე გუბაზოული: „კაზაკები დალევენ და დაიხოცებიანო“. რასაგვირველია პაიჭაძის „სტრატეგია“ ცრავის ჭკუაში არ დაუჯდებოდა და გადაწყდა შეიარაღებული თავდასხმა პლასტუნებზე. ამ დროს მაზრის უფროსი ლაზარენკო ჩოხატაურში უშედეგოთ ცდილობდა ტყვედ წაყვანილ პრისტავ-სტრაჟნი-

---

[1]) ნასაკირალთან თავდასხმის დროს მე ვიყავი ჭიათურაში. ჭიათურის ორგანიზაციამ მიიღო თუ არა ცნობა ნასაკირალთან თავდასხმის შესახებ თეატრში მოწვეულ იქნა მასიური კრება. გაიმართა თათბირი, თუ როგორ დახმარებოდა გურიას ჭიათურის ორგანიზაცია. ნასაკირალთან მომხდარმა თავდასხმამ ჭიათურაში გამოიწვია აღფრთოვანება და მუშებში აღძრა ბრძოლის გაგრძელების სურვილი, მრავალი გურული ჭიათურიდან დაბრუნდა გურიაში. ჭიათურის ორგანიზაციის ლიდერათ და ხელმძღვანელათ ამ დროს იყო მიშა დავიდოვი.

აქ მუშაობდენ მაშინ ბალშევიკებიდან; დათიკო სულიაშვილი, გუცა პარკაძე, ავგუსტულა ფილია (რომელიც ამჟამად დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და მუშაობს კომინტერნში. მუზეუმში მას ნახავთ ამაღლობელის გვარზე, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი და გვარი არის მელიტონ ფილია (ავგუსტულა), სტეპკო ინწკირველი, კოტე ცინცაძე, დათიკო ლორთქიფანიძე „უსახელო“, ფაცია გალდავა, ვანო ლომთათიძე, გალაქტიონ და ალექსანდრე ვაშაძე, კარპე მოდებაძე, პატარა პავლე საყვარელიძე, (რომელსაც მაშინაც კარგად ეხერხებოდა წერა. ხშირად დაუწერია პროკლამაცია). პატარა პავლეს უწოდებდენ იმიტომ, რომ იყო კიდევ მეორე პავლე საყვარელიძე, (მეორეს უწოდებდენ დიდს), იონა ბელიაშვილი, ვანო კიასოვი, მაქსიმე კვერნაძე, ნიკოლოზ ბრეგვაძე, იუსტინე და იაკობ გამზარდაშვილი, უკანასკნელს მეტ სახელათ ჰქვიოდა „ფურნე“, გალაქტიონ ვაშაძეს კი მეტ სახელათ „ჩემოდან პორტმანიჩ“, ნიკოდიმოს ბრეგვაძე.

მენშევიკებიდან მუშაობდენ: ზაქარია გურული, ნესტორ ჩხიკვაძე, ზაქარია ჩიჩუა (მეტი სახელი „მეხაშე“). ზაქარია, მეხაშეს ფსევდონიმით, გაკიცხულ იქნა ბალშევიკების პროკლამაციაში, რასაც მენშევიკებმა უწოდეს პროვოკაცია; ამით თქვენ გაეცით მისი ფსევდონიმიო. პარიჟელი ნომერი პირველი და მეორე, პირველი ანდრონიკაშვილის გვარზე, შემდეგ ვადაჭკორიას გვარზე, იჯდა ციხეში, როგორც აფთიაქზე თავდამსხმელი და ქუთაისის საოლქო სასამართლოდან გაქცევის დროს მოკლეს ამბაკო სამანაშვილთან ერთად. მეორე პარიჟელის გვარი სირბილაძეა, შალიკო აბდუშელიშვილი, მირიან ჭანიშვილი, დროგამოშვებით მუშაობდა გრიშა ლორთქიფანიძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების აღმოჩენას, ჩოხატაურში მას არავინ დაუხვდა, გარდა ორიოდე ჩინოვნიკისა. პრისტავი და სტრაჟნიკები ხალხს დამწყვდეული ჰყავდა სურებსა და ნაბეღლავს. ლაზარენკომ ჩოხატაურში დაჰყო 3 დღე და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

როდესაც ჩოხატაურიდან გამობრუნებული კაზაკები ნასაკირალის უღელტეხილს მიუახლოვდენ — მოულოდნელად მათ თავს დაესხენ ჩასაფრებულები და დატრიალდა ჯოჯოხეთი.

ბრძოლაში დაიჭრა-დაიხოცა 14 პლასტუნი, დანარჩენებმა მოახერხეს გაქცევა და თავის შველა. მაზრის უფროსი ლაზარენკო გადარჩა.

ნასაკირალის შეტაკების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო ბ. ჩხიკვიშვილი, ხოლო აქტიური მონაწილენი: დათიკო შევარდნაძე, კიკიე მამულაიშვილი, ნესტორ ერქომიაშვილი და სხ.

კაზაკებზე თავდასხმის ხმა მეხივით გავარდა მთელს გურიაში. ნასაკირალს აწყდებოდა ქალი და კაცი, მოჰქონდათ სურსათი და ემატებოდა ახალი დამხმარე ძალები.

ამ თავდასხმის დროს ხალხიდან არავინ მოუკლავთ, გარდა სალუქვაძისა, რომლის სიკვდილი არავის სწყენია, რადგან იგი მოჰკლა დაჭრილმა კაზაკმა, როდესაც ჩექმას ხდიდა მოლკულ პლასტუნს.

ამ ხანებში ბათომის კომიტეტი სცემდა ბიულეტენს, სადაც თავსდებოდა ცნობები მთავრობის წინააღმდეგ წარმოებული პარტიზანული ბრძოლების შესახებ. ნასაკირალის თავდასხმის შესახებ ბათომის კომიტეტის ბიულეტენში № 2 ვკითხულობთ: „ჩოხატაური. სტრაჟნიკების პოსტი აიღეს. 2 სტრაჟნიკი მოკლულია. პრისტავი და სტრაჟნიკები დატუსაღებულია. 20 ოქტ. მაზრის უფროსი (ლაზარენკო) 120 პლასტუნით ჩოხატაურში წავიდა ოზურგეთიდან. მაგრამ რეპრესიული ზომების მიღება ვერ გაბედა. უკან დაბრუნებისას ნასაკირალში შეხვდა წითელი რაზმი. საღამოს 8 — 9 საათზე ატყდა თოფის და ბომბების სროლა და გათავდა 21 — შუადღის ორ საათზე. პლასტუნები ამოწყვიტეს და იარაღი აართვეს. მხოლოდ 15-მდე გაიქცა სადღაც. სტრაჟნიკები, რომელნიც ლაზარენკოს ახლდა, ყველა გაწყდა ერთის მეტი, ის ერთი და თარჯიმანი დავატყვევეთ, ლაზარენკო და აფიცერი არსად სჩანან, ალბად დაწეწილია ბომბისაგან. წითელი რაზმიდან მოგვიკლეს 4 კაცამდე. ხმებია — ოზურგეთში პლასტუნები აფიცრების დაუკითხავათ აპირებენ ხალხის აკლებას. ახლო-მახლო სოფლებიდან შეიარაღებული ხალხი მიეშურებოდა იქითკენ ნასაკირალში მოვიდა 21-ს 200 პლასტუნი და წაუკიდა ცეცხლი სახლებს

ბათომის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

ეროვნული

აქ მოყვანილი ცნობები გადაჭარბებულია. როგორც ვიცეთ, მაზრის უფროსი ლაზარენკო და 120 კაზაკი გადარჩა. ცნობების გადაჭარბება აიხსნება ორი გარემოებით: ერთი, სწორი ცნობების მიღება მაშინდელ პირობებში ძნელი იყო, ხოლო მეორე მხრით კომიტეტის მიზანს შეადგენდა მერძოლი ხალხის გამხნევება და მედგარ ბრძოლაზე წაქეზება.

ნასაკირალის ამბავი მთელს რუსეთს მოედო. უფრო გვიან, რეაქციის შემდეგ, კაზაკები ხშირად კითხულობდენ: Накирали знаешь? (ნასაკირალს „ნაკირალს" უწოდებდენ).

ნასაკირალის შეტაკებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ფართო მასებზე.

ნასაკირალის თავდასხმა შესანიშნავად ასწერა გაზეთ „ივერიაში" პატე აბაშიძემ, ხოლო უფრო გვიან — აპ. წულაძემ.

ზომები ნასაკირალის თავდასხმის გამო ნამესტნიკის მიერ.

ნასაკირალთან პლასტუნებზე თავდასხმამ თავზარი დასცა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, მან ახლა კი გადასწყვიტა არავითარ დათმობაზე არ წასულიყო გურულების მიმართ და ხელმეორედ ჯარი გაეგზავნა. ეს ის დრო იყო, როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტი უკვე გამოქვეყნდა, მხოლოდ გურიაში ჯერ მის შესახებ არაფერი იცოდენ. ძალა-უფლება სავსებით ხალხის ხელში იყო, იარაღით ხელში დიდი და პატარა ქალი და კაცი უკვე საბრძოლველად გამოსული იყო და პეტროგრადელი ნიკოლოზის მანიფესტი ვის გააკვირვებდა.

მეფის მრადგილეს კვლავ წარუდგა ქართველი საზოგადოების დეპუტაცია გურიის საქმეების შესახებ, ნამესტნიკის ინფორმაცია დეპუტაციისადმი: „გურია სრულიად აჯანყებულია, მუდმივი ცარცვა და გლეჯა, თავდასხმა კაზაკებზე და იარაღის აყრა. გურიაში შესდგა 100 — 150 შეიარაღებული ბრბო, რომელსაც ხელმძღვანელობს და წინ უძღვის დეზერტირები, გადასახადს არ იხდიან, სალდათებს არ იძლევიან, მშვიდობიანმა ზომებმა არ გასჭრა და ეს უკვე ოთხი წელიწადია გრძელდება, რა არის ეს თუ არა აჯანყება"?

დეპუტატები: „ჩვენ ვეჭვობთ, რომ გურიაში იყვეს აჯანყება და სახელმწიფო წყობილების უარყოფა, ჩვენ ამას ვსთვლით როგორც საერთო სარუსეთო მოძრაობას, რასაც აქვს ადგილი ყოველგან მთელს იმპერიაში, კაზაკებთან შეტაკება გადამეტებულია, გთხოვთ ჯარს ნუ გააგზავნით.

ნამესტნიკი: „ჯარები უკვე გაგზავნილია და პრაქტიკული მოსაზრებით, მათი შეჩერება შეუძლებელია. გურულებს მიეცემა წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადება გადაიხადონ გადასახადი, მოგვცენ ახლად წვეულები (სასალ-დათოები) გასცენ დეზერტირები და ყაჩაღები და თუ ამას შეასრულებენ, რა თქმა უნდა, არავითარი რეპრესიები არ იქნება მიღებული. ჯარის გაგზავნა არ ნიშნავს უსათუოდ მოქმედების დაწყებას. გურულები არ ცნობენ ხელისუფლებას, მათ გააუქმეს სასამართლოები და ადმინისტრაცია, მათ ყავთ თავიანთი ათისა და ასის თავები, ცარცვა და გლეჯაა, შემდეგში ამის გაგრძელება შეუძლებელია.

დეპუტატები: აქ შეუძლებელია ვხედავდეთ რაიმე სეპარატიულს, მცხოვრებლებმა უარყვეს სასამართლო და ადმინისტრაცია იმიტომ, რომ ისიხი არ შეეფერებოდენ თავიანთ დანიშნულებას და მცხოვრებთა ჭირვარამს".

ნამესტნიკი: „მე ვიცი, რომ საქართველოში არის სეპარატიული პარტიაც, რომელსაც ქონდა ნიადაგი წინათ გურულებს შორის, მაგრამ მისი გავლენა ამ ჟამათ ყველგან შესუსტდა".

დეპუტატები: (ერთხმად) „ეს ჩვენთვის ახალი ამბავია. სადაა ასეთი პარტია, რა ჰქვია მას? სეპარატიზმი საქართველოში არსად არ არის და კერძოდ გურიის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ მოძრაობა მათ შორის შექმნილი და მოწყობილია რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიის მიერ. რუსის ხალხი პეტერბურგიდან ხელმძღვანელობს გურიის მოძრაობის. არამც თუ სეპარატიზმი, არამედ რაიმე თვალსაჩინო ნაციონალური მოძრაობის ნიშანიც არაა გურიაში".

.ათბირის შედეგათ მეფის მოადგილემ გადასწყვიტა გაგზავნოს გურიაში მშვიდობიანი გზით საქმის მოსაგვარებლად გენერალ ლეიტენანტი მალამა (მისი თანაშემწე იყო) და ვეიდენბაუმი, რომლებიც წავიდოდენ გურიაში ქართველ საზოგადოების მიერ არჩეულ პირებთან ერთად. გაგზავნილი ჯარები უნდა დარჩენილიყვნენ სამტრედიაში და საზოგადოთ გურიაში არ უნდა შესულიყვნენ, გურულებს უნდა ეცნო მთავრობის ხალხი (მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე და სხვა) ამასთან ხალხის მიერ არჩეული ასისა და ათის თავები რჩებოდენ ძველებურათ. უნდა მიეცათ (სასალდათოები) ახლაწვეულები, უნდა ეცნობებიათ გურულებისათვის 17 ოქტომბრის მანიფესტი.

მაგრამ ხსენებული გეგმა ასეთ ლოიალურ ფორმებში არ განხორციელდა, მან მიიღო შემდეგი სასტიკი ხასიათი კრილოვის და ალიხანოვის სახით, რადგან ჩქარა მოუსწრო საერთო რეაქციამ, ლოიალური ფორმები გურულების დასამშვიდებლად უარყოფილ იქნა. საერთო რეაქციამდის კი ზემომოყვანილი გადაწყვეტილების განხორციელებაც ზედმეტი შეიქნა მეფის მოადგილისათვის, რადგან არამც თუ გურიაში იქნა რკინის გზის ხაზი დაკავებული და თავდასხმა მეფის

ჯარის ნაწილებზე, არამედ ასეთივე ბედი ეწვია მთელ დასავლეთ საქართველოს და წიფის გვირაბიც დაკავებული იქნა რევოლიუციონერების მიერ 1906 წ. იანვარის პირველ რიცხვებამდის.

გურიის წითელი რაზმი თბილისის პროლეტარიატის მისაშველებლად.

(წითელი რაზმელი ლადიკო კვაჭანტირაძის ნაამბობიდან. ლადიკო კვაჭანტირაძე არის სად. ნატანებიდან, ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 1902 წლიდან მოძრაობაში, შემდეგში იყო წითელი რაზმელი. კვაჭანტირაძეს მისჯილი ჰქონდა 15 წლის კატორღა და თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ის განთავისუფლდა).

„ჩვენი წითელი რაზმის მეთაური გიორგი მურვანიძე იყო, მის თანაშემწეთ იაგორ ბოლქვაძე. ნატანებისა და სუფსის რაიონი გრიშა დუმბაძემ გააერთიანა. ასეულის უფროსად ნატანების თემიდან ალთიმოს გობრონიძე იყო, სუფსის თემიდან თომა ბოლქვაძე. წითელ რაზმს ჰქონდა თავისი ფორმა წითელი „ჟილეტკა“, შავი ჩაქურა და თოფი ხელში. ვსწავლობდით თუ როგორ გაგვეკეთებია „ბარიკადა“, როგორ გაგვება ტელეფონები გზაში, როგორ შეხვდეთ თვით მტერს და სხვა. გამოქცეულ ჯარის კაცებს ჰქონდა ვინტოვკა, ჩვენ კი თანდათან ვიძენდით, მივიღეთ ცნობა, რომ ბათომიდან თბილისში მატარებლით მიაქვთ იარაღი. ჯუმათში მატარებელი გავაჩერეთ. აღმოჩნდა რამდენიმე თოფი და ყუთებით ნაგანის სისტემის რევოლვერები (მთავრობის ცნობაში ხსენებული მატარებლის გაჩერების შესახებ შემდეგი სწერია:

Ст. Джуматы. в 10 ч. 30 м. утра при следовании поезда № 22, со ст. Супса, на 46 версте, он был остановлен вооруженной толпой, приблизительно в сто человек при чем ограблен вагон № 33896, в котором находилось пять ящиков казенных (128 штук) револьверов, весом в 10 п. 23 ф. вагон сопровождал нижний чин Михаил Марос. Поезд постоял в пути 43 минуты, убитых, раненых и повреждения пути не было“).

ოქტომბერში ჩვენ მივიღეთ ცნობა კომიტეტიდან აგვეყარა რკინის გზა ნატანებსა და სუფსას შორის, დაგვემსხვრია ტელეფონები და აგვეფეთქებია ხიდეები, დაგვეჭრა ოზურგეთის შარა-გზაზე ტელეგრაფის ბოძები — ყოველივე ეს იმავე ღამეს სისრულეში მოვიყვანეთ. შესწყდა მიმოსვლა და მოძრაობა, როდესაც ეს აქტი მოხდა, ნატანებში იდგა ასი კაცისაგან შემდგარი კაზაკების რაზმი. კაზაკები აყრილ რკ. გზ. ლიანდაგთან მივიდენ და დაუწყეს ცემა იმათ, ვინც კი შეხვდა; მოხუცი, ქალი თუ ბავში, ამან გამოიწვია შეტაკება კაზაკებსა და წი-

ეროვნული

თელ რაზმელებს შორის. მოკლეს რვა კაზაკი და წამოიღეს მათი თოფები. რაზმელებიდან მოკვდა სუფსის რაზმის უფროსი თომა ბოლქვაძე. ამის შემდეგ სადგურ ნატანებში მყოფი კაზაკები მშვიდათ იყვნენ და ხელს აღარავის ახლებდენ, ჟანდარმებს სადაც წამოვეწეოდით, იარაღს ვართმევდით, აგრეთვე იარაღი გამოგვქონდა საფოსტო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან. დეკემბერში ცნობა მოვიდა, რომ თბილისის ამხანაგებს ესაჭიროებათ დახმარება. სპეციალური მატარებლით გავემგზავრეთ თბილისს, ყველა სადგურებში რაზმელები გვემატებოდა, ნატანებიდან გავედით 10 საათზე დეკემბრის 20. სამტრედიაში მატარებელი სულ შეივსო, ერთ ვაგონში იყო ნიჩაფი, ბარი, თოხი და სხვა მოწყობილება, ერთშიც ფერშალი, მოწყალების დები და წამლები დაჭრილებისათვის. ზესტაფონში გურულების და მეგრელელების რაზმები შევერთდით. შეხვედრის დროს ჩვენს სიხარულს და აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონია. იქ შავრაზმელების პროვოკაციის წყალობით სროლა მოგვიხდა. მოგვიკლეს ამხ. მელიტონ არაშიძე (სუფსელი). ყვირილაში 30 შემჩნეული პირი დაპატიმრებულ იქნა და გადაეცა იქაურ კომიტეტს—უკვე მარელისში ვიყავით, ვჩქარობდით თბილისში შესვლას, რომ მოვიდა თავზარ-დამცემი ცნობა, თბილისის პროლეტარიატი დამარცხდა, მთელ რუსეთში შავმა რაზმმა და რეაქციამ გაიმარჯვეო და მეფის ჯარები თბილისიდან დასავლეთ საქართველოზე მოიწევენო. მცხეთის რკინის გზა კაზაკებს აყრილი ჰქონდა და წიფის მთებზე იერიშით მოდიოდენ — ამ ცნობის მიღების შემდეგ ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს უკან დახევა და გურიაში გადაგვიყვანა, რომ ბათომიდან არ შემოგვპაროდა კაზაკები. გაგზავნილ იქნა მზვერავები, თუ საით ჰქონდა ზღვით მოსულ ჯარს პირი, ნატანებში ორი ამხანაგი იასონ თავაძე და სიო მკურნალი წააწყდა კაზაკების რაზმს, კაზაკებმა ორივენი ქობულეთში წაიყვანეს, აწამეს და მოჰკლეს, რაზმის გურიაში დაბრუნების შემდეგ კომიტეტს უნდა გადაეწყვიტა კითხვა დამორჩილების თუ შებრძოლების. ძლიერ შენიშნული პირები გაიხზნა ქვემო გურიიდან აღმოსავლეთ გურიაში, როგორც უფრო სტრატეგიულ და თავის შესანახ ადგილში".

აი მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სურათი წითელი რაზმის ცხოვრებიდან 1905 წელს გურიაში, რომელიც მომიყვა წითელ რაზმელმა კვაჭანტირაძემ. ამგვარი ეპიზოდებით სავსეა გურიის მოძრაობის 1905 წელი, მაგრამ ეს ერთი ეპიზოდი სანიმუშოთ მომყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

რეაქციის პირველი იერიშები და პოლკოვნიკ კრილოვის ექსპედიცია. — ოზურგეთისა და ნაგომრის გადაწვა. — ბრძოლა თუ იარაღის დაყრა. — „კენჭის ყრა". — რეაქციის თარეში. — გუბერნატორ სტაროსელსკის და ყიფშიძის დაპატიმრება. — ტოლმაჩოვი და მისი დრო. — სტრაუნიკი ლაპარტყავა. — ქუცურ-ბეგის მოკვლა ბერეეოულში და მთავრობის მამასახლისის სულეიმან ლორთქიფანიძის დაჭრა. — რეაქციის ყორნები თვითმპყრობელობის სამსახურში. — მაზრის უფროსის ერმალოვის გეგმა რევოლიუციასთან საბრძოლველად.

რეაქციის პირველი იერიშები.

რევოლიუციონური მოძრაობის ტალღებმა რუსეთის თვითმპყრობელობას სწორედ მაშინ მოუსწრეს, როდესაც იაპონიის ძლიერი მილიტარიზმი ცხვრის ფარასავით ერეკებოდა გენერალ კუროპატკინის ჯარებს. სამხედრო ფრონტებზე დამარცხებული რუსეთის იმპერიალიზმი პირველ ხანებში უძლური აღმოჩნდა ლიკვიდაცია ეყო რევოლიუციონური მოძრაობისათვის. მეფის მთავრობას აშინებდა ის გარემოება, რომ სამხედრო მარცხი უკმაყოფილებას გამოიწვევდა თვითმპყრობელობის ერთგულ ჯარში და მაშინ მეფის ტახტი დაემხობოდა. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობამ სწრაფად ვერ მიიტანა იერიშები რევოლიუციონურ მოძრაობაზე და საფუძველშივე ვერ ჩაახრჩო იგი.

სამაგიეროთ მეფის მთავრობამ სასწრაფოდ ჩამოაგდო ზავი იაპონიასთან და შეუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიკვიდაციას [1]) იაპონიასთან ომის დასრულების შემდეგ მთავრობამ მთელი თავისი ძალები რევოლიუციის წინააღმდეგ გამოიყენა. მეფის მთავრობა უძლური აღმოჩნდა გარეშე მტერთან, სამაგიეროთ ის ძლიერი აღმოჩნდა შინაურ მტერთან ბრძოლაში. ამას დაერთო რევოლიუციის შინაგანი კრიზისი (რომლის დეტალურად გარკვევა ამ შემთხვევაში არ შედის ჩვენი თემის ფარგლებში) და რეაქციასაც ფრთები შეესხა.

ეს ის დრო იყო, როდესაც გურიაში და საზოგადოთ საქართველოში რევოლიუციონური მოძრაობა უკიდურეს მწვერვალს მისწვდა. ამ დროს გურიაში ფაქტიურად არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წეს-წყობილება. რუსეთში რეაქცია დღითი-დღე ძლიერდებოდა, ხოლო რევოლიუციის ძალები მარცხდებოდა. მეფის მთავრობას საშუალება მიეცა მაშველი ძალები გადმოეყვანა საქართველოში და სისხლ-

---

[1]) „ზავი იაპონიას, ომი ხალხს" — ამბობდა მეფის მთავრობა.

Общество Всесоюзного Общества Политкаторжан БИБЛИОТЕКА

ში ჩაეხრჩო ჯერ კიდევ ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა. მთავრობამ დესანტი გადმოსხა ადესიდან ბაკალოთ საქართველოს ნაპირებზე.

გურიის დამსჯელ ექსპედიციის უფროსად დაინიშნა (ბათუმიდან) პოლკოვნიკი კრილოვი, თბილისიდან კი დაიძრა ალიხანოვი. კრილოვმა დიდძალი ჯარით შეტევა დაიწყო ნატახტარიდან. გადასწვა სადგური ნატანები და შეესია ოზურგეთს. მან ცეცხლს მისცა მთელი ოზურგეთი და ახლო მახლო მდებარე სოფლები. ოზურგეთიდან კრილოვის დამსჯელი ექსპედიცია გაემართა ნაგომრისაკენ და გადასწვა იქაურობა. უთვალავი პლასტუნები მთელს გურიას შეესია და დაიწყო რბევა. მთელი გურია მთებში გაიხიზნა. ქალი, კაცი და ბავში ტყეებისაკენ გაეშურა. სახლში რჩებოდენ მხოლოდ ღრმა მოხუცები.

რეაქციის შეტევამ ფრთები შეასხა გურიის შავრაზმელებს. მათ გამონახეს ძველი პაგონები, ჩინ-ორდენები და წარუდგინეს პოლიციას. ჯაშუშების და ხალხის მტრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი პურ-მარილით ხვდებოდენ კრილოვის ჯალათებს.

ბრძოლა თუ დამორჩილება?

ფიზიკურად დამარცხებული ხალხი სულიერად არ დაეცა, გული არ გაიტეხა, კომიტეტი ხედავდა, რომ მიუხედავათ რეაქციის თარეშისა, ხალხი მაინც სოც.-დემოკრატიის მხარეზეა, ბრძოლის სურვილი აქვს. გურიის კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი: ბრძოლა თუ დამორჩილება; მრავალრიცხოვან და ძლიერ მტერთან შებმა თუ ბრძოლაჭე დროებით უარის თქმა, უკან დახევა.

ამ საბედისწერო საკითხების გარშემო გურიის კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა დაბლა ციხეს დიმიტრი შარაშიძის სკოლის შენობაში (ეს ის სკოლაა, რომელიც კრილოვმა დასწვა). კრებას მე ჩამოუსწარი იმერეთიდან და კომიტეტს მივაწოდე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ძალების მოწოდება შეეძლო იმერეთს. სხდომაზე გაცხარებული კამათი გაიმართა. თედორე კალანდაძე მოითხოვდა იარაღის არ დაყრას, ბრძოლის გაგრძელებას, ხალხის შეიარაღებას და უსაშინელეს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმას. ჭოლა ლომთათიძე წინააღმდეგი იყო ბრძოლის, რეაქციის ძალებთან შეტაკების. სხდომა არაჩვეულებრივ მღელვარე იყო და ორატორები გაცხარებით იცავდენ თავთავიანთ შეხედულებებს. მახსოვს რუს სოც.-დემოკრატის ფედოროვის სიტყვა, რომელიც კომიტეტის სხდომას დაესწრო. მან განაცხადა: „თქვენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები მშიშარები ხართ, სიკვდი-

ლის გეშინიათ, თუ დაიხოცებით ამით არ დაირღვევა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, გერმანიაში მაინც ძლიერია სოციალ-დემოკრატიული პარტიაო".

ფედოროვის აზრები ბევრს არ მოეწონა, მეტადრე გურიაში, მაშინ კარგათ ცნობილ აქტიურ მუშაკს ილარიონ კალანდაძეს, რომელმაც სთქვა — გიჟია ვიღაცაა, გერმანიაში სოციალ-დემოკრატები ბევრია და თქვენ შეგიძლიათ დაიხოცოთო". ილარიონ კალანდაძე იყო ჯურიის კომიტეტის წევრი და ჩოხატაურის რაიონის წარმომადგენელი. ეს რაიონი ორად იყო გაყოფილი (აღმოსავლეთის რაიონის წარმომადგენელი იყო აფთონ ცინცაძე). გურიის კომიტეტმა გამოყო ბიურო, რომელსაც სამხედრო ხელმძღვანელობის უფლებები და დიქტატორობა მიანიჭა.

„კენჭის ყრა".

ხალხმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საბედისწერო საკითხის განხილვაში. ყველგან, ყველა სოფლებში იმართებოდა კრებები, ხალხი გაცხარებით მსჯელობდა საკითხის გარშემო, — ბრძოლა თუ იარაღის დაყრა! საკითხი მეტად მწვავე და რთული იყო, მაგრამ დრო არ ითმენდა, საჭირო იყო სასწრაფო გადაჭრა, ამიტომ ყველა საზოგადოებაში კომიტ. დადგენილებით ხდებოდა „კენჭის ყრა". იდგმებოდა ხმის მისაცემი ყუთები შავი და თეთრი უჯრებით. თეთრ უჯრაში ჩაგდებული კენჭი ნიშანი იყო ბრძოლის გაგრძელების, შავში — იარაღის დაყრის.

კენჭის ყრაში გაიმარჯვა ბრძოლამ! ხალხმა ხმა მიცსა მრავალრიცხოვან და კბილებამდე შეარაღებულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წინადადებებს. ეს ფაქტი ისტორიულია. იგი ნათლად ღაღადებს, თუ რა თავდავიწყებამდე სძაგდა გურიის გლეხობას თვითმპყრობელი რეჟიმი და როგორ ეტრფოდა რევოლიუციას და თავისუფლებას. გურიას არ შურდა მტრის წინააღმდეგ არც ოჯახი, არც ცოლი, არც შვილი, არც სიცოცხლე.

მაგრამ ამ დროს დასავლეთ გურიიდან მტერი სასწრაფოდ შემოიჭრა და დასავლეთი ნაწილი გურიის უკვე ძლიერი მტერის ხელში იყო, ხოლო აღმოსავლეთ გურიის ძალები უმნიშვნელო იყო მოზღვავებულ კაზაკების წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ამ დროს გენერალ ალიხანოვის მოწინავე რაზმებმა პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით უკვე გადმოლახეს ლიხის მთა, რიონამდე ყველა სადგურები ჯარებით დაიკავეს, პოდპოლკოვნიკი ჩიქოვანის ავანგარდი ქუთაის-

ში შეიჭრა, ავანგარდს უკან მოსდევდა პოლკოვნიკ ხოდზინსკის და პოლკოვნიკ გავრილოვის ჯარები, ჯარები შესდგებოდა: პოლტავის ყაზახ რუსებისაგან, ერევნის და ტენგინის პოლკების ფეხოსან ჯარებისაგან არტილერიის და მესანგრე ასეულებისაგან. მათ უკან ალიხანოვ — ავარსკის შტაბი ურიცხვი ეშელონებით ქვას-ქვაზე არ სტოვებდენ, რკინის გზის მახლობელ სოფლებს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდენ. გურიას მტრის ჯარები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ალყას არტყამდა. მტერი ახლოვდებოდა. 7-8-9 და 10 იანვარს 1906 წელს ხარაგოული, ყვირილა, მუხიანი, სამტრედია, და საჯევახო ცეცხლის ალში იყო გახვეული. გურია გატყდა!

გურიის შესავალ გზებზე მზვერავები და წითელ რაზმის გუნდები მოიხსნენ, გურიის მიუვალ მთებში ქალი და კაცი, დიდი და პატარა გაიხიზნა, შინაური პირუტყვით, ლოგინით და დამცხვარი მჭადებით ხალხი მთებს თავს აფარებდა, მთასა და ტყეებში კარვები გაკეთდა. წითელი რაზმი მოხერხებულ ადგილებში თოფით და ტყვია წამლით [illegible] თუ მოთმინების ფიალა აივსებოდა ოჯახის წევრების აწიოკებით და შეურაცყოფა საზღვარს გადასცილდებოდა, საბედისწეროო ჟამი დადგებოდა.

ვისი ბრძანებით მოქმედებდა და ანადგურებდა ხალხს ჯარები და მათი სარდლები.

ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორეს მოადგილის გრაფ ვორონცოვ დაშკოვის — ბრძანება: რევოლუციონური მოძრაობის უსასტიკესად ჩაქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში. (5 იანვარი 1906 წელი). მიუხედავათ იმისა — ბრძანებს ვორონცოვ-დაშკოვი, რომ მე მოვხსენი სამხედრო წესები ქუთაისის გუბერნიაში თანახმად გუბერნატორ სტროსელსკის მოხსენებისა, საქმის მდგომარეობა ამ გუბერნიაში, არამც თუ გაუმჯობესდა, არამედ ღებულობს აჯანყების ხასიათს.

მთავრობის მოხელეები გადაყენებულია, საერობო სტრაჟა განიარაღებულია და შეცვლილია თავიანთი მილიციით, რკინის გზაზე მიმოსვლა, არამც თუ შეჩერებულია, არამედ ზოგიერთ ადგილებში რკინის გზა სავსებით აყრილია. ყველა სადგურები დაკავებულია შეიარაღებულ აჯანყებულებით, რომლებიც ჩხრეკენ, ართმევენ იარაღს, იარაღს ართმევენ ჟანდარმებს. ოფიცრებს სულ არ უშვებენ, დაბოლოს აჯანყებულთა ბრბოებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი და დაისახეს მიზნათ აღკვეთონ თბილისიდან ყოველი კავშირი ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაისის გუბერნიაში, მასთან თვით გვირაბი დაიკავეს შიგ ორ-ქლ-მავალის აფეთქებით.

მაგრამ ეს ცოტაა, — რაზმს, გაგზავნილს ჩემს მიერ ტენგინელების გასანთავისუფლებლად სადგურ წიფასთან თავის მოვალეობის ასრულების დროს მოუხდა სროლა აჯანყებულებთან, სადაც მოკლულია სამი კაზაკი, დაჭრილია ერთი. აგრეთვე მოკლულია 4 ცხენი, დაჭრილი 3 კაზაკის ცხენი. დაბოლოს მიღებულია ცნობა, რომ ტენგინელების კომანდირი, რომელიც მოდიოდა ბელაგორიდან ყვირილაში, მოკლულია, ჯარისკაცები განიარაღებული, აგრეთვე მოკლულია ერთი ჯარის კაცი და სამი დაჭრილი.

საქმის ასეთი მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში შეუძლებელია და მაიძულებს მე სამართლიანობისა და წესიერების აღსადგენათ მივიღო გადაუდებელი და მასთან გადამჭრელი ზომები. გამოვიწვიე რა ქუთაისის გუბერნიიდან სტაროსელსკი, მე გამოვაცხადე ამ გუბერნიაში სამხედრო წესები და დავნიშნე დროებით გენერალ-გუბერნატორათ გენერალ-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი, გუბერნიაში მყოფი ყველა ჯარების დამორჩილებით. ამასთან ერთად ამ გუბერნიის ფარგლებში, ჩემ მიერ გაგზავნილია: თბილისიდან პოლკოვნიკ გავრილოვის რაზმი, ექვსი ბათალიონი და თან ასეული მესანგრენი, ასეული პლასტუნები, ოთხი ზაარბაზანი, ოთხი ტყვიის მფქვეველი და 3 ასეული კაზაკები. ბათომის მხრიდან ოზურგეთზე სამტრედიამდის პოლკოვნიკი — კრილოვი: პლასტუნების ბათალიონით, ხერსონელების ორი ბათალიონი და სწრაფმსროლელი ზარბაზნებით.

მივანიჭე რა გენერალ ალიხანოვს სრული თავისუფლება მოქმედებაში და განკარგულებაში, ამავე დროს მივეცი შემდეგი განკარგულება:

1) მთელ გუბერნიაში მთავრობის ხელისუფლება სასწრაფოდ იქნას აღდგენილი. მთავრობის დაწესებულებებმა ნორმალურად უნდა დაიწყონ მუშაობა.

2) შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომელიც შეეხება განადგურებას რევოლიუციონური ორგანიზაციების, დაპატიმრებას ყოველივე ჯურის საგაფიცვო და სხვა კომიტეტებისა, ქუთაისის გუბერნიაში სავსებით უნდა მოვიდეს სისრულეში, რის გამო მიღებულ იქნეს უსასტიკესი და შეუბრალებელი ზომები.

3) შეიარაღებული რაზმები უნდა იქნენ განადგურებული მთელ გუბერნიაში, ისე, რომ მომავალში მისი აღდგენის შესახებ ფიქრიც კი არ იყვეს შესაძლებელი.

4) უბრალო ცდა აჯანყებაზე, შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე, აგრეთვე შემთხვევებში ბომბის სროლის, ანდა თუ მცხოვრებნი იხმარენ იარაღს ჯარის წინააღმდეგ იმოქმედეთ შეუბრალებლათ. ამ შემთხვევაში იხელმძღვანელეთ მთავარი შტაბის უფროსის ტელეგრამის (№ 9965) თანახმად. ამ ტელეგრამის შინაარსი არის შემდეგი: „ხელმწიფე იმპერაორმა უმაღლესათ ბრძანება ინება, რომ სროლაზე — ჯარი ვალდებულია უპასუხოს სროლითვე და ჩაკლას უბრალო ცდაც კი შეიარაღებულ წინააღმდეგობის. **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი**“.

მეფის მოადგილის ასეთი ბრძანების შემდეგ ჯარებს და მათ სარდლებს მიეცათ თავისუფლად ნავარდობის უფლება. ვინ იყო მათი აღვირწახსნილი მადის შემკვეცელი. ხალხის გასაჟლეტად წამოსულ ჯარებს ყოველ წუთში უმაღლესი სარდლობა მოაგონებდა ხოლმე მათ მოვალეობას და სისასტიკეს უკარნახებდა. ცნობილ გრიაზნოვს ხალხთან ბრძოლის მადა გაეხსნა. დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა ჯარის უფროსებს. გრიაზნოვის დეპეშა გენერალ რეშეტინს ბათუმში: „ბათომი, გენერალ რეშეტინს. რაზმის მოწინავ ნაწილმა, გაგზავნილმა ქუთაისის გუბერნიაში, აღადგინა გზა ნატანებ-ქობულეთს შუა. დაიძრა თუ არა კრილოვის რაზმი ოზურგეთით ჩოხატაურზე და სამტრედიაზე? ჩოხატაურში შეამოწმეთ ხმები, თითქოს ამ სოფელში აჯანყებულებს საჩვენებლად მოეყვანოთ იარაღ აყრილი ტენგინელები, მთავარ სარდალმა ბრძანა, დაადასტუროთ მკაცრი ზომები აჯანყებულების მიმართ, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვს რკინის დისციპლინის დაცვას ჯარის ნაწილებში. დროებით გენერალ-გუბერნატორათ ქუთაისის გუბერნიაში დანიშნულია გენერალი ალიხანოვი, რომელსაც ემორჩილება გუბერნიაში მყოფი ყველა ჯარები, მასთან, პოლკოვნიკ კრილოვის რაზმიც, მისი გუბერნიაში ყოფნის დროს“. ხელს აწერს გენერალი გრიაზნოვი.

გენერალი ალიხანოვი, როგორც ვიცით, 1905 წ. რამდენჯერმე გაგზავნილი იყო გურიის დასათურგნავათ, მაგრამ ბედმა არ გაუმართლა. რევოლიუციის შიშით მეფის მოადგილის მიერ „ლოიალური“ პოლიტიკის წარმოება გურიის მიმართ ნებას აღარ აძლევდა ალიხანოვს ჯავრი ეყარა „მეამბოხე“ გურულებზე. მხოლოდ მისი დიდი ხნის წადილი ხორციელდება ხუთ იანვარს 1906 წელს.

გუბერნატორ სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორ ყიფშიძის დაპატიმრება.

ალიხანოვს აჯანყებულებზე ნაკლებად გუბერნატორი სტაროსელსკი არ ეჯავრებოდა. ალიხანოვი აჯანყების სულის ჩამდგმელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოც. დემოკრატიულ კომიტეტათ სტაროსელსკის სთვლიდა. ჩა-მოსვლისთანავე მან სტროსელსკი და ყიფშიძე ზრდილობიანათ დაა-პატიმრა და ჟანდარმების თანხლებით სასწრაფოდ თბილისს გაგზავნა; აი რას სწერდა თბილისში ალიხანოვი შტაბის უფროს:

В присутствии же собрания (офицеров) я не протягивая руки, коротко об"явил губернатору г. Старосельскому и Кипшидзе, что высшая в крае власть дальнейшее пребывание их у власти считает не нужным, и чтобы они сегодня же первым поездом выехали в Тифлис под конвоем жандармского адютанта и 4 жандармов; так как войска и население в такой степени оказались раздраженными их действиями, что им грозило смертью со всех сторон".

ალიხანოვის აზრით სტროსელსკის და ყიფშიძეს ხალხიდან მსჯავრის დადება მოელოდა და თითქოს, ამიტომ დააპატიმრა მან ისინი.

რეაქციის სუსხი.

მთავრობა გურიაში საიმედო კაცს ველარ პოულობდა. მთავრობის სამსახური, ჩინი და ორდენი არავის აღარ იტაცებდა. მთავრობასთან სამსახური სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. მთავრობის მოხელეები ხალხს სძულდა და აძაგებდა, ამიტომ არც სტრაჟნიკად და არც მამასახლისათ ადგილობრივი კაცი არ დგებოდა, ხოლო თუ დგებოდა — ორგანიზაციის დავალებით და დასტურით.

მთავრობა შეეცადა თავის გავლენის აღდგენას სოფლად და მან ეს მოინდომა ცეცხლითა და მახვილით. მან გააუქმა ხალხის მიერ მამასახლისების არჩევის წესი და დააწესა ჯამაგირიანი მამასახლისების შტატები. მამასახლისის ჯამაგრი ხალხს უნდა ეხადა. მთავრობამ გააღიდა აგრეთვე სტრაჟნიკების რიცხვი სოფლად და ყოველი ეს დაუმორჩილა სამხედრო უწყებას, სამხედრო წესების გამოცხადებით და დამსჯელი რაზმების უფროსებისათვის განსაკუთრებული უფლებების მიცემით.

რეაქციის თარეში.

კრილოვი ოზურგეთში შევიდა. გმირული გურიის ცაზე შავი სუდარა ჩამოეშვა. მას წაერთვა თავისუფლება, იგი სასტიკად დამარცხდა. კაზაკების უკანტროლო თარეში, ხალხის დარბევა-აწიოკება, ცარცვა-გლეჯა, ცემა-ტყეპა და ხალხის სხვა ათასგვარი შეურაცყოფა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. გურიაში.

მაგრამ ხალხი მაინც არ გატყდა, იგი სულიერად არ დაეცა. მნნეობა არ დაჰკარგა. გურიას იმედის სხივი ვერ ჩაუქრო პოლკოვნიკ კრილოვის ცეცხლმა და მახვილმა. ამის აშკარა მაჩვენებელია თუ გინდ ის ფაქტიც, რომ მაშინ, როდესაც მთელი გურია ცეცხლის ალში იყო გახვეული, ხალხი საიდუმლო კრებებს აწყობდა და პარტიის დირექტივებს ღებულობდა.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ კრილოვის პირველი მოთხოვნილება იყო იარაღის ჩაბარება და მეთაურების გაცემა. პირველ მოთხოვნილებაზე ხალხი დასთანხმდა, მეორეზე — არა. რაც კარგი იარაღი ჰქონდა ხალხს, — გადამალა, შეინახა, რაც უვარგისი და გამოუსადეგარი იყო, მთავრობას მიუტანა (მთავრობას რომ ეჭვი არ შეეტანა, უვარგის იარაღს თითო ოროლა კარგიც შეურიეს). ამრიგად, ხალხი დამარცხდა, მაგრამ გამარჯვების იმედი არ დაუკარგავს.

ტოლმაჩევის რეჟიმი.

კრილოვის დამსჯელმა ექსპედიციამ, რასაკვირველია, დიდი ზიანი მიაყენა გურიას, მაგრამ ხალხს მაინც ვერ გააგდებინა ხელიდან თავისუფლების დროშა. არალეგარული მუშაობა გრძელდებოდა...

გურიას ტოლმაჩევი ეწვია. მან ხელი მიჰყო „შემჩნეულ“ პირების ჭერას და გურიიდან გადასახლებას. (სხვათა შორის მისი მსხვერპლი შეიქნა ჩვენ მიერ ზემოთნახსენები პატე აბაშიძე. ციმბირის ყინულიანი გუბერნიები გურულებით აივსო. გურიას ეხლაც ახსოვს ჯალათ ტოლმაჩევის მათრახები და საშინელი რეჟიმი. კომიტეტმა განიზრახა მისი მოკვლა, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან ტოლმაჩევი მუდამ გაძლიერებული რაზმით დადიოდა და ისიც იშვიათად.

რეაქციის ყორნები.

რეაქციას ხელს უწყობდა და აქტიურად ეხმარებოდა ბევრი გურული შავრაზმელი. ასეთები იყვნენ: დიმიტრი მგელაძე, კოწია ბერიძე, ნიკოკი თაყაიშვილი, დეკანოზი დავით დუმბაძე და სხვ. დამარცხებულ ხალხს ეს შავრაზმელები შიშის ზარს სცემდენ. განსაკუთრებით სახელი გაითქვა სტრაჟნიკების ურიადნიკმა დიმიტრა მგელაძემ (რომელიც ეხლაც ცხოვრობს ოზურგეთში). იგი დაუნდობლად „ნადირობდა“ სოციალისტებზე და მთავრობისადმი ერთგულებაში გადააჭარბა მაზრის უფროს ერმოლოვს, პრისტავ ივასიუკს, ზოქაულ კპლანდიას და სხვა ხალხის მტრებს. იგი უმოწყალოთ სცემდა უდანა-

შაულო გლეხებს და აწიოკებდა მათ ოჯახებს. მგელაძე სწუხდა, რომ „პატარა კაცი იყო და უფლება არ ჰქონდა მთელი გურია ამოეწყვიტა."

კომიტეტმა გადასწყვიტა მისი თავიდან მოშორება და ამ მიზნით მას დაენიშნა ტეროორი. მას თავს დაესხენ ოზურგეთში, შუაგულ ქალაქში, ესროლეს, მაგრამ სიკვდილს გადარჩა. ამ საქმეზე დახვრეტა მიუსაჯეს 3 კაცს: აროინიშიძეს, ფირცხალაიშვილს და გალოგრეს. სიკვდილის განაჩენი გუბერნატორმა სლავოჩინსკიმ მათ სამუდამო კატორღათ შეუცვალა.

ტოლმაჩევი ხიდისთავში სტრაჟნიკების პროვოკაციის გამო.

1906 წ. 7 ოქტომბერს ხიდისთავიდან მომავალ სამ სტრაჟნიკს რამოდენიმე მთვრალი ახალგაზრდა შეხვდა, სტრაჟნიკებმა ახალგაზრდები გაჩხრიკეს. თუმცაღა მათ საეჭვო არაფერი აღმოაჩნდათ, მაგრამ დაპატიმრება მოუნდომეს — ახალგაზრდები გაიქცენ, გაქცევის დროს სტრაჟნიკებმა ერთი მათგანი, თედორაძე, მოჰკლეს — სტრაჟნიკებმა კი პრისტავს აცნობეს, რომ მათ წითელი რაზმელები თავს დაესხა და ამოხოცვა მოუნდომა. პრისტავმა თავის მხრით მაზრის უფროსს აცნობა, რასაც შედეგათ მოჰყვა ტოლმაჩევის „მობრძანება" მთელი თავისი ამალით და ბაში-ბუზუკებით. შეჰყარეს ხალხი და მოსთხოვეს მეთაურები, სცემეს ჯიმშეთი ბერეჟიანს, დაცარცვეს სოფელი, თხრიდენ ქვევრებს და ღვინოს აბინძურებდენ, იტაცებდენ და ჰკლავდენ შინაურ ფრინველთ, ჩხრეკდენ შენიშნულ პირთა ოჯახებს—ერთს გაჩხრეკის დროს უნახეს რაღაც სია, რასაც ტოლმაჩოვმა კომიტეტი დაარქვა. მთელი ღამე წვიმაში ხალხი ალყა შემორტყმული გაჩერეს. მიუხედავათ იმისა, რომ კრებაზე მხოლოდ მოხუცნი და უმეტესად რეაქციონური ნაწილი იყო, ხალხმა კატეგორიულად უარი განაცხადა მეთაურების გაცემაზე. ვინც კი თავის მოსაზრებით დააპატიმრეს, მათ შესახებ ოქმი შეაყენეს, თითქოს ის ხალხმა გასცა. ამის შესახებ გურიის კომიტეტმა გამოსცა საჩქაროთ პროკლამაცია სათაურით — „ამხანაგებო და მოქალაქენო", სადაც აღნიშნავდა მთავრობის ტყუილს ხალხის მიერ მეთაურების გაცემის შესახებ და შეცდომას, რომ ყრილობას მთელი ხალხი არ დაესწრო. ტოლმაჩევმა რამოდენიმე დღე დაჰყო ხიდისთავში, ხალხს აარჩევია რეაქციონური და უმეტესათ მშიშარა მოხუცნი და ძალით მოაწერინა ხელი „პრიგოვორზე" რამოდენიმე კაცის შესახებ, რომელნიც ტოლმაჩოვმა წინდაწინ დააპატიმრა, მაგრამ ვერც ერთი ხრიკი და ჯალათობა რევოლუციონურ მოძრაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკვიდაციას ვერ უშვებოდა, პირიქით, ის ძლიერდებოდა და ახალ ძალებს იკრებდა მომავალი ბრძოლისათვს.

სულეიმან ლორთქიფანიძე.

ოზურგეთის მაზრის უფროსმა ერმოლოვმა კურსი აიღო უსწავლელ, ჩვენს მეზობელ აჭარლებზე და ხაზოგადოებს „მთავრობის მამასახლისათ“ ამათ უნიშნავდა, ერთი ასეთი ‘ამამასახლისი შემოქმედში სულეიმან ლორთქიფანიძე იყო, რომელმაც ერთგულათ მოაწყო „სისკი“. „შემჩნეულებიდან“ საზოგადოება გასწმინდა. არ ერიდებოდა მათრახით ცემას (არა ერთს და ორს მოხვდენია მისი მათრახი). წინათ ის იყო პოლიცმეისტარ სკვორცოვის მცველი. 18 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, მეოთხე საპოლიციო უბანთან სკვორცოვს და ს. ლორთქიფანიძეს თავს დაესხა ვასილ შარაშიძე და სილოვან ივახიაძე. ორივენი მძიმედ დაჭრეს. ლორთქიფანიძე, მორჩენის შემდეგ, როგორც ერთი მთავრობის ერთგული აგენტი გურიაში იქნა გამოგზავნილი რევოლიუციონურ მოძრაობასთან საბრძოლველათ.

ქუცურ-ბეგის მოკვლა.

რეაქციის თარეში გურიაში ფართოვდებოდა. 1906 წელს რუსის ღენერლები და პოლკოვნიკები რევოლიუციონური გურიის დასამორჩილებლად, როგორც ზევით ვსთქვით, ენერგიულად იყენებდენ მეზობელ კუთხის აჭარის ბეგებს. ერთი ამათგანი იყო სტრაჟნიკების მეთაური ქუცურ-ბეგი. მაგრამ არც ერთს რევოლიუციის მტერს და მთავრობის ბრმა იარაღს გურიაში სიცოცხლე არ შერჩენია; ბერეჟოულში, ერისთავის სასახლის წინ, მას დაუხვდა შევარდნაძე და მათითაიშვილი. ის რამოდენმიე ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმეს.

სტრაჟნიკი ლაპარტყავა.

გურიაში „ვაჟკაცობა“ დაიწყო სტრაჟნიკმა ლაპარტყავამ. ტეროორისტები მას საჯავახოს გზაზე დაუხვდა, ის სასიკვდილოთ დასჭრეს, ლაპარტყავამ ჭრილობა გადაიტანა, მორჩენის შემდეგ უკუ აგდო „ვაჟკაცობა“ და შეიქნა ლოიალური რევოლიუციონერების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტური ორგანიზაციის შექმნის ცდა, სახელწოდება „ხულიგანის“ შემოღება გურიაში და ბიულეტენი № 3.

1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ გურიაში შემოვიდა ხმარებაში სიტყვა „ხულიგანი“. ხულიგანს უწოდებდენ მთავრობის სასტიკ მოხელეთ და ვინც მთავრობის სამსახურში შევიდოდა მას ეძახდენ გახულიგანებულს; ხულიგანების ორგანიზაციის მოწყობა იკისრა მაზრის უფროსმა ერმოლოვმა. აქვე მოგვყავს უცვლელად ერმოლოვის დროინდელი სოც.-დემოკრატიული კომიტეტის ბიულეტენი № 3, რომელიც წელს სახლის დარღვევის დროს სურებში უნახავთ ჭერში და გადმომცა გურიის აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი რამიშვილმა; ბიულეტენი ნათლად ამტკიცებს არაჩვეულებრივ ორგანიზაციულ მუშაობას და თვალყურის დევნას მთავრობის მოქმედებისადმი. ბიულეტენიდან სჩანს, თუ როგორი გაორკეცებით მუშაობდა რეაქციის თარეშის დროს გურიაში ს. დ. პარტია. მაზრის უფროსი ერმოლოვი უარს ამბობს მეთაურების სიის შედგენაზე, რადგან პოლიციის თანამშრომელნი აღარ მიაჩნია საიმედო პირებათ და ეშინია სია მისმავე მოსამსახურეებმა კომიტეტს არ გადასცეს. ერმოლოვი აღარ მალავს, რომ ხალხის ფართე მასაა ჩაბმული მოძრაობაში. იმედოვნებს მხოლოდ იმით, რომ ზოგიერთ სოფლებში თითო ოროლა მომხრე მაინც მოიპოვება, თუ კი მათ გასამრჯელოს მისცემს — რევოლიუციონური მოძრაობის აღმოსაფხვრელათ ყაზარმული ბრძოლის წარმოება მიაჩნია საჭიროთ:

რუს. ს.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი № 3.

ხულიგან ტალმაჩოვის ჯარმა სხვათა შორის დვაბზუ და ამაღლება დაანგრია. დვაბზუს საზოგადოება დაანგრიეს იმიტომ, რომ ვიღაცამ ღამით კაცი გალახა, ამისთვის იდგა დვაბზუში ჯარი თორმეტი დღე, ამისთვის მისცეს სამხედრო საველე სასამართლოში სამი კაცი და გადაუწყვიტეს მათ თექვსმეტ-თექვსმეტი წლის კატორღა. ამისთვის სცემეს და სძარცვეს მცხოვრებლები, მხოლოდ ამისთვის იხდიდა საზოგადოება დღეში 200 მან. ჯარის შესანახათ და ამისათვის გადაახდიეს დაბოლოს 1000 მან. ჯარიმა. შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბო რაც უნდოდა იმას ჩადიოდა; თვითეულ სალდათზე მოითხოვეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო პაჩკა თუთუნი, სალდათებისათვის მოითხოვეს კბილის სარეცხი წამალი და ჩოთქები. დასწვეს თავაძის სახლი, გაძარცვეს სადაც კი წაახელეს და ნადავლით გაუდგენ ოზურგეთისაკენ.

ამაღლებელ სალდათს ჯიბლაძეს ოზურგეთში სდომებია სამსახური, რომ შინასთან ახლოს იყოს. მაგრამ ამისათვის კი გახულიგანება იყო საჭირო და ისიც გახულიგანდა, მან დაასმინა ტალმაჩოვს მისი მეზობლები და ერთ ღამეს 24 კაცი დააჭერინა. შემდეგ ამისა თავისი ქოხი თვითონვე დასწვა და საზოგადოებას დააბრალა. ამ „დანაშაულობისათვის“ ამაღლების საზოგადოებაში ეკზეკუცია გაგზავნეს, სადაც ისეთივე ამბები დატრიალდა, რაც დვაბზუში.

ვერც ერთ საზოგადოებაში ხალხი ვერ გასტეხეს.

ამხანაგებო! ჩვენ ხელში ჩავიგდეთ შემდეგი საბუთები: 9 იანვარი 1907 წ. სრულიად საიდუმლოთ:

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

თქვენი აღმატებულების საიდუმლო მოწერილობის თანახმად ჩვენ გავარჩიეთ ოზურგეთისა და ახალ სენაკის მაზრების უფროსის თათბირზე კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოვსპოთ გურიაში სამუდამოთ მოძრაობა და მივედით შემდეგ დასკვნამდე: 1) თქვენ თხოულობდით შეგვედგინა მოძრაობის მეთაურების სია, მაგრამ ეს უხერხულად მიგვაჩნია და მიზანსაც ვერ მივაღწევთ, რადგანაც პოლიციაში მოსამსახურე ჩემი ხელქვეითები პოლიტიკურად საიმედონი არ არიან და ზოგ მათგანს მე საიდუმლოთ თვალყურს ვადევნებ. ამ მოხელეებს შეუძლიათ გადასცენ სია ორგანიზაციას და ამ ნაირად საიდუმლო გაგვიმჟღავნდება, ამიტომ გადავსწყვეტეთ შევქმნათ ხალხის საწინააღმდეგო კაზარმული ორგანიზაცია, რევოლიუციონური ორგანიზაციების აღმოსაფხვრელათ. თუმცა ხალხის ფართე მასსა ჩაბმულია მოძრაობაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა თვითეულ საზოგადოებაში მაინც მოიპოვება რამდენიმე მომხრე მთავრობისა, რომლებიც თუ კი ქირას მივცემთ და ზოგიერთები კი უფასოდაც, მზად არიან მოგვაწოდონ ცნობები. ამ ცნობებს ოზურგუთში, სხვათა შორის, მიიღებენ; მიროვოი პოსრედნიკი პირველ განყოფილებისა თაყაიშვილი, ურიადნიკი დიმიტრი მგელაძე, პრაპორჩიკი კოწია ბერიძე და აზ. ივანე გიორგის ძე ჯაყელი, რომ სოფლის ჯაშუშები არ გაგვიმჟღავნდეს, ამიტომ თავდასხმას ვახდენთ ღამ-ღამობით..

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) რადგანაც ტეროორი ძალიან სუსტია ჯერ გურიაში, ამიტომ ტეროორთან ბრძოლის შესახებ ჯერ არას გწერთ.

ოზურგეთის მაზრის უფროსი შტაბ-კაპიტანი ერმოლოვი.

ამხანაგებო! როგორც ხედავთ ჯაშუშთა ორგანიზაცია შემდგარა. თვითეულ საზოგადოებსა ჰყოლია თავისი ჯაშუში. ამ საიდუმლო მოწერილობებიდან სჩანს, რომ ყოველ თავდასხმის დროს ჯაშუში თან ახლავს ხულიგანებს, ამიტომ მოუწოდებთ ყველას თვალი ადევნოთ თქვენს მეზობელს, საეჭვო პირებს, გამოიძიეთ კარგათ, თუ სად იყო იმ ღამეს ესა თუ ის საეჭვო არა საიმედო პირი, როცა თავდასხმა მოხდება რომელიმე სოფელში.

ჩვენ ბევრი ვართ, ხულიგნები კი ცოტაა გურიაში, ბრძოლა არც ისე ძნელია.

ძირს ჯაშუშები!

გაუმარჯოს რევოლიუციონერებს!

ძირს რეაქცია!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას!

გურიის კომიტეტი.

სტამბა გურიის კომიტეტისა. 5000.

კავკასიაში პეტროგრადიდან წარმოგზავნილი, რუსის უმაღლესი მთავრობის აზრი და მიზეზები საქართველოში და კერძოთ გურიაში რევოლიუციონური მოძრაობის დაწყების და გაძლიერების შესახებ.

ერთ მთავარ მიზეზათ კავკასიის მთავრობა, კერძოთ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი, რევოლიუციის დაწყების და გაძლიერების შესახებ ასახელებდა და მიუთითებდა, როგორც დეფექტს, პეტერბურგს იმას, რომ მთავრობის მიერ დაწყებული რუსიფიკაცია, საქართველოს გარუსება არ იყო გატარებული. კუთხის კოლონიზაცია ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, — რა თქმა უნდა ამბობდა, „ამას აქვს სამწუხაროთ დამაბრკოლებელი მიზეზები ის, რომ მიწის სიმცირე არის, რუსების ჩამოსასახლებლად საკმაო მიწები მოიპოვება მხოლოდ შავი ზღვის ნაპირებში, რომელიც სავარგისია კულტურისათვის. დანარჩენ ამ.-კავკასიის კუთხეებში მიწების სიმცირეა ამჟამად და როდესაც იყო შესაძლებლობა მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ ამ პოლიტიკისათვის.

კოლონიზაციის გატარებას მთელი თავის სიგრძე-სიგანით მოითხოვდა ნამესტნიკი. ვინ არ იცის, რომ გურიაში მიწის სიმცირეა, ის მცხოვრებლებისათვის მესამედადაც არ არის საკმარისი, მაგრამ აქაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატანების ახლოს, დასავლეთ გურიაში, ჩამოსახლებულ იქნა მოძრაობის დაწყების პერიოდში მთელი რუსის სოფელი, მათ მიეცათ სახნავ-სათესი მიწები და ტყე. შავი ზღვის ნაპირები, ქობულეთი, ციხის-ძირი და სხვა ადგილები გაივსო რუსი მოსახლეობით. სოფლებს დაერქვა რუსული სახელები: სმეკალოვკა, რომანოვკა და სხვა.

მეორე მიზეზად გრაფი სთვლიდა იმას, რომ თავად-აზნაურობა გაღატაკებული იყო მეტადრე დასავლეთ-საქართველოში. მათი რიცხვი ძლიერ ბევრი იყო; მათ შორის მხოლოდ 5% ჰქონდა თავად-აზნაურობის საქმეთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამავე დროს არც სასოფლო საგლეხო საქმეებში ჰქონდა მონაწილეობის მიღების უფლება, ესე იგი, აზნაურების „ცენზსაც“ იყვნენ მოკლებული და გლეხობის „უფლებებსაც“ სასოფლო საზოგადო საქმეში — ამიტომ თავად-აზნაურობა იძლეოდა დიდ-ძალ კადრს პროპაგანდისტებისას და რევოლიუციონერებისას. და ის უპირატესობა, რომ აზნაურები გზების ბეგარაზე არ გაყავდათ, კიდევ მეტ მასალას აძლევდენ აგიტატორებს გლეხების უკმაყოფილების გამოხატვაში. მეფის მოადგილე კატეგორიულად იწუნებდა მართველობის სისტემას და მოითხოვდა ერობის შემოღების დაჩქარებას. ვორონცოვ-დაშკოვი არ უარყოფდა, რომ მოძრაობა იყო სოციალ-დემოკრატიული, მაგრამ ის ამ მოძრაობას ამახინჯებდა განზრახ და აძლევდა სეპარატიულ მოძრაობის ხასიათსაც. ცნობილია, რომ მაშინ სეპარატიზმის არც ერთი ფაქტი და მიზეზი არ იყო, მაგრამ კავკასიის მთავრობას დიდი სურვილი ჰქონდა მოძრაობა საქართველოში დაეყენებია რუსეთის მოძრაობის გარეშე, რათა ამით გაეღვივებია რუსებისათვის ნაციონალისტური გრძნობა და თავმოყვარეობა, რაც მეტ საშუალებას მისცემდა საქართველოში რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასახრჩობად. უნდა ითქვას, რომ ვორონცოვი გაცილებით „ნიჭიერი“ გამოდგა კავკასიაში რევოლიუციონურ მოძრაობასთან საბრძოლველად, ვიდრე მისი წინა მოადგილე მთავარმართებელი გოლიცინი, — რომელიც კიდევაც დასჭრეს 1903 წ. ტერორისტებმა. სწორედ გოლიცინის შემდეგ იყო, რომ ვორონცოვი დაინიშნა მთავარ მართველად და აღდგენილ იქნა კავკასიის ნამესტნიკობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI

ჯარები და ეგზეკუციები. — სახელმწიფო დუმის არჩევნები რეაქციის პერიოდში. — ლიკვიდატორები, ოტზოვისტები, ულტიმატისტები, პლეხანოველები და ტროცკისტები. — კრილოვი მცხოვრებთა სახლების დაწვას თვით მცხოვრებთ აბრალებდა. — შეკითხვები სახელმწიფო დუმაში გურიის შესახებ. — სასტიკი რეპრესიების შემდეგ ლიბერალური პოლიტიკა. — მაზრის უფროსი ლავრენტი მახარაძე. — ვინ იყვნენ სტრაჟნიკებათ გურიაში.

ჯარიმები და ეგზეკუციები.

რაც დრო გდაიოდა, მით უფრო იმაგრებდა გურიაში ფეხს რეაქცია, მით უფრო მძაფრი და დაუნდობელი ხდებოდა მეფის პოლიცია, საკმარისი იყო, რომ ცოტა რამეში ყოფილიყო ვინმე შენიშნული, რომ იგი დაეპატიმრებიათ, ციხეში დაელპოთ, გაეციმბირებიათ. პოლიცია ებრძოდა არა მარტო შემჩნეულ და გადავარდნილ პირებს, არამედ მათ შემნახველს, ბინის მიმცემსაც. გურიაში სისტემათ შემოვიდა დაჯარიმება „ყაჩაღის შენახვისათვის", „არა საიმედო პირისათვის ბინის მიცემისათვის". მთავრობამ ასეთი წესები შემოიღო არა მარტო გურიაში, არამედ მთელ კავკასიაში და ეს გაგრძელდა დიდხანს, 1907-8 წლამდე. მთავრობის ამ ბარბაროსული ზომების გამო სახელმწიფო დუმაში შეკითხვებიც იქნა შეტანილი. ერთ-ერთ შეკითხვაში ნათქვამი იყო, რომ კავკასიაში — „ყაჩაღებს" და „არა კეთილ საიმედო პირთა" შენახვა გადაიქცა ადგილობრივ მოსახლეობის კანონიერი დაბეგვრის ობიექტად.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თუ რომელიმე სოფელში რაიმე ბოროტ-მოქმედება, ან მკვლელობა მოხდებოდა — მთავრობა ბოროტ-მოქმედების აღმოსაჩენად იმ რაიონში გზავნიდა ეგზეკუციას. გლეხკაცობის ოჯახში ჩაყენებული კაზაკები ანადგურებდენ მათ სარჩო-საბადებელს, სურსათს, შინაურ პირუტყვს და ფრინველს. ხალხის სისხლით გაუმაძღარი მთავრობა ამასაც არ კმარობდა და გაძვალტყავებულ ხალხს აწერდა უთვალავ ჯარიმას. ცხადია, გლეხობას საშუალება არ ჰქონდა გადაეხადა მთავრობის მიერ გაწერილი ჯარიმა და მაშინ დაიწყებოდა ხალხის რბევა-აწიოკება — სახლებიდან ეწიწებობენ საოჯახო ნივთებს, პირუტყვს, ფრინველებს, ქვეშაგებს და სხვა. ასეთი იყო პოლიტიკური რეჟიმი გურიაში პოლკოვნიკ ტოლმაჩოვის დროს ამ შეუბრალებელმა ტირანმა ლანჩხუთს გააწერა 45.000 მანეთი ჯარიმა ვითომც და იმის გამო, რომამ სოფელში თავს აფარებ-

ეროვნული ...

დენ ყაჩაღები. ამ ჯარიმის გამო ლანჩხუთის გლეხობამ დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო დუმის წევრს ი. წერეთელს, რომელმაც შეკითხვა შეიტანა დუმაში. ამ შეკითხვაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „в селении Ланчхуты, Кут. губ., введены войска, введена карательная экспедиция под угрозой немедленной расправы, С этого селения требуют штраф в 45.000 руб. Мне неизвестно за что наложена кара местными властями. Неизвестно это и тем трем тысяч. жителей, от которых я получил телеграмму"... და სხვა.

ამ გზით და საშუალებით ებრძოდა გათავხედებული რეაქცია იმ ხალხს, რომელიც გაკადნიერდა და ენა ამოიღო სისხლის მსმელ რეჟიმისაგან თავის დასაღწევად.

პოლიტიკური ტეროორი, მუშტი-კრივი, მათრახები, სტრაჟნიკების უკანტროლო თარეში, ძალადობა, ქრთამი, გლეხობისადმი დესპოტიური მოპყრობა, მკვლელობა, ცარცვა-გლეჯა და სხვა მრავალი ხალხის დასაბეჩავებელი საშუალებანი,-აი რეაქციის—დროინდელი სურათი გურიაში.

როგორ გამოიყენა სახელმწიფო დუმა გურიამ.

რეაქციის პერიოდში, დამსჯელი რაზმების თარეშის დროს, იწყება ცნობილი 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება. დუმის არჩევნებში გურიამ მონაწილეობა მიიღო; კამათი იმის შესახებ, მივიღოთ თუ არა მონაწილეობა დუმაში, არ ყოფილა. გურია მოქმედებდა იმ პარტიის დირექტივების თანახმად, რომელიც მას ხელმძღვანელობდა. ცხადია, თუ გურიას ექნებოდა ლოზუნგი — „არც ერთი კაცი საარჩევნო კრებაზე", გურიიდან ერთი ამომრჩეველიც კი არ იქნებოდა და გურიაში პირველ დუმას ეწეოდა ის ბედი, რაც ეწვია ბულიგინის დუმას. ცნობილია, რომ თვითმპყრობელობა მაშინ ეძებდა გზებს მისი სამუდამოთ დამხობის თავიდან ასაცილებლათ, ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 6 აგვისტოს 1905 წ. სენატორ ბულიგინს მიენდო კანონ-პროექტის შემუშავება ხალხის წარმომადგენლობის მოსაწვევათ. ბულიგინის დუმას როდი ჰქონდა კანონმდებლობითი უფლება, არამედ მას ჰქონდა თათბირის უფლება ამა თუ იმ კანონის შესახებ (Законосовещательное право) ამავე დროს საარჩევნო კანონი ნებას აძლევდა მხოლოდ მსხვილ ბურჟუაზიას და მემამულეთ არჩევნებში მონაწილეობისას. 11 დეკემბერს 1905 წ. საარჩევნო კანონი კი თანახმად 17 ოქტომბრის ნიკოლოზის მანიფესტისა, იძლეოდა სულ სხვა სურათს, ეს იყო ბულიგინის დუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხების მიზეზი; ნიკოლოზ ხელმწიფე უფრო შორს წავიდა და დუმას კანონმდებლობითი უფლება მიეცა, საარჩევნო კანონიც შეცვლილ იქნა, თუმცაღა დამახინჯებულათ და კუდმოჭრილათ, მაგრამ მუშებს მაინც ჰქონდა უფლება მონაწილეობის მიღების არჩევნებში და დუმაშიც დეპუტატათ გასვლის. ბალშევიკები არც აქ იღებდენ მონაწილეობას და დუმას ბოიკოტი გამოუცხადეს და რადგან არამც თუ გურია, თითქმის მთელი საქართველო მენშევიკების გავლენის ქვეშ იყო, მონაწილეობა მიღებულ იქნა, რის შემდეგ ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო დუმაში მხოლოდ მენშევიკ დეპუტატებს, — ისიდორე რამიშვილს, სერგო ჯაფარიძეს, ვანო გომართელს, ნოე ჟორდანიას და სხვებს. ცნობილია, რომ ამათ ლოზუნგად წამოაყენეს პასუხისმგებელი სამინისტრო (ისიდორე რამიშვილის სიტყვა სახელმწიფო დუმაში). ჩვენ ვიცით, რომ პირველი დუმის მოღვაწეობა დასრულდა ვიბორგის მოწოდებით, რომელსაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია მასაზე.

მეორე სახელმწიფო დუმის დროს სურათი იცვლება: ბალშევიკების ტაქტიკა ბოიკოტი აღარაა, არამედ — მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში, ქუთაისის გუბერნიაში არის ცდა ბუდუ მდივანის გაყვანის შესახებ, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება. და არც ერთი ბალშევიკი არამც თუ საქართველოდან, ამიერ-კავკასიიდანაც არ გადის. მეორე დუმაში გავიდა ჭოლა ლომთათიძე ქუთაისის გუბერნიიდან.

იყვნენ თუ არა ლიკვიდატორები, პლეხანოველები, ოტზოვისტები, ულტიმატისტები და ტროცკისტები გურიაში.

ყველასათვის ცხადია, რომ რეაქციის გამარჯვების შემდეგ დუმის მოქმედების პერიოდში ბალშევიკ-მენშევიკების უთანხმოება დღითი-დღე იზრდებოდა, თან გაიზარდა ჯგუფები თვით ბალშევიკებშიაც და მენშევიკებშიაც. ცნობილია, რომ ლიკვიდატორობა ეს იყო მენშევიკების თანამგზავრი მიმართულება, საქართველოში მას ჰყავდა დამცველი სილია ჯიბლაძის სახით. საერთოდ კი საქართველოს მენშევიკები ამ საკითხში განსხვავდებოდენ რუსეთის მენშევიკებისაგან. ამის დასამტკიცებელი ფაქტი ის არის, რომ როგორც გურიაში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში შანახული იქნა არალეგალური მუშაობა და პარტ-უჯრედები. რუსეთში ამ ჯგუფის ბელადები იყო მარტოვი, დანი, პეტროსოვი, ლარინი და ლევიცკი, რაც შეეხება პლეხანოველებს, ანუ როგრც თვითონ უწოდებდენ თავიანთ თავს პარტიელებს, თუ არ ვცდები, მეტი მიმდევარი ჰყავდა აქ. ესენი საჭიროთ სთვლიდენ არალეგალურ ორგანიზაციების შენახვას და არალეგალურათ მუშაობას, მაგ. პლეხანოველად სთვლიდა თავს ქუ-

თაისელი (პლებეიშვილი) გაბრიჩიძე, რომელიც ჩემთან ერთად იყო ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის წევრათ. (სწორეთ იმ დროში მე წილათ მხვდა ქუთაისში მუშაობა, სადაც ვიყავ არჩეული ქუთაისის აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარეთ. სოც.-დემოკრატიული კომიტეტის პლენუმი ირჩევდა აღმასრულებელ კომისიას, ისე, როგორც ახლა პრეზიდიუმია). ამ დროს ბალშევიკები ქუთაისში მენშევიკებთან ერთად მუშაობდენ.

ცნობილია, რომ ოტზოვისტები, როგორც მიმართულება, იყო თვით ბალშევიკებში, რომლებიც უარყოფდენ ლეგალურ საშუალებათა გამოყენებას, მაგ. პროფკავშირებში, მუშათა კლუბებში და სხვა, რადგან ადგენ ბოიკოტისტურ გზას და დუმიდან თავიანთ დეპუტატების უკან გამოწვევას მოითხოვდენ; ამათვე მიემატა მაშინ ულტიმატისტები, რომლებიც უმატებდენ, რომ დეპუტატებმა უნდა წაუყენონ ულტიმატუმი და, თუ არ შეასრულებენ, დუმა დემონსტრატიულად დატოვონო.

ამ ტაქტიკას ესა თუ ის ბალშევიკი აქაც თანაუგრძნობდა, რუსეთში კი ხსენებულ მიმართულებას ძლიერი ჯგუფი მეთაურობდა, როგორც იყო ლუნაჩარსკი, ბოგდანოვი, პოკროვსკი, ლიადოვი და სხვები.

ტროცკიზმის შესახებ ცოტა ისმოდა; ცნობილია, რომ ტროცკიზმი მაშინ თავს აყენებდა ფრაქციის და ჯგუფების გარეშე და ქადაგებდა ფრაქციათა შეთანხმების პოლიტიკას. მართალია, სწერდა მაშინ ლენინი, ტროცკი ქადაგობს ფრაქციათა შეთანხმებას, მაგრამ ის ყველა ლიკვიდატორს წააცილებსო.

უნდა ითქვას, რომ რეაქციის ხანაში გურია გადაიქცა ერთ მონოლიტურ ორგანიზაციათ. რადგან ზედმეტი რეპრესიები გურიას ხვდა წილათ, — ის ზედმეტად გაკაჟდა და მისი ორგანიზაციები შეიქმნენ შეიარაღებულ რაზმებათ თვითმპყრობელობის დასამხობათ, მუშაობა და თვით რევოლიუციონური მოძრაობის ბუნება უარყოფდა იმ სხვადასხვანაირ, სინამდვილესთან დაშორებულ მიმართულებას სოც.-დემოკრატიაში, როგორიც იყო ლიკვიდატორები, ოტზოვისტები, ულტიმატისტობა და პრიმერენცობა. გურია საქმით, და ფაქტიურათ მიყვებოდა ლენინს, რომლის მარჯვენა ხელი იყო სტალინი. ყველასათვის ცხადია, რომ მაშინ ლენინი იყო ბალშევიკური ფრაქციის ცენტრი და მთელი თავისი ძალ-ღონით იგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიებდა სხვადასხვა ოპორტიუნისტულ თავდასხმებს, რომელიც გა-
ჩნდა შიგ ბალშევიკებში და, მხოლოდ ლენინი აძლევდა ბალშევიკებს
რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის მიმართულებას.

სახელმწიფო დუმა გურიამ გამოიყენა ისე, როგორათაც ამას
ამბობდა პარტიის ბალშევიკების ტაქტიკა. დამსჯელი რაზმების მო-
ქმედებას პარტია საბუთებით აგროვებდა; დაპატიმრება, ცემა, და-
ჯარიმება და სხვა, რომელსაც ფართოდ აწარმოებდა კრილოვ-
ტოლმაჩოვები, ეგზავნებოდა სახელმწიფო დუმის სოც.-დემოკრა-
ტიულ ფრაქციას, რომელსაც თავის მხრივ შეჰქონდა შეკითხვები დუ-
მაში. დუმა მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიის და თვითმპყრობე-
ლობის სალაყბო იყო, ის მაინც გამოყენებულ იქნა, მთელი რუსეთის
რევოლიუციონური მოძრაობისათვის. მეფის აღვირწახსნილი მოხე-
ლეები იმდენათ გახულიგანებული იყვნენ, რომ დუმასაც ვერ ინე-
ლებდენ, ამასთან კიდევაც ეშინოდათ, რომ მათ საქმეზე საგმიროზე
სოციალისტებს შეკითხვა არ შეეტანათ და ხშირად ფრთხილობდენ
თავიანთ მოქმედებაში, ანდა დანაშაულს უპასუხისმგებლო პირებს
ან ყაჩაღებს გადააბრალებდენ ხოლმე.

მაგალითად კრილოვი თავის მოხსენებაში სწერდა უმაღლეს
მთავრობას: შევედი გურიაში, ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ხალხი
სტოვებს თავიანთ სახლ-კარს, უკიდებს ცეცხლს და ტყეში გარბისო.

რომელი გურული დასწვავდა მის ნაოფლარს, გაჭირვებაში აგე-
ბულ ქოხს! სწვავდენ კრილოვის განკარგულებით. მაგალითისათვის—
დამსჯელმა ექსპედიციამ ცეცხლი წაუკიდა სამეურნეო სკოლას, ეს
სკოლა იყო აშენებული აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად
გურიაში გიგო, ალექსანდრე, ერმილე და დიმიტრი შარაშიძეების
მიერ. რადგან ყველა ესენი სოც.-დემოკრატები იყვნენ და ამ სკოლაში
გურიის კომიტეტის სხდომა იმართებოდა, ამიტომ ის დასწვეს. როცა
ცეცხლი პირველად წაუკიდა სკოლას გზათ მომავალმა ჯარმა ღამით,
მეზობლებმა ცეცხლი ჩააქრეს და სკოლაც გადარჩა. მეორე დღეს
ჯარის უფროსიდან მიიღეს წყრომა, რომ ბრძანება შესრულებული
არ იყო, გაიგზავნა ექსპედიცია იმავე სკოლის დასაწვავათ.

ოფიციალურათ მთავრობის არც ერთი მოხელე არ ამბობდა,
რომ ჩვენ ვწვავთო; ალიხანოვი ბელაგორისა და ყვირილის დაწვის
შესახებ თავის მოხსენებაში სწერდა, — გაუგებარი მიზეზების გამო
დაბა ყვირილას და ბელაგორს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვაო. ასე
გაქნილი იყო მაშინდელი გენერლები და ჩინოვნიკები! შვრებოდენ
ერთსა და ამბობდენ მეორეს. მაგრამ მათი ოინობის გამოსააშკარა-

ვებელი ტრიბუნა იყო სახელმწიფო დუმის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია.

სტრაჟნიკები გურიაში.

ცნობილია, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას გურიაში იმ-დენი ძალა და გავლენა ჰქონდა, რომ მის წინააღმდეგ აშკარად გა-მოდიოდენ მხოლოდ გაუსწორებელი რეაქციონერები და მშრომელი ხალხის შეურიგებელი ელემენტები. ასეთები-კი თითზე ჩამოსათვლე-ლი იყო. ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ 1905 წლის რევოლიუციამ თავისი ხალხოსნური მასიური ხასიათით და უჩვეულო ენტუზიაზმით გურიაში ღრმა გარდატეხა მოახდინა არა მარტო გლეხების ფათრო ფენებში, არამედ არამშრომელ ელემენტებშიაც. განმათავისუფლე-ბელ ბრძოლის საწინააღმდეგოთ მთავრობამ ვერ შესძლო გურიის ვერც ერთ სოციალურ ფენზე დაყრდნობა, რადგან გურიაში არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც შესძლებოდა რეაქციი-სათვის მხარის მიცემა და ახალი მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლა.

ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა გურიის წინააღმდეგ ბრძო-ლაში მიემართა არაადგილობრივი ელემენტებისათვის. მაშინაც-კი, როდესაც მოძრაობა დამარცხდა და რეაქციამ სიკვდილის დრომა დაფრიალა, გურიაში **მთავრობის მხარეზე** არ გადასულა **არც** ერთი ჯგუფი (თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ იმ თითო-ოროლა გაუსწორებელ ხალხის მტრებს, რომლებიც მოძრაობის დრო-საც მხარს უჭერდენ პოლიციას).

მოძრაობის დროსაც და რეაქციის გამარჯვების შემდეგაც იშვია-თად შეხვდებოდით გურულ სტრაჟნიკს. გურიაში სტრაჟნიკებად იყვნენ უმთავრესად ინგუშები, მეგრელები და აჭარლები. მთავრობა ცდილობდა მეზობელი ხალხისათვის შეეძულებია გურია, ჩამოეგდო მათ შორის შუღლი და ამ გზით ძირი გამოეთხარა გურიის განმა-თავისუფლებელ მოძრაობისათვის. სტრაჟნიკები გურიაში ყოფნის დროს ხედავდენ მთავრობის უკანონო მოქმედებას, ხალხის გმირო-ბას, თავისუფლებისათვის ბრძოლას და ნაცვლად მათ წინააღმდეგ ბრძოლისა, ხშირად „ახალთაობის კაცად“ ხდებოდენ, ხალხის მხა-რეზე გადადიოდენ.

აჭარლებმა ადრე შეიგნეს მთავრობის პროვოკაციული პოლი-ტიკა, ისინი მიხვდენ, რომ თვითმპყრობელობა განზრახ სთესს შუღლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მტრობას გურულ-აჭარლებს შორის და გარბოდენ გურიიდან, სტოვებდენ სტრაჟნიკის სამარცხვინო თანამდებობას.

„ლიბერალური პოლიტიკა“.

სასტიკმა რეპრესიებმა ხალხი გააღატაკა, ფიზიკურად წელში მოღუნა, მაგრამ თავისუფლებაზე ფიქრი მას არ შეუწყვეტია. მთავრობაც ხედავდა, რომ ძალით, რეპრესიებით იმაზე მეტის გაკეთება, რაც მან მოიმოქმედა, აღარ შეიძლებოდა. ხალხი მოტყდა, გაღარიბდა, წელში მოიზნიქა... მთავრობამაც პოლიტიკის კურსი შესცვალა და „ლიბერალური“ გზა აირჩია.

ოზურგეთის მაზრის უფროსად დაინიშნა ლავრენტი მახარაძე. მახარაძე შორაპნის მაზრაში განთქმული იყო თავისი სისასტიკით და „კაციჭამიობით“, მაგრამ გურიაში მან ფერი იცვალა, ლმობიერობა იწყო. იგი შეუდგა ყრილობების მოწვევას და ხალხთან ტკბილი ენით ლაპარაკს. რომ დაენახვებია ხალხისთვის, რომ მთავრობას ხალხის კეთილდღეობა სურს, მახარაძემ იწყო გადავარდნილების შერიგება. მახარაძე ცდილობდა საერთო ენა გამოენახა ხალხთან, მოეგო მისი გული და ამრიგად დავიწყებისთვის მიეცა კოშმარული წარსული.

რევოლიუციის და რეაქციის ცეცხლში გამობრძმედილ გლეხობას კარგად ესმოდა მთავრობის პოლიტიკის აზრი. ხალხი თითქმის მოხარული იყო მთავრობის ლიბერალური პოლიტიკით, თანაგრძნობით ხვდებოდა მაზრის ადმინისტრაციის შემარიგებელ ზომებს, მაგრამ სინამდვილეში იგი ხელს არ უშვებდა მუშაობას. პარტია მოხერხებულად იყენებდა მთავრობის ლიბერალურ პოლიტიკას გლეხობაში მუშაობის გასაჩაღებლად და რევოლიუციონური პროპაგანდის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII

1905 წ. რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. — რამ გადასწყვიტა ბრძოლის ბედი. — მენშევიზმი და ბოლშევიზმი რევოლიუციის ცოცხალ მაგალითზე. — „რევოლიუციის ლიკვიდაცია". — „გურიის რესპუბლიკის პროცესი". — დასკვნა.

1905 წლის რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

1905 წლის რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო რუსეთის პროლეტარიატი. ცხადია, ბრძოლის დასასრული, მისი ფინალი სავსებით დამოკიდებული იყო რუსეთის პროლეტარიატისაგან. მართალია, ამ ბრძოლის შედეგები აშკარად გამოირკვა 1907 წლის შუა პერიოდში, მაგრამ 1905 წელს უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლიუციის ბედზე. სწორედ 1905 წლის 9 იანვრიდან, ვიდრე 6 დეკემბრამდე რუსეთის პროლეტარიატმა, როგორც რევოლიუციის უმთავრესმა მამოძრავებელმა ძალამ, უკიდურესად განავითარა კლასობრივი ბრძოლის ენერგია.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში იყო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უკიდურეს წერტილზე აყვანა; პროლეტარიატის დამარცხებამ ამ ბრძოლაში უკვე გადასწყვიტა რევოლიუციის ბედი.

რაკი დამარცხდა რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ფიზიკურად დამარცხდა მისი დამხმარე ძალები, დამარცხდა რევოლიუციის პერიფერიაც.

ამ საერთო ხასიათის შემთხვევებმა საბოლოოდ გამოარკვიეს გურიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბედიც.

ის თეორეტიული უთანხმოებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგებში 1903 წლ. ყრილობის შემდეგ, 1905 წლის რევოლიუციამ კიდევ უფრო გააფართოვა, გააღრმავა. 1905 წლის რევოლიუციონურმა მოძრაობამ ს.-დ. პარტიის შიგნით გაჩაღებული თეორეტიული კამათი გადმოიტანა ცოცხალ სინამდვილეში, პრაქტიკულ საქმიანობაში. რუსეთის პირველმა რევოლიუციამ ბრწყინვალეთ გაამართლა ის პოზიცია, რომელსაც იცავდა ს.-დ. პარტიის ბალშევიკური ფრთა ამხ. ლენინის მეთაურობით. ლენინმა გენიალურად შეაფასა პირველი რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები. იგი ამტკიცებდა, რომ ამ რევოლიუციას, რომელიც თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური შინაარსით იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ბოლომდე მიიყვანს მხოლოდ პროლეტარიატი გლეხობასთან კავშირით. იმ რევოლიუციონური როლის გენერალური შეფასება, რომელიც გლეხობას უნდა შეესრულებია პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, შემდეგში ქვა-კუთხედათ დაედვა ბალშევიკურ მსოფლმხედველობას.

ჩვენ აქ, ცხადია, არ გამოვუდგებით 1905 წლის რევოლიუციის მარცხის შინაგანი მიზეზების შეფასებას (ეს თემა საკმაოდ დამუშავებულია ბალშევიკურ ლიტერატურაში), ჩვენ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნეთ 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების ფაქტი მოძრაობის ცენტრში (მოსკოვი, პეტერბურგი და სხ.), რომ ამით უფრო გასაგები გაგვეხადა გურიის 1905 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების ზოგადი მიზეზები.

გამარჯვებული რეაქცია შეუდგა რევოლიუციონური მოძრაობის ნაშთების ლიკვიდაციას. გურიაში ამის შედეგი იყო „გურიის რესპუბლიკის პროცესი“.

„გურიის რესპუბლიკის“ პროცესი.

მთავრობამ განიზრახა გაესამართლებია გურიის რევოლიუციონური მოძრაობის მეთაურები. ამ მიზნით მან შექმნა ეგრედ წოდებული „გურიის რესპუბლიკის“ პროცესი. ამ ირონიული სახელწოდებით მეფის მთავრობას სურდა „საზოგადოებრივი აზრისთვის“ დაენახვებია, რომ გურიის მოძრაობა თავისი შინაარსით და მიზნებით იყო ერთგვარი კურიოზი („გურიის რესპუბლიკა“). მიუხედევათ იმისა, რომ მთავრობამ ჩინებულად იცოდა გურიის მოძრაობის ნამდვილი შინაარსი და მიზნები (გურიის ხალხმა ეს ჩინებულად განუმარტა სულთან კრიმ-გირეის), მან განიზრახა იგი მოენათლა სეპარატისტულ მოძრაობათ.

მთავრობის თვალთმაქცობას აშკარად ხდის თუნდაც ის ფაქტი, რომ მან ასეთივე პროცესი მოაწყო საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც („შორაპნის რესპუბლიკა“, „სამეგრელოს რესპუბლიკა“, „რაჭა-ლეჩხუმის რესპუბლიკა“ და სხ.). „გურიის რესპუბლიკის“ საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს სენკევიჩს. გურიის რესპუბლიკის მონაწილეთ ბრალს სდებდენ ცნობილ 102 სტატიით. (სპეციალური ორგანიზაციის შექმნა თვითმპყრობელობის დასამხობად შეიარაღებული საშუალებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გურიის რესპუბლიკის“ საქმეზე ბრალდებულნი, წინასწარ პატიმრობის სახით, ციხეში ისხდენ სამი წელიწადი. ბოლოს, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, საქმის გარჩევა დაინიშნა თბილისში. საქმე უნდა გაერჩია სამოსამართლო პალატას. პროცესი დაიწყო.

აქვე მოვიყვანთ საბრალმდებლო ოქმს, რომელიც შედგენილი იქნა „გურიის რესპუბლიკის“ საქმეზე.

აი რას ამბობს საბრალმდებლო ოქმი:

გურიაში, როგორც მთელს ქუთაისის გუბერნიაში, 1901 — 1902 წლებში დაწყებულ სარევოლიუციო მოძრაობას წინ უძღოდა აგრარული მოძრაობა. მიზეზი აგრარული მოძრაობისა მიწის ნაკლებობა იყო. ამან ძალზე გაამწვავა საქმე გლეხთა და მემამულე, თუ მოჯარადრეთა შორის. მოძრაობა გააძლიერა და გააფართოვა იმ რევოლიუციონურ ორგანიზაციის პროპაგანდამ, რომელმაც მიზნად დაისახა არსებულ წესწყობილების ძალით დამხობა რუსეთში. მოძრაობამ უფრო ძლიერი და სტიქიური ხასიათი მიიღო 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. დაიწყო მოძრაობა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. საქმეს ხელს უწყობდა მიტინგები და არალეგარული ლიტერატურა. პირველ ხანს მოძრაობა გამოიხატა მემამულეთა მიწების ჩამორთმევასა და საიჯარო ფულის გადაუხდელობასა, გაფიცვების მოხდენასა, ბოიკოტის გამოცხადებასა და იმათ მკვლელობაში, ვინც არ თანაუგრძნობდა და ხელს უშლიდა მოძრაობას. ამ ნიადაგზე მოჰკლეს აზ. ქარცივაძე, მომრიგებელი შუამავალი ნაკაშიძე, ბოქაული კოსტავა, განიზრახეს მოკვლა ბოქაული კვაშალისა და დიდძალი სტრაჟნიკებისა, ბოიკოტი გამოუცხადეს პოდკოლზინს, თაყაიშვილს, მგელაძეს, ჯაყელს, ჭყონიას და სხ. ბოიკოტი გამოუცხადეს აგრეთვე მთავრობის დაწესებულებებს, განსაკუთრებით საპოლიციო და სასამართლოს. ხალხმა რევოლიუციონური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შექმნა თავისი სასამართლო, თავისი სკოლა და სხვა დაწესებულებები, შემდეგ შეუდგენ ხალხის შეიარაღებასა და ეგრედ წოდებულ მებრძოლ რაზმების შედგენას. რაზმებში ღებულობდენ ყველას, ვინც შესძლებდა იარაღის ტარებას. ორგანიზაციებმა ახლად შექმნილ დაწესებულებათა შესანახად ხალხს გააწერეს გადასახადი, აბაზი კაცის თავზე და აგრეთვე სხვა გადასახადიც იარაღის შესაძენად და სხვადასხვა საჭიროებისათვის. იარაღს ეძებდენ ყველგან: ართმევდენ კერძო პირთ, თავს ესხმოდენ პოლიციას, ჯარსაც კი, და ამ გზით იძენდენ საჭირო საომარ მასალას.

გურიაში მოძრაობას პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ბათომის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პარტიისა. 1905 წ. გამოიყო განსაკუთრებული კომიტეტი, რომელც მოქმედებდა კონსპირატიულად, ხოლო შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ უფრო აშკარად შეუდგა მაზრის ცხოვრების მართვა-გამგეობას. გურიაში ძლიერი იყო ს. დ. პარტიის „მენშევიკების“ ფრაქცია. გურიის კომიტეტი მთელს თავის მოქმედებას უთანხმებდა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას და ცხოვრებაში გაჰყავდა პროგრამა რ. ს. დ. მ. პარტიისა. კომიტეტს ჰყავდა ათისთავები, ასისთავები, რაიონის წამომადგენელნი და რაზმები. ოზურგეთის მაზრა დაყოფილი იყო შვიდ რაიონად. თვითეულ რაიონს თავისი ორგანიზაცია ჰქონდა. კომიტეტს ჰყავდა აგრეთვე „სამხედრო შტაბი“. მას ექვემდებარებოდენ მებრძოლი ძალები. სამხედრო შტაბი მოთავსებული იყო ნოე ჩიგოგიძის სახლში. აქვე ინახებოდა იარაღი. შტაბი განაგებდა ტეროროისტების ჯგუფს, რომელიც ასრულებდა კომიტეტის გადაწყვეტილებას. ეი .თვის ჯგუფის წევრთ განსაკუთრებული გასამრჯელოც ეძლეოდა. კომიტეტის მოქმედება გაძლიერდა 1905 წლის ბოლო თვეებიდან 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე. კომიტეტის მოქმედება გამოიხატა შემდეგში: მან მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა ნასაკირალზე 1905 წლის 21 ოქტომბერს და სხ.

საბრალმდებლო ოქმში მოყვანილია სარევოლიუციო სამხედრო შტაბის ბრძანება:

„გურიაში არსებობს სარევოლიუციო სამხედრო შტაბი, რომლის ვალდებულებაა მებრძოლი რაზმების შედგენა და მისი ხელმძღვანელობა გამოსვლის დროს. სამხედრო შტაბი შეურყევლად იცავს სამხედრო სარევოლიუციო დისციპლინას... ზოგიერთი მებრძოლი ჯგუფი გარეშე პირებთან ერთად ხშირად პირდაპირ ხულიგნურად იქცევა და იტაცებს რაც კი რამ ხელში მოხვდება. ამიტომ სამხედრო შტაბი აცხადებს: 1. სასტიკად აკრძალულია ასეთი მოქმედება, 2. სასტიკად აკრძალულია კერძო პირთა მიერ ოზურგეთში იარაღის ტარება, 3. აკრძალულია ვაჭრობა ან გაცვლა-გამოცვლა სამხედრო იარაღისა შტაბის ნებადაურთველად, 4. სამხედრო შტაბი ქ. ოზურგეთში წესიერებისათვის ნიშნავს პატრულებს, 5. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, სამხედრო სასამართლოში იქნება მიცემული“.

მაზრის უფროსად ნამყოფი ლაზარენკო სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, — ვინ აწყობდა გურიაში რევოლუციასო, უპასუხებს: რევოლიუცია გურიაში არ დაწყებულა, ის დაიწყო ბათომში და იქიდან გურიაში გადმოვიდა.

ყოველ სოფელში განსაკუთრებული რაზმი იყო.

ნასაკირალზე თავდასხმის შესახებ საქმე ადგილობრივმა კომიტეტმა გადასწყვიტა.

ლაზარენკო შეეხო ქუთაისის ყოფილ გუბერნატორ სტაროსელ-სკის მოქმედებას და აღნიშნა, რომ ის არავითარ ზომებს არ ღებულობ-და მეთაურების დასაჭერად და არც მას აძლევდა ნებას მიეღო რაიმე ზომა. სხვათა შორის, სთქვა, რომ ოზურგეთში ყოფნის დროს სტაროსელსკიმ რევოლუციის მეთაურებთან გამართა მოლაპარაკება და ადგილობრივ ადმინისტრაციას გვერდი აუარა, რითაც უკანონოთ მოიქცაო.

„ტატიაჩენკო (მაზრის უფროსის თანაშემწე) დასძენს, რომ თხოულობდენ სამ იაშიკ იარაღს. გუბერნატორმა შემომითვალა მიმეცა ხალხისათვის იარაღი. აფიცრები წინააღმდეგნი იყვნენ“.

ასე გრძელდებოდა საქმის გარჩევა, მაგრამ 25 იანვარს, საღამოს ექვს საათზე, როდესაც გურიის მოძრაობის საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული პოლიტიკური ტუსაღები სასამართლო პალატის დღიური სხდომის შემდეგ გაძლიერებული კონვოის ქვეშ მეტეხის ციხეში მიდიოდენ, ციხის ახლოს რაზმში შეიჭრა ვიღაც უბნის ზედამხედველი, მივარდა ეტლში მჯდომარე ს. სურგულაძეს და ხმლის ყუით თავში ცემა დაუწყო. 25 იანვარს, აღელვებული, შეურაცყოფილი სურგულაძე, ჩხიკვიშვილი და ავადმყოფი ღლონტი სასამართლოში არ გამოცხადდენ და მოითხოვეს საქმის დაუყონებლივ გამოძიება. პროკურორის წინადადებით დაინიშნა ექიმების კომისია. კომისიის მოხსენების შემდეგ სასამართლომ დაადგნა: „გურიის საქმის წარმოება შესწყდეს და გადაიდოს ახალ განკარგულებამდე“. სამოსამართლო პალატის წევრებს აშინებდა ის გარემოება, რომ პროცესის შემდეგ გურიის რევოლიუციონერები მათ ტერორით უპასუხებდენ. ამის გამო პალატამ შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქმე გადაეტანათ რუსეთის რომელიმე ქალაქში. მთავრობამ პალატის შუამდგომლობა შეიწყნარა და საქმე გადაეცა ოდესის სამოსამართლო პალატას. აი როგორ აგვიწერს გაზეთ „იმედის“ № 5 კორესპოდენტი იმ პირობებს, რომელშიაც ეს საქმე ირჩეოდა.

„ბრალდებულნი სამხედრო გემით ადესაში მოიყვანეს. მათ ნავთსადგურზე თვით ტოლმაჩევი დახვდა თავის ამალით და ჟანდარმ-პოლიციელთა რაზმით. გემიდან ციხემდე ისეთი ამბავით მიყავდათ, გეგონებოდა, ველურთა რაზმი მოუმწყვდევიათ შუაში და ეშინიათ ხელიდან არ გაუსხლტეთ და მთელი ადესა არ აიკლონო, რომ კიდევ უფრო განემტკიცებიათ საზოგადოებაშიც და მსაჯულებშიაც გურულების სიველურე, ბრძანება გასცეს, შეგვატყობინოს პალატამ ვის ანდობენ ამ საქმის გარჩევას, რადგან მათ ყარაულები უნდა მიუყენოთ, თორემ მათი სიცოცხლე უზრუნველყოფილი არ არისო. საბრალმდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ოქმის ჩასაბარებლად სასამართლოს მდივანი 12 „გოროდოვოეთ“ მიბრძანდა ციხეში. ერთ ოთახში რევოლვერებით ხელში ჩაამწკრივა ყველა და მხოლოდ შემდეგ გაბედა ბრალდებულების გამოწვევა კამერიდან. მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას, რომ ველურების მაგივრად ოთახში შემოვიდენ ჩვეულებრივი ინტელიგენტური შეხედულების ადამიანები. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და ეს კიდეც გაუზიარა გურულებს და მოხსნა „გოროდოვოები“.

ერთი პროგრესიული გაზეთი („ოდესსკი ლისტოკი“) სწერდა: „ერთ დროს ეს ჯგუფი თარეშობდა ოზურგეთის მაზრაში; მათ ამოხოცეს ერთი ნაწლი მოხელეებისა, სხვებს იარაღი ჩამოართვეს, ჩაიგდეს ხელში მაზრის მართვა-გამგებობა, სტაცებდენ მემამულეებს მიწებს, ახდევინებდენ ძალით მცხოვრებლებს სამხედრო ბეგარას თითო აბაზს სულზე, ხელმძღვანელობდენ ყოველგვარ თავდასხმებს“ და სხვ.

საქმე დახურულ კარებში გაირჩა გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

ამ საქმეზე პალატამ, გარდა ორისა, ყველა ბრალდებული დამნაშავეთ სცნო.

„გურიის რესპუბლიკის“ საქმეზე ბრალდებულთ მიუსაჯეს: ბ. ჩხიკვიშვილს 4 წლის კატორღა, ნესტორ ივანეს ძე ერქომიაშვილს 6 წლის კატორღა, გიორგი მამულიაშვილს, მოსე ტუღუშს, სურგულაძეს. (რომელიც გასაბჭოების შემდეგ იყო თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარეთ, მოჰკლეს ბანდიტებმა), ლომჯარიას და ტოტოჩავას სამუდამო გადასახლება. სრულიად გაანთავისუფლეს თოთიბაძე და ლომაძე.

ამ საქმეზე ბრალდების მოწმეებათ გამოვიდენ: ლაზარენკო, კოწია ბერიძე და სხვები. ასე დასრულდა გურიის 1905 წ. განმათავისუფლებელ მოძრაობის ზოგიერთ მონაწილეთა გასამართლება.

თვითმპყრობელობამ ამ პროცესით თითქოს ძირიან-ბუდიანად აღმოფხვრა გურიაში რევოლიუციონური მოძრაობის ნიშან-წყალი, მაგრამ... ცოტა ხნით. რეაქციის დროს და მის შემდეგ გურიაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა რევოლიუციონური მუშაობა. გურიის მშრომელ ხალხს სწამდა თავისი სიმართლე, იგი დარწმუნებული იყო, რომ, დღეს არა ხვალ, თვითმპყრობელობის ტახტი დაემხობოდა.

და არც მოსტყუვდა იგი თავის იმედში.

12 წლის შედეგ დიდმა რევოლიუციონურმა გრიგალმა ძირი გამოუთხარა არამც თუ თვითმპყრობელობას, არამედ ბურჟუაზიის ბატონობასაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

მეფის საპყრობილეთა საშინელებანი, კარების დარტყმა სტალინის ხელმძღვანელობით. — ციხის უფროსი იავორსკი და „როზგი". — შიმშილით გაფიცვები. — ტუსაღების ორგანიზაცია.—„ამირანი" და „ალი" კედლის გაზეთი.—ციხის უფროსი აფშილავა, მისი მოკვლა ტერორისტების მიერ და სამაგიეროს გადახდა ტუსაღებისათვის. — ყიფიანის დანიშვნა. — „დიშლა" და ჩაფსკი. — „ნადზირატელები" ვასილ ფეოდოროვიჩი, ბოსოვი, კუდინი, ნიკოლაი და ივანე. — შუღლის ჩამოვარდნა იმერლებსა და მეგრელებს შორის, ერთი მეორეზე დანებით თავდასხმა.— ვინ მოკლა ტუსაღი გრიშა გორდეზიანი, იაკინთე კობახიძე და ჭანკვეტაძე. — კოოპერატივი ციხეში. პოლიტ-ტუსაღები.

სამარცხვინო სასჯელი.

საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში ქუთაისის ციხე სისხლიანი ეტაპია თვითმპყრობელობის ეპოქაში. ციხეს ყავდა ტუსაღების შესავწროებლად დაგეშილი ადმინისტრაცია. 1905 წლამდის საპყრობილეში გამეფებული იყო სამარცხვინო სასჯელი — როზგი და კატორღელთათვის ცალი ულვაშის და თავის ნახევრად მოპარსვა (საკატორღოთ დასჯილ ტუსაღების გასანსხვავებლად და დასამახინჯებლად) ასეთი რეჟიმი იყო 1903 წელს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, სადაც თავმოყრილი იყვნენ გურიის მოძრაობაში მონაწილეობისათვის შეპყრობილი პატიმრები. აქვე იყვნენ ბათომის გაფიცვების და მუშათა მანიფესტაციების საქმეზე დაპატიმრებული პირებიც. გურიის მოძრაობაში ბრალ-დადებულ პატიმრებს ეტაპით ციმბირში აგზავნიდენ. ეტაპში გასაგზავნათ გამზადებული იყო აგრეთვე ბათომის მუშათა გაფიცვებზე დაპატიმრებული სოსო ჯუღაშვილი (სტალინი). პოლიტ-ტუსაღების მოლაპარაკებით გადასახლებულთა გაგზავნის დღე პატიმრებს რითიმე უნდა აღენიშნათ. ამ მიზნით გადაწყდა ემღერათ რევოლიუციონური სიმღერა და პროტესტის ნიშნად დაერტყათ რკინის კარებზე. ეს ასეც მოხდა. სწორედ გამგზავრების დღეს ტუსაღებმა იმღერეს მარსელიოზის მაგვარი რევოლიუციონური სიმღერა: „უარყოთ ძველი წესები, ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით მტვერი"... მოხერხდა რკინის კარებზე დარტყმაც. ამ „ბუნტარული" გამოსვლისათვის ციხის უფროსმა იავორსკიმ ამოარჩია ერთი პროტესტანტი ტუსაღი მიხეილ ლომაძე და სასწრაფოდ როზგი გადაუწყვიტა. ეს მომენტი საშინელი და ტრაგიკული მომენტი, არას დროს არ ამოიშლება ჩემს მახსოვრობიდან. პირადათ მე არას დროს არ განმიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია როზგი, მაგრამ ლომაძის თქმით, ამაზე უარესი წამება იშვიათად შეხვდება ადამიანს. როდესაც პირჩალმა დაწოლილ ლომაძეს როზგს სცემდენ, ციხის ექიმ ძნელაძეს ხელში ეჭირა მისი მაჯა. როდესაც ჯალათმა 25 როზგი დაითვალა, — ექიმმა მეტი აღარ დაანება, ვერ გაუძლებსო.

ციხის რკინის ყველა კარებზე ერთ და იმავე დროს დარტყმა, რომელიც არამც თუ წესრიგს არღვევდა, არამედ—ის ისმოდა მთელ ქუთაისში და იწვევდა აღელვებას მოქალაქენში, პირველად მოხდა ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ამ ბრძოლისა და პროტესტის მეთოდი მას ეკუთვნის. პირველად ასეთმა ტუსაღების ბრძოლამ შეაძრწუნა ქუთაისის გუბერნატორი და ჟანდარმერია, ციხეს მთელი პოლკი შემოარტყეს, საომრად მოემზადენ. მაშინ როზგი არავისთვის დაურტყამთ, დასჯა გამოიხატა იმაში, რომ ყველა პოლიტიკ. ერთად მოუყარეს თავი, ჩაყარეს ქვედა სართულის ნესტიან და ცუდ საკანში. (ჯიბგირების ცნობილი მესამე კამერა ქვედა სართულში). ცნობილია, რომ ქუთაისის ციხე განზორციელებული ჯოჯოხეთი იყო. სატუსაღო აგებული იყო 250-300 ტუსაღისათვის. ამის მაგივრად მოთავსებული იყო ათასზე მეტი ტუსაღი. 1905 წლის შემდეგ, როდესაც რევოლიუციაა დამარცხდა, გახსნეს კიდევ ორი ციხე; პირველი და მეორე განყოფილება, მაგრამ საქმეს ამან არ უშველა; საკანი, რომელიც იყო ერთისათვის, — 15 — 20 კუბიკურ არშინი სივრცით, ათავსებდენ ოთხს ან ხუთს. ციხეში გაჩნდა პარტახტიანი ტიფი, ყვავილი და სხვა გადამდები სნეულებანი. ქუთაისის ციხიდან დღეში 8 — 10 კუბო გაჰქონდათ. ტიფით დაიხოცა ბევრი კარგი ამხანაგები — დანიელ რაზმაძე, ჩაჩხიანი, პლატონ ახვლედიანი და მრავალი სხვა.

1903 წ. ქუთაისის ციხეში რეჟიმი სასტიკად ტარდებოდა, ერთი ტუსაღი მეორეს ვერ ნახულობდა, არ იყო, არც ნარები და არც კოიკები, პოლიტიკურსაც იშვიათად აძლევდენ თავიანთ ქვეშაგებელს. ცემენტის იატაკი და ერთი ძველი „ქეჩა“ — აი ტუსაღის საწოლი.

პაპიროსის წევის უფლება არ იყო. ამით სარგებლობდენ მეთვალყურენი, ჩუმათ თამბაქო შემოქონდათ, ეს მათ აძლევდა დიდ შემოსავალს, თექვსმეტ კაპეიკიანი თამბაქო ღირდა ორი მანეთი, ტუსაღების ექსპლოატაციას საზღვარი არ ქონდა.

ნიკოლაის მოკვლა.

ვასილ ფეოდოროვიჩი მეტად მკაცრი და უხეში მეთვალყურე იყო. საღამოობით ტუსაღების გადათვლის („პროვერკა“) დროს

მწკრივში ჩადგომას და შემოსვლისას ფეხზე ადგომას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე, მასთან კონფლიქტს ქრონიკული ხასიათი ჰქონდა. მას არა ერთხელ გადაუმტვრიეს მისი ხმალი, რომლის პირში ჩაჩრა იცოდა კარების საჭვრეტიდან („ფორტოჩკა"). ბოსოვი არ ცხარობდა, ის ნაკლებს ყვიროდა, მაგრამ რეჟიმს პუნქტუალურად ატარებდა.

გასაღებით ცემა ტუსაღების.

„ნადზირატელი" ნიკოლაი თავზე ხელაღებული ადმინისტრატორი იყო. მას ტუსაღის ცემა ჩვეულებათ გადაექცა, მეტადრე დიდი გასაღებები, რომელიც მას ხელში ეჭირა, იმითი ცემა საშინლად აწამებდა ტუსაღებს. გადაწყდა მისი მოკვლა. მოკვლა იკისრა კატორღელმა კოლია რუსიშვილმა, იშოვა ქვა, გამოხვია სველ ტილოში და ერთ მოქნევაზე თავი გაუჩეჩა. ნიკოლაიმ სული დალია ციხეში.

მეთვალყურე ივანე უფრო ფრთხილი იყო ტუსაღების ცუდათ მოპყრობაში, უფროსების შესახედავათ მკაცრი იყო. ისე კი — ზომიერი. მე სოციალ-დემოკრატი ვარო ამბობდა ივანე, არჩევნებში დუმის დეპუტატათ გომართელს ხმა მივეციო. ასეთი იყო ჩვენი სოციალ-დემოკრატი „ნადზირატელი".

ქალაქის ქუჩებში ტეროორისტული აქტისათვის ტუსაღების დასჯა.

ცნობილი ხვრელის გაყვანა აფშილავას უფროსობის ხანაში მოხდა. მის შემდეგ აფშილავამ ყოველივე წრეს და კანონს გადააჭარბა შემოიღო ჯერ არ ნახული წესები. აკრძალა ერთი თვით ცხელი საჭმელი, ნახვის ნება და სეირნობა. მან რამოდენიმეჯერ მიიღო უსახელო წერილები გაფრთხილების, მაგრამ ის არ „შეშინდა" ერთხელ წერილზე დახატული კუბოც მიართვეს. არც ამ ზომამ გასჭრა. ის დადიოდა ქალაქში ინგუში მცველებით. აფშილავა ქუთაისის გუბერნატორთან მოხსენების გასაკეთებლად მიდიოდა, რამოდენიმე ტყვით მოკლა „ანარქისტმა" კოლია ბრეგვაძემ.

ნებართვა კომიტეტისაგან ციხის უფროსის მოვალეობაზე დასადგომათ.

პოლიციის მოხელე ყიფიანმა მოლაპარაკება გამართა ახალთაობის ხალხთან, რომ ის დაინიშნება ციხის უფროსად და თან ტუსაღებს არ შეავიწროვებს. მისი უფროსობის პერიოდი ლოიალური და „თავისუფლების" პერიოდია ციხის ცხოვრებაში. ღვინის შემოატნაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა ხელმისაწდომი. მაგრამ ის ადრე შეცვალა „დიშლამ“ „გურა-სოვმა (დიშლა თანახმად მისი მოყვანილობისა, დაეთქვა ზედმეტ სახელად მას ციხეში). მკაცრ ციხის უფროსებს არ ჩამოუვარდა მეტეხიდან გადმოყვანილი ჩაფსკი. მან შემოიღო სეირნობის დროს წრეში სიარული. აღადგინა ციხის რეჟიმი და აღკვეთა შიმშილით გაფიცვებით მოპოვებული უფლებანი.

გაფიცვები.

შიმშილით გაფიცვა ეს პირველი იარაღი იყო ბრძოლის. კომიტეტი გაფიცვას თვითონ სწყვეტდა, ის ხელმძღვანელობდა კითხვის დაყენებას და საყოველთაო გაფიცვა სწყდებოდა დემოკრატიულად. გამოცხადების საკითხი გაირჩეოდა წინასწარ ყველა საკნებში, კითხვა წყდებოდა მხოლოდ ხმის უმრავლესობის ორი მესამედის მიცემით. ტუსაღების ორგანიზაცია ციხის ბიუროს ან კომიტეტის სახით არსებობდა. ორგანიზაციის სახელწოდებად შემოვიდა „ამირანი“ და „ალი“. ამას მოითხოვდა კონსპირაცია. ციხეს საკუთარი პრესა ჰქონდა, მხოლოდ კედელზე არ იკვრებოდა, გამოდიოდა არალეგალურად. გაზეთში იწერებოდა; პოლიტიკური წერილები, ციხის ცხოვრება, მოთხრობები და საოხუნჯო მასალები. გარედან გაზეთის სისტემატიურად შემოტანა დამოკიდებული იყო პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამ საქმეზეც „ამირანი“ ზრუნავდა.

კუთხური შუღლი.

ციხეში პროვოკაციის მოწყობა გადაუდებელი ამოცანა იყო თვითმპყრობელობის აგენტებისათვის. ხშირად შეუგნებელი ტუსაღები მთავრობის ბრმა იარაღიც იყვნენ. 1903 წელს იმერლებსა და მეგრელებს შორის ჩამოვარდნილი იყო სამკვდრო-სასიცოცხლო შური და მტრობა. იყო შემთხვევა, როდესაც დანებით შეიარაღებული ერთი ჯგუფი თავს დაესხა მეორეს და მაშველი ჯარი მოუთხოვიათ. იყო შემთხვევა ერთი მეორის სასიკვდილოთ დაჭრის, ცემა ხომ იოლი საქმე იყო. პოლიტიკური ტუსაღების გამრავლების შემდეგ ეს სამარცხვინო საქციელი აღარ განმეორებულა.

ამ საქციელის წამქეზებელი და დამწყები იყო ტუსაღი ხაჟომია და ბალანჩივაძე. შეუბრალებალმა და ჯალათმა ციხის უფროსებმა პრაქტიკაში შავი ტერორიც შემოიღეს. მოკლეს ტუსაღი ჭანკვეტაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიშა გორდეზიანის და იაკინთე კობახიძის მოკვლა.

ციხე მოღალატეს არ ინდობდა — ამხანაგების გამცემს, იქნებოდა პოლიტიკური ხასიათის თუ სისხლის სამართლის საქმე, სულ ერთი იყო. ამ შემთხვევაში არსებობდა ტუსაღებს შორის სრული სოლიდარობა და მოღალატეს შეერთებული ძალით წესს აუგებდენ. ასეთი ტუსაღი „ხულიგანების კამერაში მოახერხებდა გადასვლას, რათა იზოლიაცია ჰქონებოდა სხვა ტუსაღებისაგან. იაკინთე კობახიძეს ჯერ სცემეს, მერმე დანით ყელი გამოსჭრეს და „დოვეტრუში“ ჩაგდეს. კობახიძე იყო წითელი რაზმელი, რომელმაც დაპატიმრების დროს გასცა სხვა ამხანაგები. გრიშა გორდეზიანი, ჭითაურის შავი ქვის დამტირთველი მუშა იყო. დაპატიმრების დროს ცემის ზეგავლენით გასცა ჭიათურის ორგანიზაცია. ტუსაღებმა ის ცემით მოჰკლეს. ასე ტრაღიკულათ თავდებოდა ბევრის სიცოცხლე, ვინც ჩაიდენდა ღალატს რევოლიუციის წინააღმდეგ. ციხე წარმოადგენდა დიდ რევოლიუციონურ ოჯახს, სადაც არც ერთ მოღალატეს სიცოცხლეს არ შეარჩენდენ.

უთანხმოებანი დუქნის გარშემო.

1905 წ. ციხის დუქანი უშუალოდ ციხის უფროსსის უფლებაში იყო. რომელიმე „წარჩინებულ“ ტუსაღთან ის ბლოკს შეჰკრავდა და ორივენი მოსაგებს იყოფდენ. ტუსაღი „არტელშჩიკი“ არაფრით არ განსხვავდებოდა სისხლის მსმელ ადმინისტრაციისაგან. 1905 წელმა და საზოგადოთ რევოლიუციამ ციხეშიც შეიტანა რევოლიუცია და რეფორმები. ციხეში კოოპერატივი დაარსდა და დუქანი გადავიდა ტუსაღების ხელში. დუქანს მთელი ციხე პატრონობდა: ქურდი, ყაჩაღი, პოლიტიკური, შეერთებული ძალით დუქანს უვლიდენ. სამწუხაროდ, დუქნის გარშემო მუდმივი უთანხმოება იყო. ნოქარი და სხვა მოვაჭრენი დუქანში ტუსაღები იყო — დუქნის „მთავრობაში“ შესელაზე კამათი კვირაობით გრძელდებოდა. ყველას უნდოდა ეს საპატიო და „გამოსარჩენი“ თანამდებობა. ბევრს მოსდვეს შარი ამ დუქნის შესახებ. ბევრმა ამხანაგებმა დაკარგა გავლენა ციხის სავაჭრო დუქანში ყოფნით და ზოგიერთს კიდევაც სცემეს. მოსაგებს კომიტეტი უნაწილებდა ღარიბ და ავადმყოფ ტუსაღებს — ეტაპში გამზადებულთ, იწერდა გაზეთს და ახმარდა კულტურულ განმანათლებელ მუშაობას. დუქნის წმინდა მოსაგები უდრიდა 20-100 მან-მდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის საპყრობილეებზე ბევრი დაიწერება, უთუოდ ვინმე დასწერს უფრო დაწვრილებით და სათანადო მასალების მეოხებით. სამწუხაროდ მე ამ ჟამად არც ერთი დოკუმენტი არა მაქვს ქუთაისის ციხის ცხოვრების შესახებ. ყველა ეს ნაყოფია, მხოლოდ ჩემი იქ ჯდომის დროის მახსოვრობის, უფრო კი ზემოხსენებული ამბები შევიტანე გურიის 1905 წ. რევოლიუციის ეპიზოდებში. იმიტომ, რომ მას ერთიანი კავშირი აქვს 1905 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

პოლიტიკური ტუსაღები [1]).

1905 წლამდის ქუთაისის ციხეში ისხდენ შემდეგი ამხანაგები:

1. იასონ მეგრელიძე
2. სამსონ კალანდაძე (ბუკის ციხელი).
3. ლადიკო სიხარულიძე, ბუკის ციხელი.
4. მამასახლისი პეტრე დოლიძე
5. მიხეილ ლომაძე
6. იოსებ მეგრელიშვილი („ბოხორიკო").
7. მოსე მეგრელიძე
8. მ. ხომერიკი
9. დათა ტუღუში
10. სოლომონ ლომაძე
11. იასონ სამსონია
12. ნესტორ ხორგუა
12. ნიკო ლომიძე
13. სილიბისტრო პატეიშვილი
14. ივანე ცქვიტიშვილი.
15. ნოე ჟორდანია
16. გიორგი ჩხეიძე
17. პავლე საყვარელიძე (დიდი)
18. ლადო ჯოხაძე
19. პლ. კიკნაველიძე
20. ნ. ჩხეიძე
21. ანანია დოლიძე
22. პავლე ხომერიკი
23. სამსონ ხომერიკი
24. ბებურ ხომერიკი
24. დარისპან ხუჭუა
26. გურგენ გურგენაძე
27. მიხეილ ჯიქია
28. ირაკლი ბიბინაშვილი
29. ალექსანდრე ხომერიკი
30. იასონ ზოიძე
31. პროკოპი დოლიძე
32. არჩილ გურგენაძე
33. მიხეილ მჟავია
34. სამსონ ცენტერაძე
35. კოწია ხომერიკი
36. ისიდორე თალაკვაძე
37. ალექსანდრე დგებუაძე
38. ბუდუ მდივანი.

[1]) აქ ჩამოთვლილ პოლიტტუსაღების გარდა კიდევ იჯდა მთელი რიგი ამხანაგებისა, მაგრამ ძნელი შეიქნა მათი გახსენება. ტუსაღების სია უთუოდ იქნება ქუთაისის ციხეში, რომლის მიღება სამწუხაროდ ვერ მოვასწარი წიგნის გამოცემის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. ნესტორ კეჭემყაძე
40. ილია კოპალეიშვილი
41. ილიკო კოპალეიშვილი
42. ბესარიონ მითაიშვილი
43. მიზარბეგ გობრონიძე
44. სევერიან ხვიჩია
45. ვარდენ ჩხაიძე
46. ნოე ზოიძე
47. გიორგი ქადეიშვილი
48. სტეფანე გურგენაძე
49. სოლომონ ხომერიკი,
50. მერაბ დობორჯგინიძე
51. ირაკლი ცენტერაძე
52. პავლე ბალანჩივაძე
53. სოსო ჯუღაშვილი (სტალინი)
54. აპოლონ წულაძე
55. არაბიძე ვასო (მსახიობი)
56. ქერქაძე
57. პოლიო კალანდაძე
58. ალექ. დგებუაძე.

1905 წლის შემდეგ:

1. ივანე გომართელი (დუმის დეპუტატი)
2. პავლე საყვარელიძე (პატარა) „მუშის“ რედაქტორია ამ ჟამად.
3. ნესტორ ერქომაიშვილი
4. ბესარიონ ნებიერიძე
5. არსენ თოდრია
6. კოლია ქარცივაძე
7. ეპიფანე მგელაძე
8. ბარონ ბიბინეიშვილი
9. ზებედა ტრაპაიძე
10. სერგო ჯაფარიძე (დუმის დეპუტატი).
11. იასონ ჩიხლაძე
12. ფარნა გეგელია
13. კოსტა ნარაკია
14. მიშა გეგეჭკორი
15. კოტე ცინცაძე
16. თომა ჩუბინიძე
17. პორფილე პაიჭაძე
18. კოლია ლორთქიფანიძე (ჩამოახრჩვეს)
19. ქიქია ჭიჭინაძე
20. ტერენტი წერეთელი
21. ზაქარია გურული
22. რაჟდენ კალაძე
23. ნესტორ ჩხიკვაძე
24. მირიან ბუკია
25. კარაპე მოდებაძე
26. ესვანჯია
27. ჩიქავა ალექსანდრე
28. მუშნი დადიანი
29. გედენია კაჭარავა (ამაშის პრისტავის მკვლელი)
30. იოსებ ციბაძე,
31. ქავთარაძე დათიკო
32. ქავთარაძე ბაძღუ
33 .ქავთარაძე კოწია
34. ოკუჯავა მიშა
35. შარაშიძე დათიკო
36. ჭუმბურიძე ისმაილ
37. ჭოლაძე კოწია
38. ახვლედიანი პლატონ
39. ბერიშვილი ლუკა
40. მორჩაძე გალაქტიონ
41. ჩხეტია (მასწავლებელი)
42. გოგიაშვილი პოლიკარპე, (მასწავლებელი)
43. ჩიქვილაძე ზოტიკე (მღვდელი).
44. ჩხეიძე კოლია
45. ბიბინეიშვილი მიშა (ბარონის ძმა)
46. გეგეჭკორი ალექსანდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. ხოშტარია სოფოკლი
48. ჩხიკვიშვილი ბენია
49. მოსე ტუღუში
50. სურგულაძე სერგო (თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ იყო. მოჰკლეს ბანდიტებმა).
51. თოთიბაძე პარმენ
52. ლომაძე
53. ნიკო გეგელაშვილი
54. სერაპიონ ჭუმბურიძე (ჩამოახრჩვეს)
55. ტრიფონ არაბიძე (ჩამოახრჩვეს).
56. იასონ ჩიხლაძე (მოკვდა საკატორღო ციხეში).
57. იაგორ ჩიხლაძე (მოკვდა საკატორღო ციხეში. იაგორი იყო რაფიელის ძმა).
58. ალექსანდრე სტეფანოვი
59. ალექსი თოფაძე
60. ემუხვარი ლადო,
61. საყვარელიძე პეტრე
62. ბახტაძე ილია (შანთი).
63. გიორგაძე გრიგოლ
64. გვარამია ტუტკუ
65. გიორგაძე რუბენ (მოკლა პოლკოვნიკი ხოდეცკი).
66. ბოხუა ილარიონ
67. ნუცუბიძე (ორივეს ჟანდარმის მკვლელობაზე გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა).
68. არონიში
69. გალოგრე (პირველ ორს გალოგრეს და არონიშს გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა მესამეს — ფირცხელაიშვილს სამუდამო კატორღა ურიადნიკ დიმიტრი მგელაძის დაჭრისათვის ქ. ოზურგეთში).
70. ფირცხალაშვილი
71. სანდრო ბოჭორიშვილი (მოკვდა კატორღაში მერკვილაძის რაზმელი).
72. მორჩაძე გალაქტიონ (ჩამოხრჩობა იმასაც შეუცვალეს დახვრეტაზე. მოიყვანეს სისრულეში).
73. გიორგი ღლონტი
74. რაჟდენ ღლონტი
75. გაბილაია იასონ (კოოპერატორი).
76. ილარიონ კალანდაძე
77. გიორგი ქიქოძე (მასწავლებელი).
78. ამბაკო მგელაძე (მასწავლებელი).
79. ჭიჭიკო ასათიანი
80. რაზმაძე დანიელ
81. დოლბაია ლადო
82. დვალი ევგენი
83. არსენიძე მიშა
84. ბოჭორიშვილი ლეჩხუმიდან. ჩამოხრჩობა შეუცვალეს დახვრეტაზე. მოიყვანეს სისრულეში, მორჩიძე და ბოჭორიძე ერთად გაიყვანეს ციხიდან).
85. კობიძე პლატონ
86. კუპრაშვილი ბაჭუა
87. აროშიძე მათე
88. მიქაბერიძე პლატონ (ალიხანოვის ბომბის მსროლელი).
89. კილაძე ივანე
90. საყვარელიძე არჩილ (ჩამოხრჩობა შეუცვალეს 15 წ. კატორღაზე).
91. სვანიძე ალექსანდრე (ჩამოახრჩვეს).
92. ენუქიძე პარმენ

ეროვნული

93. მიხეილ ჩუბინიძე
94. კვიროსი რობაქიძე
95. ტარასი ქათამაძე
96. ტრიფონ ცერცვაძე
97. დიანოს ცერცვაძე
98. მოროზო რობაქიძე
99. ვარდენ ჩანტურიძე
100. დომენტი ცერცვაძე
101. იაკობ ცუცქიროძე
102. კობიძე ივანე
103. პლატონ ჟღენტი
104. ეპიფანე მგელაძე
105. გოგიტიძე ივანე
106. კეშელოვა თედორე
107. სტურუა ვანო
108. ჯუღელი გიგა
109. გობეჩია მელიტონ (ჟურნალისტი).
110. ფარნა ნინუა
111. ძმები ისლამ და ანდრიფა-ღავა.
112. შენგელაია ლეო (ქიაჩელი).
113. ივლიანე იაშვილი
114. სვიმონ ჯაფარიძე
115. გელა გელაზანია (პოეტი),
116. ვარლამ ხუროძე (მალაქია-შვილი).
117. პატე (პლატონ) აბაშიძე
118. გოგიტიძე დიმიტრი
119. დათიკო სულიაშვილი
120. წიქრაძე დათიკო
121. სიმონ ღლონტი
122. წითლაძე არსენ
123. ვარლამ ჭყონია
124. ევტიხი სალუქვაძე
125. ილარიონ ლომაძე
126. მელიტონ ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა.

1905 წლის რევოლიუციონურმა მოძრაობამ დიდი გაკვეთილები მისცა მუშათა კლასს იმის შესახებ, „თუ როგორ უნდა აკეთოს მან რევოლიუცია"; მაშინდელმა რევოლიუციამ შეჰქმნა და ჩამოაყალიბა რევოლიუციის ლაშქარი და მომავალი რევოლიუციონური მთელი სარდლობის კადრი. 1905 წლის ახალგაზრდობა შეიქნა 1917 წელში—ოქტომბერში პროლეტარიატის სახელოვანი მეთაური, — მან ადვილად გამოარკვია და გადასჭრა რუსეთის რევოლიუციის შინაარსი და ხასიათი. სხვანაირად საბჭოთა რესპუბლიკა არ იქნებოდა. ამიტომ 1905 წლის რევოლიუცია მხოლოდ ფიზიკურად დამარცხებული, 12 წლის შემდეგ — 1917 წ. ლოლიკურ დასკვნამდე მივიდა.

1905 წლის რევოლიუციას უწოდებდენ „დიდ რევოლიუციას". ჩემს მოკლე დასკვნაში და საზოგადოთ ამ პატარა ნაშრომში არ შემიძლია და არც შემწევს ძალა გავარკვიო ვრცლად 1905 წ. გურიის მოძრაობის დიდი მნიშვნელობა, ყოველივე მისი წარმოშობის, თუ დროებითი დამარცხების მიზეზები. რუსული ლიტერატურა ამას თანდათანობით არკვევს. — ლენინმა 1905 წ. რევოლიუცია უკვე დააფასა; ლენინის აზრით, ტყუილი ოცნება იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციაზე ფიქრი, თუ არ გვექნებოდა გავლილი 1905 წლის რევოლიუციის ეტაპიო.

ამიტომაა, რომ 1905 წელზე ბევრს სწერენ და კიდევ ბევრი დაიწერება. კერძოთ გურიის რევოლიუციონურ მოძრაობას, როგორც გლეხურ მოძრაობას, პირველი ადგილი უჭირავს არამც თუ საქართველოში, არამედ მთელს რუსეთში. გურიაში მოძრაობის თვალსაჩინოთ განვითარებას ხელი შეუწყო როგორც ობიექტიურმა, ისე სუბიექტიურმა პირობებმა. თქმულება: ერთი ასისთვის და ასი ერთისთვის გურიაში 100% განხორციელდა. გურიის მოძრაობამ მიიღო გარკვეული ფორმა და ხასიათი. ის გამოვიდა რუსეთის რევოლიუციის, სოც. დ. მუშათა პარტიის პროგრამით—სრულიად შეგნებულათ ჩაითრია საზოგადოების ფართე მასები.

გურიის რევოლიუციის ბრძოლის მეთოდები, გამოძებნილი თვით ბრძოლის პროცესში, იმორჩილებს რევოლიუციის მოწინააღმდეგე კლასებს და უსპობს არამც თუ შეტევის საშუალებას რევოლიუციაზე, არამედ—უკან დახევისაც და ისეთი მტერი, როგორიც იყო მღვდელი თუ ბერი, აზნაური თუ თავადი, სოვდაგარი თუ ყაჩაღი, იარაღს

ეროვნული

ჰყრის და რევოლიუციონურ მოძრაობას „ეგუება“. პოლიციის და მთავრობის მოხელეს ბოიკოტით აიძულებს ხელი აიღოს ბრძოლაზე. მთავრობის მოხელენი ნებართვას ხალხისგან ღებულობს ვიმსახურებ და თქვენი მონა-მორჩილი ვიქნებიო.

ცნობილია, რომ ტერორისტული აქტებით წესწყობილების შეცვლა არ შეიძლება; რევოლიუცია იმარჯვებს მაშინ, როცა ფართე მასაა ჩათრეული ბრძოლაში, მოძრაობაში, ამიტომ გურია ტერორს უკანა რიგში აყენებს. პირველ რიგშია მთლიანი ორგანიზაციის შექმნა, მოწინააღმდეგეს სუსტი მხარეების შესწავლა, ფართე მასის ამოძრავება ბოიკოტისა და ერთობის განმტკიცებით.

ტერორს ეძლევა მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი, ხანდახან მას სულ უარყოფენ, ის რევოლიუციის მავნებლათაც კი მიაჩნიათ ზოგიერთ პირობებში. გურიას აქვს საშუალება აწარმოოს მასიური ტერორი, მის ხელშია ძალა-უფლება, მას შეუძლია გასწყვიტოს ყველა ურჩი მთავრობის მოხელე, კაზაკი და „სალდათი“. ის ამას არ შვრება, ის დინჯათ თავის საქმეს აკეთებს, ტერორს მოგერიებით ხასიათს აძლევს, მიმართავს მას მხოლოდ ზოგიერთ და უკიდურეს პერიოდებში; ის უცდის სიტუაციას და მომენტს. გურია თავის ბედს უმორჩილებს რუსეთის დიდ რევოლიუციას, უარყოფს სეპარატიზმს:

მეფის მოადგილე ერთ ფაქტსაც ვერ ასახელებს სეპარატიული მოძრაობისას. გურიის ხალხის ერთობა და ტაქტიკა საშუალებას უსპობს უმაღლეს მთავრობას იარაღი იხმაროს გურიის მიმართ 1905 წელში, მთავრობა რამდენიმეჯერ დათმობაზე მიდის გურიის დამშვიდების საქმეში.

ვისაც არ უნახავს 1902-3-4-5 და შემდეგი წლები გურიაში, შეიძლება გადამეტებულად მოეჩვენოს ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, მაგრამ ის შემცდარი იქნება. გურულები ეტყოდენ ერთმანეთს: „რევოლიუცია ჭადის ჭამა არ გეგონოსო“. ვისაც გურიის ამბები გადამეტებულად მოეჩვენება — მას რევოლიუცია მართლა „ჭადის ჭამა ჰგონია“.

ამ ნაშრომის ნაკლს მე ყველაზე მეტად ვგრძნობ: ეს არის ნაშრომის ეპიზოდური ხასიათი და მხოლოდ ფაქტების დალაგების ცდა. სამწუხაროდ, არც პირველი გამოცემისა და არც მეორე გამოცემის დროს საჭირო მასალები სრულად ხელთ არ მქონია.

არც მშრალი და მთავრობის ოფიციალური დოკუმენტებით დაიწერება გურიის რევოლიუციონური მოძრაობა.

გურიის მოძრაობა ახლო წარსულს ეკუთვნის, საჭირო იყო და არის, ცოცხალი ფაქტების დაგროვება — აქტიურ და არა აქტიურ მონაწილეებისაც კი; ხშირად ჩვენ ვსწერთ ეს ვქენით, ის მოხდა და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდაო, მაგრამ აქ საქმე იმაშია, როგორ გავლენას ახდენდა ესა თუ ის მოქმედება და ფაქტი მაშინ მშრომელებზე, **როგორი იყო მისი შედეგები** მოძრობისათვის, მოძრაობის ფაქტების შეფასება საჭირო და გადაუდებელი ამოცანაა.

ყოველ შემთხვევაში, მიუხედვათ მრავალი ნაკლისა, რომელიც აქვს ამ შრომას, ის ოდესმე მაინც საჭირო შეიქნება ისტორიისათვის, ე. ი. იმისათვის, ვინც იკისრებს გურიისა და საზოგადოთ საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის შესწავლას და მიუდგომელ გაშუქებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

წინასიტყვაობა . . . . . 3—6

I

8-9 მარტის გაფიცვამდე და გაფიცვების შემდეგ.—„მქადაგებელი“, „დრამაფული“ და ღალის შემცირების საკითხი.—ბოიკოტი მემამულეებს, გლეხი-შტრეიკბრეხერები და „ყანის ცელვა“.—„შპიონჩაჩუტები“ და „წესის აგება“.—პირველი პროკლამაციები, ფართო პროპაგანდა, გლეხთა გაფიცვები და მასიური მიტინგები.—მთავრობის რეპრესიები, მაზრის უფროსი ჯაფარიძე და „ლომისკარელი“. ბათომის ყრილობა, ტერორის საკითხი და ორგანიზაციული სტრუქტურა.—„თოფის ფული“, „წითელი რაზმები“ და მუშაობა ქალთა შორის . . . . . 7—21

II

პარტიაში მიღების პირობები.—წრეებში მეცადინეობის სისტემა,—დემოკრატია, სოციალ-დემოკრატია და პროპაგანდისტთა წრე.—გურიის კომიტეტის სხდომები.—„ახალთაობა“, ბრძოლა ძირმომპალ ტრადიციების წინააღმდეგ და ახალი ყოფა-ცხოვრება-—ბოიკოტი სიტყვა „გლეხის“ ხმარებისათვის.—წოდების გაუქმება გურიაში.—ახალთაობის გავლენა არამშრომელ ელემენტებზე . . 22—26

III

ხალხის სამართალი, ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან და დახმარება ქვრივობლებს.—მთავრობის კაპიტულიაცია.—ოზურგეთის თვითმართველობა და ოთხ-ფორმულიანი საარჩევნო სისტემა.—ხალხის ძალა-უფლება, „ხუნხუზობის“ ლიკვიდაცია და ნამდვილი დემოკრატია.—გურიის ჯაშუშთა გამაფრთხილებელი პროკლამაცია . 27—32

IV

პოლიტიკურების სასჯელი სტოლიპინის კანონამდე.—სახალხო მასწავლებლობა გურიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.—გურიის მოძრაობის გამოძახილი და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი.—17 ოქტომბრის მანიფესტი და გურია. რეაქციის სუსხი და მთავრობის მამასახლისები.—„ლომის-კარელის“ კონფისკაცია . . . . . 33—44

V

ტერორი, მისი აზრი და მნიშვნელობა.—გურიის ცნობილი ტერორისტები.—ბლაღოჩინ ნიკო რამიშვილის მოკვლა.—თავადი ტიფო ნაკაშიძე და ურიადნიკი ლევან გურიელი.—რატომ მოჰკლეს პრისტავი კოსტავა.—ბერიძის ნაცვლად ქარცივაძის მოკვლა.—შეტაკება ჯვარცხმასთან, ამბ. კალანდაძე და ბოქაულ ელჩიბეგოვის მოკვლა.—პრისტავი მიქიაშვილი, დათიკო შევარდნაძე, მისი მოკვლის ცდა, პარტიასთან შერიგება . . . . . 45—49

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ფრაქციული განხეთქილება 1903 წ. ლონდონის ყრილობაზე.—უთანხმოების ძირითადი საკითხები.—ფრაქციული უთანხმოების დასაწყისი გურიაში.—პირველი დისპუტი ამხ. სტალინის მონაწილეობით.—კამათი ს. იანეულში.—მენშევიკების შემოტევა და პროფეს. ნიკო მარი.—ბალშევიკური კონფერენციის მოწვევა და მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტა.—ფრაქციული უთანხმოების საკითხები გურიაში.—ეროვნული საკითხი და გურია . . . . . 50—58

VII

ვორონცოვ-დაშკოვის პერიოდი და მთავრობის „ლიბერალური“ პოლიტიკა.—სულთან-კრიმ-გირეი გურიაში.—სამზადისი კრიმ-გირეის შესახვედრათ.—რას მოითხოვდა ხალხი.—კრიმ-გირეის ლიბერალური აგიტაცია: —სოც.-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის წამოყენება.—კრიმ-გირეის უკან გაწვევა და მისი მოგზაურობის შედეგები . . . . . 59—71

VIII

გურიის მოძრაობის გავლენა ქობულეთსა და აჭარაზე. გურიის რევოლიუციონური მოძრაობის აქტიური მუშაკები.—დიდი და პატარა პავლე საყვარელიძენი.—შამშე ლეჟავა და ბუდუ მდივანი.—მუშაობის პირობები დასავლეთ გურიაში.—პატე აბაშიძე, პროკოპი დოლიძე და ექიმ ტრიანდაფილიდისის გატაცება,—„კაუცკი“, „ბოხორიკო“, ბოლქვაძე და სხვები.—ტეროორის ახალი ფორმა . . 72—82

IX

მშადება შეიარაღებული ბრძოლისათვის.—იარაღის და პატრონების დასამზადებელი ზავოდი სურებში.—პრისტავ-სტრაჟნიკების ტყვედ წაყვანა და პლასტუნების გაგზავნა ჩოხატაურში.—მზადება პლასტუნებზე თავდასხმისათვის.—თავდასხმა ნასაკირალის ულელტეხილთან.—ვინ მონაწილეობდა ნასაკირალის შეტაკებაში.—ქართველი საზოგადოების დელეგაცია ვორონცოვ-დაშკოვთან, მისი პასუხი, ბრძანება გურიაში ჯარის გაგზავნის შესახებ, ამავე ბრძანების გაუქმება დელეგაციისა და პოლიტიკური სიტუაციის გავლენით, გურიის წითელი რაზმის გამგზავრება ტფილისის მუშების მისაშველებლად.—წითელ რაზმელების იასონ თავიძისა და სიმონ მკურნალის ტყვეთ ჩავარდნა და მათი ვერაგულათ მოკვლა კაზაკების მიერ.—ნასაკირალის ბრძოლა ქართულ პრესაში . . . . . 83—91

X

რეაქციის პირველი იერიშები და პოლკოვნიკ კრილოვის ექსპედიცია.—ოზურგეთისა და ნაგომრის გადაწვა.—ბრძოლა თუ იარაღის დაყრა.—„კენჭის ყრა“.—რეაქციის თარეში.—გუბერნატორ სტა-

როსელსკის და ყიფშიძის დაპატიმრება.—ტოლმაჩოვი და მისი დრო.—სტრაჟნიკი ლაპარტყავა.—ქუცურ-ბეგის მოკვლა ბერეჟოულში და მთავრობის მამასახლისის სულეიმან ლორთქიფანინიძის დაჭრა.—რეაქციის ყორნები თვითმპყრობელობის სამსახურში.—მაზრის უფროსის ერმოლოვის გეგმა რევოლიუციასთან საბრძოლველად . . . . . 92—105

XI

ჯარები და ეგზეკუციები.—სახელმწიფო დუმის არჩევნები რეაქციის პერიოდში.—ლიკვიდატორები, ოტზოვისტები, ულტიმატისტები, პლეხანოველები და ტროცკისტები.—კრილოვი მცხოვრებთა სახლების დაწვას თვით მცხოვრებთ აბრალებდა.—შეკითხვები სახელმწიფო დუმაში გურიის შესახებ.—სასტიკი რეპრესიების შემდეგ ლიბერალური პოლიტიკა.—მაზრის უფროსი ლავრენტი მახარაძე.—ვინ იყვნენ სტრაჟნიკებათ გურიაში. . . . . 106—112

XII

1905 წ. რევოლიუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა.—რამ გადასწყვიტა ბრძოლის ბედი.—მენშევიზმი და ბოლშევიზმი რევოლიუციის ცოცხალ მაგალითზე.—„რევოლიუციის ლიკვიდაცია“.— „გურიის რესპუბლიკის პროცესი“—დასკვნა . . . . . 113—118

XIII

მეფის საპყრობილეთა საშინელებანი, კარების დარტყმა სტალინის ხელმძღვანელობით.—ციხის უფროსი იავორსკი და „როზგი“.—შიმშილით გაფიცვები.—ტუსაღების ორგანიზაცია.—„ამირანი“ და „ალი“ კედლის გაზეთი.—ციხის უფროსი აფშილავა. მისი მოკვლა ტერორისტების მიერ და სამაგიეროს გადახდა ტუსაღებისათვის.—ყიფიანის დანიშვნა.—„დიშლა“ და ჩაფსკი.—„ნადზირატლები“ ვასილ ფეოდოროვიჩი, ბოსოვი, კუდინი ნიკოლაი და ივანე.—შუღლის ჩამოვარდნა იმერლებსა და მეგრელებს შორის, ერთი მეორეზე დანებით თავდასხმა.—ვინ მოკლა ტუსაღი გრიშა გორდეზიანი, იაკინთე კობახიძე და ჭანკვეტაძე,—კოოპერატივი ციხეში. პოლიტ-ტუსაღები . . . . . 119—127

დ ა ს კ ვ ნ ა 128

ეროვნული
ბიბლიოთეკა